გულითადად მივესალმებით სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის მიერ დაარსებული ჟურნალის „მაყვლოვანის“, – გამოცემას. მოხარულნი ვიქნებით, თუ მისი შემდგენელნი შეძლებენ, მკითხველს გააცნონ საქართველოში დაცული სიწმინდენი, ბერ–მონაზვნური ცხოვრების სიღრმე, აზრი და მნიშვნელობა, ის, თუ რა არის ჩვენი ეროვნული ფასეულობანი, როგორია ჩვენი ტრადიციები, ისტორია, ეთნოგრაფიული თავისებურებანი, ჩვენი ხალხური სიბრძნე.

ეს ყოველივე დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი საზოგადოების სულიერი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას და მათში ჭეშმარიტების გზით სვლის სურვილის გაღვივებას.

ღმერთმა და წმიდა ნინომ დალოცოს „მაყვლოვანის“ გამომცემელნი და მკითხველნი.

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო.

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

25 მაისი 2010 წელი

„როცა ვფიქრობთ იმაზე,თუ რა არის ქართული იდეა, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართველი ერის დანიშნულებაა – იქადაგოს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ხომ არსებობს წინასწარმეტყველება, რომ საქართველო, ქართველი ერი უკანასკნელ ჟამს გაბრწყინდება. ვიცით სახარებიდან, რომ უკანასკნელ ჟამს ყველგან დაეცემა რწმენა, ზნეობა, საქართველო კი ღვთის მადლითა და წყალობით გაბრწყინდება და ჯილდოდ ამისა, როგორც დიდი მამა და მოღვაწე ამბობს, მეორედ მოსვლის ჟამს მთელი ქვეყნიერება განიკითხება „ქართულითა ენითა“. ეს იქნება კიდევ ერთი მადლი, რომელსაც მოგვანიჭებს უფალი. მადლობას ვწირავთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას, რომელმაც ინება, რომ იყოს პატრონი საქართველოსი... “

უწმიდესი და უნეტარესი ილია II

შინაარსი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II
ამონარიდები ქადაგებებიდან.....4

არქიმანდრიტი ლაზარე
საკვირაო ქადაგება.....6

დეკანოზი გიორგი სხირტლაძე
„ღმერთი სიყვარული არს“.....9

სწავლანი (სიყვარულისათვის).....16

ვაჟა კიკნაძე
საქართველოს ეკლესიის თავდადებული
მოღვაწე მიხეილ (გობრონ) საბინინი.....19

დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე
ქართველი ქალი.....23

კახაბერ კენკიშვილი
მამულისათვის ზვარაკად შეწირული
ერისკაცი (ლევან გოთუა).....29

კეთილმსახურება (ხატების რესტავრაცია)...35

მარინე ცინცაბაძე
IV-X საუკუნეების ქართული ქრისტიანული
კულტურა (ბიზანტიურ კულტურასთან
შედარებითი ანალიზი).....38

დაკრძალვის მართლმადიდებლური წესი.....46

ანტიქრისტეს შესახებ.....56

მონასტრის მორჩილებები.....62

SRULIAD SAQARTVELOS KATOLIKOS-PATRIARQI, MCXETA-TBILISIS MTAVAREPISKOPOSI, UWMIDESI DA UNETARESI ILIA II

(AMONARIDEBI QADAGEBEBIDAN)

* * *

„ყოველი ქართველი მოძღვარი, სასულიერო პირი – მწიგნობარი და განათლებული პიროვნება იყო, რასაც სამონასტრო ცხოვრების მაღალი დონე განაპირობებდა. მონასტრები არა მარტო სულიერი და ასკეტური მოღვაწეობის სავანეებს წარმოადგენდნენ, არამედ დიდ მეცნიერულსა და კულტურულ ცენტრებსაც. ისიც კარგად მოგეხსენებათ, თუ წარსულში რა დიდი ტრადიციები არსებობდა საქართველოში სასულიერო განათლებისა...“

* * *

„ცოდნისა და რწმენის საკითხი უძველესი პრობლემაა. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში იდგა ეს საკითხი და მას ძალიან აქტიურად შეეხო ისეთი ცნობილი მეცნიერი, როგორიც იყო კლიმენტი ალექსანდრიელი თავის სერიოზულ ნაშრომში „სტრომატები“. მისი აზრით, ადამიანს აუცილებლად სჭირდება ცოდნაც და რწმენაც, მაგრამ პირველადი მაინც რწმენაა, ანუ რწმენაზე უნდა იყოს აშენებული ცოდნა და საერთოდ, მეცნიერება. საოცარი დასკვნა გამოაქვს კლიმენტი

ალექსანდრიელს, იგი ამბობს, რომ თუ ადამიანი მხოლოდ მორწმუნეა, იგი მონაა ღვთისა, მაგრამ თუკი მორწმუნეცაა და განათლებულიც, მაშინ მეგობარია ღვთისა. ეს ტერმინი – „მეგობარი ღვთისა“ სახარებიდანაა აღებული; უფალი ჩვენი იესო ქრისტე მიმართავს მოციქულებს: „მეგობარნო ჩემნო!“ და განმარტავს, რომ მონამ არ იცის, რას ფიქრობს და აკეთებს ბატონი, ხოლო მეგობარმა იცის.“

* * *

„ ...ქართველი კაცი უნდა გაუფრთხილდეს ეროვნულ ფასეულობებს – მამულს, ენას, სარწმუნოებას, ჩვენს ისტორიას, კულტურას, მწერლობას, მუსიკას – ყოველივე ეროვნულს. და კიდევ, რაც მნიშვნელოვანია – ეს არის ქრისტიანული მენტალიტეტი, მართლმადიდებლური აზროვნება. აი, ეს ორი ძალა – ჭეშმარიტი რწმენა და ჩვენი დიდებული კულტურა – გადაარჩენს საქართველოს“.

იერუსალიმი. ჯვრის მონასტერი.
უწმიდესი და უნეტარესი **ილია II**
საქართველოსთვის აღავლენს ლოცვას.

* * *

„ ...მინდა ვისაუბროთ ჩვენს ეროვნულ ფასეულობებზე, რომელთაც სათუთად უნდა მოვუფრთხილდეთ და დავიცვათ. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოება, ეს არის ჩვენი ეროვნება, ეს არის ჩვენი ენა ქართული, ჩვენი კულტურა, ჩვენი ლიტერატურა, ჩვენი არქიტექტურა, ქართული ხელოვნება და მრავალი სხვა“... „საუკუნეების მანძილზე ქმნიდა ქართველი კაცი ამ კულტურას და დღეს გაგვაჩნია უდიდესი სულიერი და კულტურული სიმდიდრე და თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ მას!“

* * *

„უდიდესი საუნჯეა ჩვენი ქართული ენა! იგი უძველესი და უტკბილესია, რაღაც განსაკუთრებული მადლით მოსილი! როდის წარმოიშვა იგი? როდესაც ქართველი კაცი გაჩნდა ამ ქვეყნად, აი, მაშინ წარმოიშვა ქართული ენაც! ქართული ენა დიდებულია თავისი სიღრმით, უძველესი ფორმებით“....

„ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს ენას! გავიხსენოთ იოანე ზოსიმეს დიდებული სიტყვები, ქართული ენის შესხმა „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“...

* * *

„ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელია ენა ქართული, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისევე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამამთავრისა, მასშია მთელი საქართველო. გაზაფხულზე გაშლილი პირველი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლადამოსული მზის ცხოველსმყოფელი სხივივით საამო, ცისფერია მისი სამოსი, ზეცაა მისი საწყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი, სიტყვაჲ მისი მჭრელია, ვით დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია ვითარ სვეტიცხოველი და ნაზი, ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდული დილის ნამი“.

ARQIMANDRITI LAZARE (GAGNIZE)

SAKVIRAO QADAGEBA

მეოცე საუკუნის მიწურულს საქართველოში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღორძინების ფონზე, დამკვიდრება დაიწყო ახალმა პოლიტიკურმა, სოციალურმა და კულტურულმა სისტემამ, რამაც, თავის მხრივ, წარმოშვა სრულიად ახალი ზნეობრივი გარემო. ცვლილებებს დაექვემდებარა ძველი, კომუნისტური აზროვნება, რომელსაც მთელი გასული საუკუნის მანძილზე წარმმართველი მდგომარეობა ეჭირა. ახალი აზროვნების კვალობაზე, თითქმის მთლიანად გაწყდა კავშირი რუსეთთან, რომელიც დამპყრობლური პოლიტიკის მიუხედავად, ეროვნული და სარწმუნოებრივი შეგნებით, თანამედროვე მსოფლიოში მართლმადიდებლობის და მასზე აღმოცენებული ზნეობრივი ღირებულებების ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ დამცველად გვევლინება. ჩვენმა ქვეყანამ კი ორიენტირად დაისახა დასავლური სამყაროს ცხოვრების დემოკრატიული მოდელი, რომელიც დაფუძნებული და აგებულია არამართლმადიდებლურ ცნობიერებაზე და ანგარიშს არ უწევს მართლმადიდებ- ლურ ზნეობრივ ფასეულობებს. პირიქით, იგი დაპირისპირებულია მართლმადიდებლური ცხოვრების წესთან, მრავალი სხვადასხვა ასპექტით.

დღევანდელმა რთულმა, უამრავი საცდურებით, ადამიანის გონებისათვის შეუცნობელი და ძნელად აღსაქმელი კატაკლიზმებით ბეჭედდადებულმა, უმოწყალო და ჭირმრავალმა დროებამ, დაგვაყენა რეალობის პირისპირ, ჩაგვახედა ჭეშმარიტების სარკეში და დაგვანახა ჩვენი ნამდვილი სახე; მთელი ჩვენი მანკიერებანი, უზნეობით და ცოდვად მიდრეკილი დიდპატარა ადამიანური სისუსტეებით. ირგვლივ შექმნილმა ვითარებამ კიდევ ერთხელ შეგვაგრძნობინა ჩვენი უმწეობა. კიდევ ერთხელ ვიგრძენით, რომ მარტონი ვართ ამქვეყნად. უკვე მერამდენედ ვაკეთებთ დასკვნას, რომ ღვთის თანადგომის, ღვთის შეწევნის გარეშე, ჩვენ ვერ გავივლით ტაძრისკენ მიმავალ გზაწვრილზე... მაგრამ ყველა როდი ფიქრობს ასე. ადამიანებს, როცა გაუჭირდებათ, ღმერთი მაშინ გაახსენდებათ ხოლმე. მაგრამ უკანასკნელი საუკუნის მოვლენებმა ისე მოწყვიტა ჩვენი ხალხი უფლის კალთას, რომ ბევრი მათგანი უფლის შეწევნის გარეშე ცდილობს, მოიგვაროს ამქვეყნიური ცხოვრება; რა ელის მას საიქიო ცხოვრებაში? – ამაზე ეს ადამიანები საერთოდ არ ფიქრობენ. რეალობა გვიჩვენებს, რომ ღვთის შეწევნის გარეშე, ისინი მათთვის სასურველად ვერც ამქვეყნიურ ცხოვრებას ვერ იგვარებენ. მძიმე სოციალურმა ვითარებამ მძიმე პრობლემები შეუქმნა ოჯახებში მშვიდობას. უმუშევრობა, ეკონომიკური სიდუხჭირე, თავის კვალს აჩნევს ოჯახის ერთიანობას. ქორწინების ასაკმა თითქმის მთელი ათი წლით გადაიწია. ბევრი ახ-

ალგაზრდა, მატერიალური გაჭირვების გამო, თავს იკავებს ქორწინებისაგან. ბევრი ახალდაქორწინებული ოჯახი კი, იგივე პრობლემების გამო ინგრევა. რიცხვი, დანგრეული ოჯახებისა, უპრეცენდენტოა ჩვენი ისტორიისათვის. მიზეზთა მიზეზი ამისა ცხადია, ჩვენი ქვეყნის სოციალური მდგომარეობაა, მაგრამ ამ მიზეზებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი გახლავთ ჩვენი მოსახლეობის, ჩვენი ოჯახების არაეკლესიური ცხოვრება, ღვთის გარეშე ცხოვრება. ყალიბდება ანტიეროვნული და ანტიმართლმადიდებლური იდეოლოგია, რასაც დიდ სამსახურს უწევს მასმედია. დილიდან გვიან ღამემდე ხდება, ყველა ტელეარხით, ადამიანთა ტელესერიალებით ზომბირება, რომელთა სიუჟეტია: სისასტიკე, მკვლელობა, ყაჩაღობა, მრუშობა, გარყვნილება. ამ ტელესერიალების ანარეკლია ზოგჯერ ჩვენი ახალგაზრდა ოჯახებიც. ჩვენ არ ვუფრთხილდებით ჩვენს ეროვნულ ტრადიციებს და ეროვნული ღირებულებების უგულვებელყოფის ხარჯზე, ვეძიებთ და ჩვენში ვამკვიდრებთ ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებელ,ყოველგვარ სულიერებას მოკლებულ დასავლურ ღირებულებებს; ამ გარემოებათა მიმართ ჩვენ გულგრილნი ვერ ვიქნებით. დასავლეთის ქვეყნებში დამკვიდრებული ოჯახური თანაცხოვრების სამართლებრივი და ეთიკური ნორმები, მართლმადიდებლური ზნეობიდან გამომდინარე,ჩვენთვის მიუღებელია. ფაქტიურად, დემოკრატიის მოთხოვნები და ქრისტიანული ზნეობრივი ნორმები ერთმანეთთან დიდ წინააღმდეგობებს ქმნიან. რა დასამალია, ამ ქვეყნებში, ხელისუფლებისაგან საზოგადოების ცხოვრების ნორმად აღიარებულმა, ხორციელმა აღვირახსნილობამ ყოველგვარ საზღვრებს გადააბიჯა, რაც, დასამალი არ არის,დიდ საფრთხეს უქმნის ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანული ზნეობით დამკვიდრებულ ოჯახური თანაცხოვრების წესს.

თვალი გადავავლოთ ოჯახურ, ცოლქმრულ ურთიერთობებს ევროპისა და ამერიკის ქრისტიანულ ქვეყნებში, რომლებიც დემოკრატიის ქართველმა მაძიებლებმა მისაბაძად აირჩიეს. მე არ მოვყვები ამ ქვეყნების ჩამოთვლას. მაგალითისთვის დაგისახელებთ სკანდინავიისა და ჩრდილოეთის ზღვის აუზის ქვეყნებს. მე მომწონს და მხიბლავს ამ ქვეყნების შვილების დამოკიდებულება მიწასთან, მეურნეობასთან, მაგრამ მაშფოთებს და უარყოფით განწყობილებებს აღმიძრავს ამ ქვეყნებში დამკვიდრებული დამოკიდებულება ზნეობასთან და მორალთან; რაც გულგრილად ვერ დატოვებს ვერც სხვა მრავალი აღმსარებლობის წარმომადგენელს. ხსენებულ ქვეყნებში გაუკუღმართებულმა, ამასთან – ლეგალიზებულმა, მეტიც – სახელმწიფო მმართველობისაგან და საზოგადოებისაგან ცხოვრების ნორმად აღიარებულმა ხორციელმა აღვირახსნილობამ, შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო. ამ ქვეყნებში უკვე კანონითაა დამტკიცებული მამაკაცის მამაკაცთან ქორწინება. ევანგელისტურმა კონფესიამ არა მარტო დაუშვა მამათმავლურ ქორწინებაში მყოფი ოჯახების ჯვრისწერა, არამედ – უკვე იმისთვისაც ზრუნავს, რომ ამგვარ ქორწინებაში მყოფ ოჯახებს მოუპოვოს შვილად აყვანის იურიდიული უფლებაც. ამგვარი უზნეობის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს კათოლიკებმა, მაგრამ ამ წინააღმდეგობამ ქმედითი ხასიათი ვერ მიიღო.

წმიდა მამების, კერძოდ, იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში გადმოცემული წინასწარმეტყველებით, ქვეყნის აღსასრულის მოახლოების ერთ-ერთი ნიშანი ხორციელი აღვირახსნილობაა. სიმბოლურად, ეს უკიდურესი გახრწნილება აპოკალიფსში წარმოდგენილია წითელ მხეცზე ამხედრებული სიძვის დედაკაცის სახით: „მჯდომარე მხეცსა ზედა წითელსა, სავსესა სახელებითა გმობისაჲთა, რომელსა ედგნეს შვიდნი თავნი და ათნი რქანი. და დედაკაცსა მას ემოსა პორფირი და ძოწეული, შემკული ოქროჲთა და ქვითა პატიოსნითა და მარგალიტითა და აქუნდა ჴელთა მისთა ბარძიმი ოქროჲსაჲ, სავსე საძაგელებითა და არაწმიდებითა სიძვისა ქუეყანისაჲთა. და შუბლსა მისსა ზედა სახელი დაწერილი: საიდუმლოჲ, ბაბილონი დიდი, დედაჲ მეძავთაჲ და საძაგელებათა ქუეყანისათაჲ და ვიხილე დედაკაცი იგი დამთვრალი სისხლითა წმიდათაჲთა და სისხლითა მით მოწამეთა იესუჲსთაჲთა. (გამოცხ. 17, 3-6) და სიძვის დედაკაცთან ისიძვეს ძლიერთა ამა ქვეყნისათა, ამ ქვეყნის მეფეებმა, და ქვეყნის ყოველი მკვიდრი დაითრო მისი სიძვის ბანგით. –

როგორც წინასწარმეტყველება გვეუბნება, ამ სიძვის მძვინვარე ღვინით დაითრო ყველა ხალხი, და ქვეყნის მეფეებმა ისიძვეს მასთან, და ქვეყნის ვაჭარნი დამდიდრდნენ მისი ფუფუნების სიუხვით (გამოცხ. 18,3).

რით დასრულდება უკანასკნელი ჟამის ხორციელი აღვირახსნილობა, როგორც მეფეებისთვის და ამ გარყვნილების შედეგად გამდიდრებული ვაჭრებისა და ხალხისა, ყველამ კარგად ვიცით. ძველი აღთქმის წიგნები გვამცნობენ, რომ ღვთივდადგენილი და ღვთივკურთხეული ერთცოლიანობის გვერდით, ებრაულ სამყაროში, თითქმის ახალი აღთქმის ეპოქამდე აღინიშნებოდა მრავალცოლიანობის არაიშვიათი მაგალითი. ახალი აღთქმის ეკლესია მკაცრად დაუპირისპირდა მრავალცოლიანობასა და ცოლქმრულ ღალატს. წმიდა მათეს და მარკოზის სახარებაში (მთ.19; მკ. 10) მკაცრადაა გამოკვეთილი ქრისტეს მოძღვრება ცოლ-ქმრულ ერთგულებაზე. წმიდა მარკოზის სახარება გმობს ისეთ ადამიანურ სისუსტეს, როგორიცაა ცოლქმრულ ურთიერთობაში ღალატი. სახარება გვმოძღვრავს, რომ მთელი ჩვენი ძალისხმევით წინ აღვუდგეთ ადამიანური ყოფის ამ არანორმალურ გამოვლინებას, რომელიც გახლავთ ცოლ-ქმრული თანაცხოვრების, ერთხორცად ყოფნის უფლისმიერი კურთხევის დარღვევა და ამგვარად – ცოდვით დაცემა. წაკითხული სახარების თავი განსჯის საგნად გვთავაზობს ზნეობრივ ნორმას, რომელიც არეგულირებდა ცოლ-ქმრულ ურთიერთობას ადამიანის მოდგმის ისტორიის მანძილზე, დასაბამიდან – ქრისტეს მოძღვრებამდე. თუ ამ ზნეობრივი ნორმას უფრო გლობალურად განვიხილავთ, დავინახავთ, რომ იგი არეგულირებდა და უნდა არეგულიროს მომავალშიც, ადამიანთა საზოგადოების ზნეობრივ ურთიერთობანი. ამ ზნეობრივი ნორმის მნიშვნელობა განუზომელია, რადგან ჯანსაღი ცოლ-ქმრული ურთიერთობა, ეს არის – ჯანსაღი ოჯახი, ხოლო ოჯახთა ერთობლიობა, იქნება სახელმწიფო. უკეთუ ოჯახთა ურთიერთობებში ზეობს მაღალი ზნეობა, სახელმწიფოშიც გამეფებული იქნება მაღალი ზნეობა.

ოჯახისა და შესაბამისად, სახელმწიფოს ჯანსაღ მოქალაქეობრივ ურთიერთობებს, საფუძველი დაუდო უფალმა ღმერთმა: „დასაბამითგან დაბადებისაჲთ მამაკაცად და დედაკაცად შექმნნა იგინი ღმერთმან და თქუა: ამისთჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს ცოლსა თჳსსა და იყვნენ ორნივე იგი ერთ ჴორც, ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ ჴორც. რომელნი ღმერთმან შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებნ“ (მარკ. 10,6-9).

როგორც ვხედავთ, უფალმა თითქმის დასაბამიდანვე, როცა მან შექმნა ადამიანი მამაკაცად და დედაკაცად, აკურთხა ქორწინება მათი. დროთა განმავლობაში თავი იჩინა ადამიანთა ცოდვილმა ბუნებამ, რომელიც კონფლიქტში მოდიოდა უფლის ამ მკაცრ კურთხევასთან და სისტემატიურად არღვევდა მას თავისი უზნეობითა და ხორციელი აღვირახსნილობით. გამოხდა ხანი და მოსეს სჯულში უკვე საუბარია ქმრისაგან ცოლის გაშვებაზე და მისთვის „განტევების“ ანუ განქორწინების „წიგნის“ მიცემაზე.

დღეს წაკითხული მოციქულ მათეს სახარების მიხედვით, იესო ქრისტემ, მასთან პროვოკაციულად მიჭრილ ფარისევლებთან საუბარში, მკაცრად დაგმო ადამიანთაგან ამ კურთხევის დარღვევა. მაცხოვარმა მოსესაგან ამ მცნების შერბილება და განქორწინების პრეცენდენტის დაშვება, იმ ეპოქის ადამიანთა გულფიცხელობით ახსნა და კატეგორიულად აკრძალა ზეცაში ღვთივკურთხეული ქორწინების გაუქმება კაცთაგან. მაცხოვარმა ქმრისაგან ცოლის გაშვება და ცოლისაგან ქმრის მიტოვება დაგმო, ადამიანთა ცოდვილი ბუნებისაგან მომდინარე, ეს ბოროტი ქმედება მრუშობად და მეძაობად შეაფასა: „უკეთუ განუტეოს ქმარმან ცოლი თჳსი და შეირთოს სხუაჲ, მან იმრუშა. და ცოლი თუ განვიდეს ქმრისაგან და შეერთოს სხუასა, მანცა იმრუშა“. (მკ. 10,11-12)

ქრისტიანული მოძღვრების ეს ზნეობრივი ნორმა დღესაც მტკიცედ უნდა გვეპყრას და არ მივდიოთ ამსოფლიურ, თანამედროვე „სამართლებრივ“ ნორმებს.

`RMERTI SIYVARULI ARS~

საუბარი წმიდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის
დეკანოზ **გიორგი სხირტლაძესთან**

– მამა გიორგი, წმიდა წერილის სწავლებით, ბოლო ჟამს „განხმეს სიყვარული მრავალთაჲ“. და მართლაც, ჩვენში, ეკლესიური ცხოვრების მრავალფერად აღორძინების კვალდაკვალ, ადამიანებში აშკარად ქრება სიყვარული და გულისხმის- ყოფა ქრისტიანული მოძღვრებისა, „ღმერთი სიყვარული არს“. გთხოვთ, გვესაუბროთ ამის შესახებ.

– „ღმერთი სიყვარული არს“ – ეს სამი სიტყვა, ფაქტიურად, ქრისტიანული სწავლების საფუძველია. პავლე მოციქული გავიხსენოთ: მთელი ქონებაც რომ დავაგროვო, სხვადასხვა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სხეულიც დასაწვავად რომ მივცე, არარაჲ ვარო თუ სიყვარული არა მაქვსო.

სიყვარული რა არის, თავის მხრივ? ზოგი სიყვარულს რას არქმევს, ზოგი – რას; ქრისტიანულ სიყვარულს ვგულისხმობ, თორემ, ისეთ რამეს უწოდებს ზოგი სიყვარულს, კაცმა არ იცის, რა არის საერთოდ. უნდა გავარჩიოთ ქრისტესმიერი სიყვარული ამაო რამის სიყვარულისაგან. წმიდა იოანე ღვთისმეტყველსაც ღვთაებრივი გამოცხადება სიყვარულით მიეცა, მას სიყვარულის მოციქულსაც უწოდებენ – მოციქული, რომელიც ყველაზე მეტად უყვარდა ქრისტეს.

უძირო უფსკრულია ღმერთის სიყვარული. ამაზე წმიდა მამებიც ბევრს მეტყველებენ. სამყაროს შექმნა, თუნდაც გამოხსნა ჩვენი, ყოველივე ღვთის სიყვარულით აღსრულდა. ღმერთი ყველაფერს აცოცხლებს, აძლევს სიცოცხლის წყაროს. ჩვენც უნდა მივდიოთ სიყვარულს და სიყვარულის მოძღვრებას. ეს გასათვალისწინებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში – მექანიკური სწავლა ან გარეგნული წესების დაცვა, უსიყვარულოდ, ფაქტიურად, არაფერს მისცემს ადამიანს. ღვთაებრივი სიყვარული მაშინ განივრცობა ადამიანში და ადამიანიდან, როცა მას შეგნებული მოთხოვნილება აქვს. მონას, მაგალითად, არ შეუძლია სიყვარული, არც – ბიო-რობოტს. ადამიანს თავისუფალი ნება მისცა ღმერთმა. მონას იმიტომ არ შეუძლია სიყვარული, რომ შიშით მუშაობს – სიკვდილის შიშით, თუნდაც. დაქირავებული მონას კი, ფული რომ მისცენ, იმიტომ მუშაობს. სიყვარული შეუძლია მხოლოდდამხოლოდ შვილს, ძეს, მამის სახლში მყოფს. მას შეუძლია ჭეშმარიტი სიყვარული, რადგან მამის სახლშია და იმიტომ უყვარს, რომ მამაა იგი და ამას არ უნდა უმაღლესი მათემატიკა. შვილს არც გადასახადის გამო უყვარს დედა და არც შიშის გამო. თუ გააბრაზებს ან აწყენინებს დედა შვილს, ან პირიქით – დედა-შვილური სიყვარული ამით ხომ არ ისპობა?!

ვისაც სიყვარული აქვს, სწორედ ის რჩება სახლში – ძე. დაქირავებული და მონა კი სახლში არ რჩება, სანამ არ გახდება ღვთის შვილი; სანამ არ განთავისუფლდება იმ ბორკილებისაგან, რომელსაც მონობა ადებს ადამიანს. „არღარა გიწოდებთ მონებს, არამედ მეგობრები გიწოდეთო“, რადგან მონამ არ იცის, რას აკეთებს მისი ბატონიო. ქრისტეს მონები ვართ ყველა. რა თქმა უნდა, ეს მონობა ჭეშმარიტი თავისუფლებაა! – და განა ქრისტეს მონობა არ გვირჩევნია ადამიანის მონობას?! განა ქრისტეს მონობა არ არის ზუსტად ის თავისუფლება, რომლითაც გვანთავისუფლებს უფალი?! მონობას ვამბობთ, მაგრამ ზუსტად ეს მონობა გვანთავისუფლებს ცოდვის, წყევლისა და სიკვდილისაგან, ისევ ქრისტეს სიყვარულებრივი მსხვერლის გამო – ეს გასათვალისწინებელია. ცოდვის ამ მონობიდან ვინც განთავისუფლდა, მან მოიპოვა ჭეშმარიტი სიყვარული და გასხივოსნდა; მან გაიმარჯვა თავის თავზე და თავის ცოდვებზე, ღმერთის მადლით, და იგი გახდა ყოვლადბრძენი, მძლეთამძლე, გახდა ქრისტეს სიყვარულით გამარჯვებული და არა – მხოლოდ საკუთარ თავზე დაყრდნობით.

ავიღოთ, თუნდაც, წმიდა ნიკოდიმოს მთაწმიდელის ნაშრომი „უხილავი ბრძოლა“. პირველი თავი ესე იწყება: „ საკუთარ თავს არ დაეყრდნო, როცა ქრისტიანულ ცხოვრებას შეუდგები. ღმერთზე დაამყარე ყველა შენი იმედი.“ საკუთარ თავს თუ დაეყრდნობი, ბრძოლის დაწყებამდე უკვე დამარცხდები. „მიანდე უფალს საზრუნავი შენი და მან გამოგზარდოს შენ.“

რა თქმა უნდა, ღვთის სიყვარული მკვეთრ ხაზად გასდევს ძველსა და ახალ აღთქმას. უფალმა „მამაო ჩვენოს“ ლოცვა რომ მოგვცა, თუნდაც ეს არის სიყვარულის გამოვლინება. თუ კი შენ მამად უწოდებ ღმერთს, შენც – შვილი ხარ და ისე უნდა იცხოვრო, როგორც ასეთი მამის ე.ი. ღმერთის შვილს ეკადრება.

სოტეოროლოგიური დოგმატი ე.ი. გამოხსნის დოგმატიც ამით აიხსნება. თუ რატომ დასჭირდა უფალს ცოდვილი კაცობრიობის ასეთი დიდი მსხვერპლით გამოსყიდვა? – ესეც ღვთაებრივი სიყვარულის გამო მოხდა. წმიდა სერაფიმე საროველი ამბობს: „ჩვენ კი არ ვიმსახურებდით გამოხსნის ესეთ საჩუქარს, არამედ ეს დაუმსახურებელი წყალობაა, რომელიც ღვთის სიყვარულის მიერ მოგვეცა ჩვენ“, – რადგან ისე შეიყვარა ღმერთმა სოფელი და ადამიანები, რომ მისცა მხოლოდშობილი ძე, რათა თითოეული მორწმუნე კი არ დაიღუპოს, არამედ აქვნდეს ცხოვრება საუკუნო და საუკუნო სიცოცხლე. ჩვენ კი არ შევიყვარეთ ღმერთი, არამედ მან შეგვიყვარა ჩვენ და მოავლინა თავისი ძე, ჩვენი ცოდვების მოსატევებლად. სიყვარული ღვთისა ეს არ არის არსი ღვთისა, არამედ – მისი მადლის ქმედებაა, სულიწმიდის მადლის ქმედება. პავლე მოციქული ამბობს, რომ „მორწმუნეებს ქრისტემ მისცა არა სიმხდალის სული, არამედ – ძალის, სიყვარულის, უბიწოების, თავშეკავების და ა.შ. ღვთის სიყვარული გადმოიღვარა მორწმუნეების გულებში, სულიწმიდის ძალით გადმოიღვარა, „უხვი გახდა ჩვენში უფლის მადლი, რწმენით და სიყვარულით – ქრისტე იესოში“ – წერს პავლე მოციქული.

სიყვარული ყველა სხვა სულიერ ნიჭებზე მაღლა დგას. იგი სრულქმნილების კავშირია და ყოველგვარი ხარების, კეთილის სწავლების მიზანი. სიყვარულის გარეშე არაფერს ფასი არა აქვს. წინასწარმეტყველებები და ცოდნა მარადიულში არ გადადის, ხოლო სიყვარული არასდროს მთავრდება. სიყვარული მარადიულია, დაუსრულებელია. მორწმუნე ადამიანშიც სიყვარული სხვადასხვა დონით არის, (ასე ვთქვათ გამონათებულია). სიყვარული ნიჭია – ან გაქვს, ან არა. თუ არა გაქვს, უნდა ითხოვო, რომ მოგეცეს; თუ გაქვს და მეტი გინდა – ითხოვე და მეტი მოგეცემა და უფრო განავითარებ ამ გრძნობას. ამ ღვთაებრივ სიყვარულში შეიცნობა ზუსტად ქრისტე; იმ „პურის განტეხვაში“ შეიცნობა ქრისტე: იმიტომ რომ იქ ვლინდება სიყვარული და იქ მიეცემა ადამიანებს ამ სიყვარულით ზიარება. აქ დაინახავ, აქ განჭვრეტ ქრისტეს.

პავლე მოციქული ამბობს: „ვლოცულობ, რომ უფრო და უფრო გაიზარდოს თქვენი სიყვარული“. (ფილიპელთა მიმართ ეპისტოლე) ასევე ამბობს – ქრისტეს სიყვარულით ვართ მოცულნი. გვწამს, რომ ვერც

სიკვდილი და ვერც სიცოცხლე, ვერც ანგელოზები და ვერც მთავრობანი, ვერც ძალნი, ვერც აწმყო და ვერც მყოფადი, ვერც სიმაღლე და ვერც ვერავითარი სხვა ქმნილება ვერ შეძლებს ჩვენს ჩამოშორებას ღვთის სიყვარულისაგან,ჩვენი უფლის იესო ქრისტესგან განშორებას.“

ადამიანი თუ ღვთის მცნებებს მექანიკურად, უსიყვარულოდ ასრულებს, იგი ვერ ავა სასუფევლისაკენ მიმავალ სათნოებათა კიბეზე, იმიტომ, რომ იმ კიბიდან უფრო მაღალ კიბეზე ასვლა უფრო მეტ სიყვარულს ითხოვს. ხოლო ეს უკვე მეტ მორალურ განწმენდას, მეტ მორალურ სიწმინდეს, მეტ სიყვარულს მოითხოვს მისგან, ადამიანი კი თავისთავად ვერ ავა სათნოებათა კიბეზე თუ მას სიყვარული საერთოდ არა აქვს. ხოლო თუ აქვს – ნელ-ნელა წინ წავა.

წმიდა ისააკ ასურიც ამასვე ამბობს: სინანული არის გემი, შიში ღვთისა კი არის მძღოლი, რომელიც მართავს გემს, ხოლო სიყვარული – ეს არის ღვთაებრივი ნავთსაყუდელი. ვისაც ღმერთი და მოყვასი უყვარს, მან მოიხვეჭა თვით უფალი და გადავიდა სიკვდილიდან სიცოცხლეში; იგი ცოცხლობს ნათელში, როგორც უფალი არის ნათელში. ე.ი. ღვთაებრივი სიყვარულიც მარადიულია. წმიდა იოანე ღვთისმეტყველი გვმოძღვრავს, ვინც ამბობს, რომ მიყვარს ღმერთი და თავისი მოყვასი და ძმა სძულსო, იგი ცრუობს, თავის თავს ატყუებს, იგი კაცის მკვლელია (იმიტომ რომ მან, ფაქტიურად, გასწირა ის ადამიანი). როგორ შეიყვარებს იგი უხილავ ღმერთს, როცა ხილული მოყვასი არ უყვარსო. „სიყვარული თავისი ძალით ორმაგად მოქმედებს. ის ტანჯავს ცოდვილებს ჯოჯოხეთში და ახარებს და ნეტარებაში ამყოფებს მათ, ვინც რჯული დაიცვა“ – ამბობს ისააკ ასური. – „განა ჯოჯოხეთში ღმერთი არ არისო?! იქაც არის, ოღონდ როგორც დამსჯელი ძალა. ჯოჯოხეთშიც არის ღმერთი, ოღონდ ჯოჯოხეთი არ არის ღმერთში“. წმიდა მამა ამას იმ აზრით ამბობს, რომ ჯოჯოხეთი ყველაზე ღვთივმიტოვებული ადგილია. თუმცა კი, ღმერთი იქაც არის, როგორც ღვთივმიტოვებულობის განცდა ცოდვილისათვის, როგორც დამსჯელი ძალა. ხოლო ღმერთი სიყვარულია, ნეტარება და ნათელი, მართალთათვის სამოთხეში.

– მამაო, თუ შეიძლება განგვიმარტეთ წმიდა წერილის მოძღვრება: „ამით გამოცხადნა სიყვარული ღმრთისაჲ ჩუენ შორის, რამეთუ ძე თვისი მხოლოდშობილი მოავლინა ღმერთმან სოფლად, რაჲთა ვცხოვნდეთ მის მიერ“. (I იოვანე 4).

– ღვთის შესახებ სწავლებას ვიღებთ და ვიმეცნებთ წმიდა წერილიდან, ბიბლიიდან, რომელიც შედგება ძველი და ახალი აღთქმისაგან. ჩვენთვის უფრო მრავალმნიშვნელოვანია ახალი აღთქმა, თუნდაც იმით რომ, ღმერთზე, როგორც მის საკუთარ არსებაზე სწავლების შესახებ, დიდი ცოდნის მომცემია; და იმიტომ, რომ – სამების დოგმატი ახალ აღთქმაში გამოგვიჩნდა. გასაგებია, რომ ღმერთი იყო, არის და იქნება: ის უცვლელია, მარადიულია. მაგრამ ახალ აღთქმაში ნათელი ქრისტესი გახდა ის აუცილებელი პირობა, რომლითაც ჩვენ დავინახეთ სამების საიდუმლო. წინასწარმეტყველებებით, სწავლებებით და სასწაულებით კი კაცობრიობას ღვთის შესახებ ცოდნა და ხელმძღვანელობა ენიჭებოდა, მაგრამ რომ არ მოსულიყო ქრისტე – ვერც ფილოსოფოსი, ვერც წინასწარმეტყველი, ვერც დიდი გმირი და ვერც მეცნიერი ვერ განჭვრეტდა სამების საიდუმლოს, თავისი ადამიანური გონებით და ბუნებით და ახლაც კი მიუწვდომელია ადამიანის ინტელექტისთვის. ცალკე თავიცაა დოგმატიკაში „სამების დოგმატის გონების მიერ ბოლომდე შეუცნობადობის შესახებ“. უფალმა მოგვცა განცხადების დღესასწაული, როდესაც გამოგვიცხადა სამების საიდუმლო, იორდანეს წყალში მისი ნათლობის ჟამს. ეს, რა თქმა უნდა, მონოთეიზმია და აქ ვეხებით მოძღვრებას ერთარს სამგვამოვან ღმერთზე. ღმერთმა თავის საკუთარ თავზე, შინაგან არსებაზე მეტი ცოდნა მისცა კაცობრიობას, ეს უდიდესი საიდუმლოა, რომელიც უბრალო მონოთეიზმი აღარ არის, (იგივე, თუნდაც იუდაისტური მონოთეიზმი). ვინც ქრისტეს ნათელს უარყოფს, სამების დოგმატს ვერასდროს ვერ შეიმეცნებს მხოლოდ გონებით და საერთოდ, მონათლულიც თუ არ არის, იმ ადამიანს შემეცნებაშიც ბზარი აქვს და გონებაც – დაბნელებული

– იმდენად დიდია დაზიანება პირველყოფილი ცოდვის მიერ, რომ გონებრივი, სულიერი თუ სამშვინველისეული ძალები ვერ შეძლებენ სრულფასოვნად აღიქვან სამყარო. ამიტომ, მოუნათლავი – სრულფასოვანი ადამიანიც არ არის; მას შემეცნების ძალაც აღარ შესწევს იმდენი, რამდენიც მონათლულ ადამიანს. მას არა აქვს სულიწმიდის მიერ მოცემული ნიჭები. ის ადამიანი ფაქტიურად „სისხლმდინარეა“ და მისთვის ზეთი და ღვინო ჯერ კიდევ არ უცხიათ. ის შემდედებელი, მანუგეშებელი, მაკურნებელი, გადამრჩენელი სიტყვა არ მისულა მასთან და იმ სიტყვას მისთვის ჭრილობები არ შეუხორცებია – არის ესე, დაჭრილი ცოდვებით, დაგდებული ბოროტი სულების მიერ. ჩამოივლის ერთხელაც ქრისტე და როგორც წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს, მიიყვანს მას „სასტუმროში,“ მართლმადიდებელ ეკლესიაში და განიკურნება; მაგრამ ხომ უნდა აჩვენოს ადამიანმა ჭრილობები, რომ ღვთაებრივ სიყვარულს მასზე მოქმედების საშუალება მისცეს?! ქრისტე ამ ჭრილობებს გაუწმენდს; მაგრამ შენ თუ ისევ ნაგავი და ჭუჭყი შეუშვი შენში, ისევ დაიგროვე ჭუჭყი და ინფექცია, მაშინ ღმერთს ნუ დააბრალებ; მაშინ ისევ საჭიროებ ჭუჭყისა და ცუდი სისხლის გამოდენას, საჭიროებ მკურნალობას, – აღსარებით გაწმენდას, საჭიროებ წამალს, რომლითაც შენ კვლავ მოგეცემა სიწმინდე.

ნათელი ქრისტესი გვაძლევს ყოვლადწმიდა სამების დოგმატის შეცნობის საშუალებას.

მინდა დავამთავრო ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებით. „ირწმუნე რომ გაიგო“. ამაშია გასაღები. მართლმადიდებლური სარწმუნოება ეს ისეთი საუნჯეა, რომელიც მოცემულია ყველასთვის, და ყველამ თვითონ უნდა გამოიჩინოს ძალისხმევა, თუ რამდენად მისცემს თავის თავს შესაძლებლობას, რომ მან მაქსიმალურად შეისისხლხორცოს მართლმადიდებლური სარწმუნოების მადლი და მირონი.

მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაში შეიმეცნება ღმერთი და ჭეშმარიტად შესაძლებელი ხდება გაგება წმიდა წერილისა. თუ ჩვენ გვინდა, სიბრძნე და მადლი დავაგროვოთ – უნდა ვირწმუნოთ. სიბრძნე, რომელიც ღვთაებრივია და ჭეშმარიტი რწმენის გარეშე არ შეიმეცნება.

ყურადღება გავამახვილოთ ძველი აღთქმის მონოთეიზმზე და ახალი აღთქმის მონოთეიზმზე. ძველი აღთქმის მონოთეიზმი – ეს იყო მკაცრი მონოთეიზმი, სადაც მხოლოდ და მხოლოდ ღვთის ერთობაზეა გამახვილებული ყურადღება. ახალი აღთქმის მონოთეიზმი იმანენტური მონოთეიზმია, უფრო მისაწვდომი ხდება ღმერთი ჩვენს გამოვლინებაში, მის ენერგიებში და ამავე დროს მიუწვდომელი ე.ი. ტრანსცენდენტულიც რჩება.

სწავლება ყოვლადწმიდა სამების შესახებ არა ვინმე ადამიანის მიერაა მოცემული, არა ვინმე გმირის ან წმინდანის მოცემულია – ეს არის ღვთის მიერ მონიჭებული ცოდნა ჩვენთვის, ღვთაებრივი გამოცხადებაა. რა თქმა უნდა, ღმერთი შეუცნობადი რჩება თავის არსში, მაგრამ მის ენერგიებში და გამოვლინებებში შემეცნებადია, იგი პიროვნებაა, უკვდავი სულია, ამოუწურავია.

ერთ-ერთი მთავარი ჭეშმარიტება, რომელიც გამოვლინდა და კაცობრიობას მიეცა ახალ აღთქმაში, ეს არის დოგმატი ყოვლადწმიდა სამების შესახებ. როგორც მე-17 ფსალმუნშია ნათქვამი, მოსე რომ ავიდა სინას მთაზე, წააწყდა ღვთაებრივ წყვდიადს. რაც უფრო ახლოს მიდის ღმერთთან ადამიანი, თავის სიმცირეს უფრო გრძნობს. იმიტომ რომ ღმერთი ძალიან დიდია, ამ მარადიულ მიახლოებაში, მაგრამ მიუახლოებელ მიახლოებაში მდგომარეობს ადამიანის სულიერი წინსვლა. ადამიანი, რაც უფრო მიუახლოვდება და აღივსება სულიწმიდის მადლით,მით უფრო ხვდება, რომ ღმერთი შორს არის მისგან; რადგან ღმერთი შეუცნობადია ბოლომდე და ადამიანის სულსა და ღმერთს შორის დისტანცია არსებობს. ამ თითქოსდა მიუახლოებელ მიახლოებაში არის ზუსტად ღვთისმეტყველება, სადაც წარმოიშვება სამი საღვთისმეტყველო სათნოება: სარწმუნოება, სასოება, სიყვარული, რომელშიც სიყვარული არის ყველაზე აღმატებული.

კაცთმოყვარეობა ღვთისა იმაშიც ვლინდება, რომ ღმერთი მუდმივად იახლოებს ადამიანის სულს. თავის სულს. მაგრამ

ღმერთი დიდია და ადამიანი მაინც მონად რჩება, თუმცა კი უფალი ამბობს „მონებს არ გიწოდებთ, მეგობრებს გიწოდებთო“. მაგრამ ღვთის მონობა ეს არის ჭეშმარიტი თავისუფლება. ქრისტიანობა ინარჩუნებს ადამიანის პიროვნებას და მართლაც, თავის უძლურებაშიც კი, ადამიანი ისევ პიროვნებად რჩება – პატარა, ცოდვილ, მაგრამ შეწყალებულ პიროვნებად, ღვთის კაცთმოყვარეობის გამო. „მამაო ჩვენოს“ ლოცვაშიც ადამიანები ღმერთს მივმართავთ, როგორც მამას. არაქრისტიანულ რელიგიებში მსგავსი რამ არსად არ არის. ქრისტიანობაში ადამიანის პიროვნება კი არ ქრება, არამედ განიღმრთობა, „იწვება თივა და ძვირფასი ლითონი გამოიბრძმედება“, ამაშია ქრისტიანობის უდიდესი მონაპოვარი. ქრისტიანობა ეს არის ასახვა ღმერთთან აღდგენილი კავშირისა, ძველი აღთქმის შემდეგ. სწორედ ეს არის ასახვა, რომ ღმერთი დიდია, ადამიანი კი პატარა; ადამიანი მიდის ღმერთისკენ, განიწმიდება, განიღმრთობა,მაგრამ ამავე დროს სწორედ ეს კავშირი წარმოშობს სარწმუნოებას, სასოებას, სიყვარულს. ამ კავშირში ხდება ადამიანის მუდმივი მიახლოება – და ეს არის ჭეშმარიტი რელიგია – აღდგენილი კავშირი ღმერთთან, (რომელიც ქრისტემ აღადგინა)... უნდა გავიხსენოთ ქრისტეს მისია, რომელიც მან აღასრულა – სამმაგი მსახურება ქრისტესი. უნდა გავავლოთ პარალელები ძველსა და ახალ აღთქმას შორის. ძველი აღთქმის მონოთეიზმი და ახალი აღთქმის მონოთეიზმი აუცილებლად კარგად უნდა გავიაზროთ და დავასაბუთოდ ჩვენს გულში, ჩვენს მსოფლმხედველობაში, ჩვენს მსოფლშეგრძნებაში – თუ რას ნიშნავს მოწმობები ძველი აღთქმიდან ყოვლადწმიდა სამების შესახებ, მოწმობები – ახალი აღთქმიდან, ყოვლადწმიდა სამების თითოეული ჰიპოსტასის შესახებ. ყოველივე, რა თქმა უნდა, შემეცნებადია, რწმენით; რადგანაც რწმენა არის უბრალოებაში შემეცნება ღვთის საიდუმლოებისა. განსჯა, ბევრი მსჯელობა, ადამიანს გარკვეულ ინტელექტუალურ ცოდნამდე მიიყვანს, მაგრამ ამ ცოდნით ღვთის საიდუმლოებების შესახებ „ბოქლომს“ ბოლომდე ვერ გახსნის. თუმცა კი, ღვთაებრივი მადლით და ნიჭით ადამიანი თავის სულიერი განვითარების პროცესში, განსჯის უნარით და ა.შ. – პოზიტიურ ცოდნას ღვთის შესახებ იღებს სულიერი გამოცდილებით, ღვთისმეტყველურ ცოდნას კი – ეკლესიური ცხოვრებიდან და ასე მიიწევს წინ.

– როგორ განმარტავს მართლმადიდებელი ეკლესია წმიდა წერილის სწავლებას: „აღიღე ჯვარი შენი და შემომიდექი მე!“

– ასკეტიკის გზას ზოგადად მიმოვიხილავ. ღმერთთან ურთიერთობის მიღწევის გზა, ღმერთის შემეცნების, ღმერთთან ზიარების გზა მოგვცა მართლმადიდებელმა ეკლესიამ. გარკვეული თვითდახმარებაა საჭირო – შენს თავს უნდა დაეხმარო, რომ ბოლომდე შეისისხლხორცო ეს სწავლება: ეკლესიური სითბო, შემწეობა. სანთელი რომ აინთება, თუ არ ჩააქრე – იწვის: ასეა ადამიანიც.

ეკლესიურ გზაზე მიმავალ ადამიანს ეკლესია უწევს დახმარებას, თავადაც თვითდახმარებას უნდა მიმართოს: ჭეშმარიტი, გონიერი, საღი თავმდაბლობით. რითი იწყება ეს გზა? – „უარყავ თავი შენი, აღიღე ჯვარი შენი და შემომიდექი მე“. ყოველი ღვთაებრივი პოზიტიური შემეცნება პირველ რიგში, იწყება თავის მოდრეკით, თავმდაბლობით. უნდა შეეძლოს ადამიანს, უარი თქვას იმ ცოდვილ მიდრეკილებებსა და მისწრაფებებზე, რომლებიც მასშია. ავადმყოფობას ავადმყოფობა უნდა ეწოდოს, რომ გაეცალოს. „უარყოს თავი თვისი“, ისე კი არა, როგორც ეს აღმოსავლურ რელიგიებშია – ადამიანის პიროვნება რომ გაქრეს და გადავიდეს ე.წ. უპირო აბსოლუტში, ანუ განქარდეს, ანიჰილაცია მოხდეს, არამედ – საკუთარი პიროვნების შენარჩუნებით და თავის მოდრეკა-განღმრთობით, თავის დამდაბლებით, როგორც ქრისტემ დაიმდაბლა თავისი თავი, შეურაცხყოფის ატანით, რაც ზოგჯერ ძალზე რთულია. ხშირად შეურაცხყოფა, დაუმსახურებელი საყვედურიც უნდა ავიტანოთ და საკუთარი თავის უარყოფით, ადამიანი ნელ-ნელა მიდის ჭეშმარიტ ღმერთამდე, ჭეშმარიტ შემეცნებამდე. რა თქმა უნდა, აქ უზარმაზარ მოვალეობას, უზარმაზარ დახმარებას ადამიანს უწევს მოძღვარი. ეკლესია სკოლაა შემეც-

ნებისა, ეკლესია სკოლაა ლოცვისა, სადაც ადამიანი სწავლობს ღვთისმეტყველებას და როცა შეიმეცნებს, მოძღვარი ყოველთვის და ყველაფერში ცდილობს, დაეხმაროს ადამიანს, როგორც თვლის იმ ადამიანისათვის საჭიროდ. ხოლო ადამიანმა ის დანიშნულება, წამალი, დაბეჭდილ მდგომარეობაში კი არ უნდა შეინახოს, არამედ აუცილებლად უნდა მიიღოს და განიცადოს იმ წამლის ზემოქმედება.

ვიმეორებ, რომ ეს არ არის ერთი დღის პროცესი; ეს არის პროცესი შემეცნებისა, მთელი ცხოვრების საქმე. ეს არის საქმე, რომელსაც ჰქვია თეოზისი ანუ განღმრთობა. ეკლესიამ შრომის იარაღი მოგვცა, რომ ბაღი, რაც მოგვეცა – ჩვენი სული, გავერანებულ-გაუდაბურებულ ადგილს კი არ დაემსგავსოს, სადაც არავის არ მოუნდება გასეირნება, არამედ ლამაზი შესახედავი იყოს. არის კიდევ ასეთი შედარება, რომ ღმერთმა სახლი მოგცა; შენ ხარაჩოებს აკეთებ, არემონტებ,– მოვა დრო და ჟამი, და როცა გავა ეს ცხოვრება, ხარაჩოები მოიხსნება და რაც გააკეთე, იმით წარსდგები ღვთის წინაშე. თუ ადამიანმა თავისი დანიშნულება მიწაზე შეასრულა, ხომ კარგი, თუ არა და სასჯელი არ ასცდება.

ვინც მთლიანად ცხოვრობს მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებით, მისთვის ღმერთი მთლიანად ხდება ახლობელი, ვინც ნაწილობრივ ან მხოლოდ საკუთარი თავისთვის – ის არასისავსით აღიქვამს ყოველივეს. ვინც მხოლოდ თავის თავისთვის სწავლობს, სამწუხაროდ ის ვერ მივა ღმერთთან. თუ შენ მოიხვეჭ მადლს, შენში მადლი დაგროვდება, აღგავსებს და ღმერთთან მიგიყვანს; ეს მადლი აუცილებლად სხვასაც დაეხმარება. ის ადამიანი არ არის ჭეშმარიტად ეკლესიური, რომელიც მხოლოდ ერთ მცნებას იცავს და დანარჩენებს არღვევს, ან ერთს არღვევს და სხვას კი იცავს. ღვთის სახლში ნაწილობრივ მისული, ნაწილობრივ პატივს იღებს და ნაწილობრივ რჩება იმ სახლში, რადგანაც ის არცაა შვილი. ის მონაა ან დაქირავებულია; რადგან სახლში მხოლოდ შვილი რჩება და შვილი თავისუფლდება. სიყვარული შეუძლია მხოლოდ შვილს. მოძღვარიც ცდილობს დაეხმაროს ადამიანს. ყველაზე დიდი ღვთისმეტყველება სწორედ ადამიანის ღმერთთან მიყვანა და შევედრებაა. მოგიწევთ არაამსოფლიური მსახურება ამ სოფელში. ეს ცოდვილი სოფელი ზოგჯერ ვერ უგებს ქრისტიანს, იმიტომ რომ, როგორც უცხო სხეულს, ისე გრძნობს მას და ხშირად უმხედრდება. ქრისტიანული თავმდაბლობა, ისევ და ისევ ვიმეორებ, ეს არის გამოვლინება ღმერთთან მიახლოების სიცხადისა. თუ ადამიანი ღმერთთან მიახლოებულია, იგი შეგნებული და თავმდაბალია, ხოლო თუ ადამიანი ამპარტავანია ე.ი. მას ღმერთისაკენ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს. ქრისტიანული თავმდაბლობა არის სწორედ ადამიანის სულში მადლის მყოფობის გამოვლინება: მართლაც შესულია მასში მადლი, რომელსაც ადამიანში დაუწყია კეთილი მოქმედება.

თავმდაბლობა – ეს არის ნიჭი ჭეშმარიტების დანახვისა. რომელი ღვთისმეტყველი იყო ამპარტავანი, დაწყებული იოანე ღვთისმეტყველიდან, დამთავრებული სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველით?! ჭეშმარიტი ღვთისმეტყველების მქადაგებელი თავმდაბალი იყო ყველა. რაც უფრო დაიმდაბლებს ადამიანი თავს – მით უფრო მეტად გამოსწორდება მისი ცხოვრება; ჯვარივით გამართული იქნება. თუ ჯვარითაა ძლეული ყოველი ბოროტი, იგივედ გაწონასწორებულია ადამიანი, ქრისტიანული ცხოვრებითაც; ყოველი ბოროტი მის ცხოვრებაში განდევნილი იქნება, განგდებული იქნება ავადმყოფობა და ცუდი და ადამიანი განიმართება. იმ სარკმელიდან, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესიის საიდუმლოებანი აძლევს, ქრისტეს ნათელს კარგად დაინახავს, სივრცეს – მართლმადიდებლური ცოდნისას. თუ ადამიანს საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს, ის ვერავითარ ღვთისმეტყველებას ვერ შეიმეცნებს. ყოველთვის, როცა გლანძღავენ, გაგინებენ, ცილს გწამებენ (რაც ყოველთვის შეემთხვევა ადამიანს, როცა დადგება ქრისტიანულ გზაზე), უნდა შეინარჩუნო რწმენა. როცა ადამიანი იწყებს ღვთის ნების აღსრულებას, მაშინ ეწყება ბრძოლები და ზოგჯერ აუტანელი ბრძოლებიც კი. მაშინ რომ მოითმენს ადამიანი, იგი ერთ-ერთ სულიერ სათნოებას

აღასრულებს – შეურაცხყოფების ატანას. ზუსტად მაშინაა ეს ადამიანი ღმერთთან ყველაზე ახლოს. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ როდესაც ადამიანს სულიერი ბრძოლა აქვს, შინაგანი ბრძოლა", სწორედ მაშინ ხდება მისი განწმენდა. ხოლო ვინც ასეთს განიკითხავს, ის წმენდს და თავისთავზე იღებს მის ცოდვას ვისაც განიკითხავს.

მაგრამ, შენ თუ სარწმუნოებას გილანძღავენ და ეკლესიას შეგიგინებენ, ამის მოთმენა ბოროტების თანამონაწილეობაა. სარწმუნოებაში განმტკიცება მხოლოდ და მხოლოდ მორჩილებითა და თავმდაბლობით ხდება. ეს არის მართლმადიდებლური ასკეზის პირველი ნაბიჯი, რომლითაც იწყება ყოველი ასკეზა.

როცა შემოგაწვება გულში ურწმუნოების გრძნობა, პირველი, რაც ითქმება – ეს არის „მრწამსი". „მრწამსი" ვინც დაკარგა, შუამდგომელი წინაშე ღვთისა, თავის ურწმუნოებით, მას მფარველი ანგელოზი განეშორა, მაგრამ ჩვენ ნუ დავკარგავთ იმ საუნჯეს, რაც ეკლესიამ მოგვცა. უნდა ვეცადოთ, რომ ყველანაირად „მრწამსში" ვიყოთ. მთელი ჩვენი ცხოვრება ხმარდება „მრწამსის" გაგებას. როგორც კი ადამიანი თვითდაჯერებული ხდება და ჰგონია რაღაც გაიგო, მაშინვე იმხილება მისი სიშიშვლე, სიბრმავე და სიყრუე. გამოცხადებაშიცაა ნათქვამი: „ბრმა ხარ, შიშველი ხარ, ყრუ ხარ. მოდი და მოივაჭრე ოქრო ჩემგანო". თვითდაჯერებული და ამპარტავანი რომ ხდება ადამიანი ფიქრობს, რომ მისი კეთილდღეობა დამყარებულია არა ღმერთზე, არამედ მის მოხერხებაზე. ჰგონია რომ ის დაცულია და ვერავინ ვერაფერს ვერ ავნებს, ვერ ხვდება რომ ეს ღმერთმა არ დაუშვა და ჰგონია რომ ძლიერია, მაგრამ არ ფიქრობს, რომ ღმერთმა არ დაუშვა მისი განადგურება, თორემ ვერც კუნთები უშველიდა, ვერც იარაღი და ვერც ნათესავი. ამიტომ, პირველ რიგში, ღმერთს მიენდე. თუ რამე ძლიერება გაქვს, ისიც ღვთის სადიდებლად გამოიყენე და ესეც უნდა ვიცოდეთ, როგორც კი ჩვენი კეთილდღეობის იმედს დავამყარებთ საკუთარ განსწავლულობაზე, მაშინაა ხაფანგი ჩვენს წინ დაგებული და როცა გაებმები – მერე მიხვდები, რომ ღმერთის გარდა ვერავინ გიშველის, და რომ შენი განსწავლულობა ვერ შეგეწევა; მხოლოდ და მხოლოდ უფალზეა ყველაფერი დამოკიდებული.

მე ვფიქრობ, რომ ბოროტებისაგან განწმედის პროცესში, რაც უარყოფითია შენში, როგორც გალიაში მხეცი ისე უნდა მოაქციო. წმიდა მამები ამბობენ, ბოროტთან ბრძოლაზე: საჭმელს რომ არ მისცემ, წყალს რომ არ მისცემ, ის თავისთავად მოკვდება და სადღაც სულის ფსკერზე ჩავა და დაჩიავდება. არავინ არ არის დაზღვეული იმისგან, რომ ძველი ცოდვა თუ ძველი უძლურება არ გაცოცხლდება, როგორც მიკრობი დაძინებული; მაგრამ იგი, დასუსტებული და დაუძლურებული ვეღარაფერს ვეღარ უზამს ადამიანს. ხოლო ზრახვების შესახებ მამები ამბობენ, რომ ისინი უნდა გაუშვა სულის სიღრმეში „იესოს ლოცვით". უნდა გადასახო ჯვარი შინაგანად ან აღსარებაში თქვა, უნდა მოიშორო იქვე. თუ დაეცი - ადექი და ა.შ. თუ დაუწექი ცოდვას – დამთავრებულია; ის ყველანაირად გიშლის ხელს ღმერთთან მისვლაში, ქვევით გეწევა, გექაჩება; ზევით ასვლაა კი საჭირო, ის კი ქვევით გექაჩება და მტერი გაცდუნებს; ყოველთვის ცდილობს, რომ სინამდვილე ტყუილად მოგაჩვენოს, და პირიქით. როცა ადამიანი იყინება, მაშინ ხდება მისაწვდომი ბოროტი სულისათვის. განსაკუთრებით, როცა ადამიანი ერშია და საერო ცხოვრებით ცხოვრობს.

ამიტომ გვმართებს დიდი რწმენა და მართლმადიდებელი ეკლესიის დოქტრინის ენციკლოპედიური ცოდნა, რომ მყარი სულიერი საყრდენი ვპოვოთ და მივიღოთ ღვთისაგან სულიერი სიმშვიდე და ბედნიერება.

ესაუბრა

მარიამ (მარინე) ნიაური

არქიმანდრიტი გაბრიელი (ურგებაძე)

სიყვარულისათვის

* * *

მამა გაბრიელი სულიერ შვილებს ხშირად ესაუბრებოდა სიყვარულის სათნოებაზე. ერთხელ მან უთხრა მოწაფეებს:

– ბევრი თქვენგანი იტყვის, სიყვარული მაქვსო. იციან კი, რა არის სიყვარული? ვინ ჩასწვდება სიყვარულს? მითხარით, აბა, რა არის სიყვარული? – ბერი წამოდგა და წარმოთქვა – წმიდა წერილი გვასწავლის: „სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ; სიყუარულსა არა შურნ, სიყუარული არა მაღლოინ, არა განლაღნის, არა სარცხჳნელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არად შეჰრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა; ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ“ (1კორ. 13,4-7). – ესაა ნამდვილი სიყვარული, ამაშია ადამიანის ბედნიერება. მთავარია სიყვარული, მაგრამ უმთავრესია – თუ როგორ ვისწავლოთ სიყვარული. თავი თუ არ დავიმდაბლეთ, არაფერი გამოვა. უნდა უარვყოთ საკუთარი თავი, ნება, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ვართ ცოდვილნი. ტანჯვის გზით უნდა მიაღწიოს ადამიანმა ჭეშმარიტ რწმენამდე და მოიპოვოს ჭეშმარიტი სიყვარული და ცხოვრება. სიყვარულს ეგოიზმი უპირისპირდება. ეგოისტი არაფერს გასცემს, იგი მხოლოდ თავისთვის ზრუნავს და მთელი ქვეყნის სიმდიდრეც რომ მოიხვეჭოს, მაინც ვერ დაკმაყოფილდება“. ბერმა პირჯვარი გამოისახა და წმიდა წერილის სიტყვების ზეპირად წართქვა: „ხოლო მე გეტყჳ თქუენ: გიყუარდეთ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ. რაჲთა იყვნეთ თქუენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათაჲსა, რამეთუ მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და წჳმს მართალთა ზედა და ცრუთა“ (მათე 5,44-45).

როგორ შევიყვაროთ ბოროტი კაცი? – შეიძულეთ ცოდვა, ბოროტება, ხოლო – ადამიანი კი გებრალებოდეთ და გიყვარდეთ. ღმერთმან უწყის, იქნებ ის, ვინც დღეს ჩვენ გვძაგს, ხვალ ლოცვით, ცრემლით, მარხვითა და სინანულით განიწმინდოს და ანგელოზის მსგავსი გახდეს. ბევრი ყოფილა ასეთი ადამიანი.

* * *

„უფალი სხვის უბედურებას იმიტომ გვიჩვენებს, რომ გვცდის, აბა რას გავაკეთებთ – ვილოცებთ თუ არა მოყვასისათვის, დაეხმარებით თუ არა მას? და ყოველივე ამით სიყვარულში გვწვრთვნის“.

* * *

მამა გაბრიელი, როდესაც სიყვარულის პასუხად, ლანძღვას, გინებას, დაცინვასა და შეურაცხყოფას ღებულობდა, სულიერი შვილები გაოცებული ეკითხებოდნენ, ნუთუ კიდევ გიყვარს ისინი?! ბერი სევდიანად შეხედავდა მათ და ეტყოდა, „რომ უფრო მეტად მიყვარან და მებრალებიანო.“ როდესაც ადამიანში სიყვარულს ვერ გრძნობდა, გულისტკივილით, მწუხარედ იტყოდა: სადაც სიყვარული არ არის, იქ ჯოჯოხეთია!

* * *

– ყველა უნდა გიყვარდეს? – ჰკითხა ერთხელ მამა გაბრიელს ერთმა მომლოცველმა.

– რას ამბობ?! რაღა თქმა უნდა! სახარებაში როგორც წერია, ისე! – შენი მტერი უნდა გიყვარდეს, ხოლო ქრისტეს მტერი როგორ უნდა შეიყვარო?! მაგრამ არავინ არ გძულდეს. – აი, აქედან გამოდის სიყვარული. ერთი ადამიანიც რომ გძულდეს, სასუფევლისაგან შორსა ხარ.

* * *

ბერი გაბრიელი ხშირად ამბობდა: მტერს სიყვარულით დაამარცხებთო.

* * *

„ადამიანმა მხოლოდ საკუთარ ცოდვებზე უნდა იფიქროს. სიყვარულით ყველა უნდა გიყვარდეს, მაგრამ ყველას სიყვარული თუ ვერ შეძელი, კეთილი ყველასათვის უნდა გინდოდესო“.

* * *

„კარგია, როცა თავს ძალას დაატან და მოყვასს ფეხს დაბან, მაგრამ ჭეშმარიტი თავმდაბლობაა, როცა სიყვარულით გიჩნდება სურვილი, რომ მას ფეხი დაბანო. სიმდაბლე და სიყვარული ყოველთვის ერთია, ყოველთვის ერთადაა“.

* * *

დიდი უბედურებით დამწუხრებულმა ქალმა ერთხელ ჰკითხა ბერს: „მამა გაბრიელ, რა ვქნა, რა გავაკეთო?“ ბერმა უპასუხა: – „მოწყალება, მოწყალებაზე დიდს ვერაფერს გააკეთებ. ერთ ჭიქა წყალს, მოყვასისათვის გაწვდილს, უფალი არ დაგივიწყებს“.

* * *

„ნურვის ეგონება, სიყვარული მხოლოდ თანდაყოლილი ნიჭია, სიყვარული ისწავლება და უნდა ვისწავლოთ. თუ თავი არ გასწირე ღვთისა და მოყვასისათვის, ისე არაფერი გამოვა.“

* * *

„სიყვარულს ვერ მოიხვეჭ, თავგანწირვის გარეშე. ღმერთს ლიტონი სიტყვები არ უყვარს, ღმერთს უყვარს საქმე, კეთილი საქმე არის სიყვარული.“

* * *

„მოყვასის სიყვარულია: როცა იგი სნეულია და შველა სჭირდება, წამალი კი, შორი გზიდანაა მოსატანი, სადაც შეიძლება დაგიღამდეს, ტყეც შეგხვდეს და მგლებმაც შეგჭამონ და აი, თუ მაინც წახვალ ამ გზაზე, მოყვასის საშველად, მაშინ პირდაპირ მიხვალ უფალთან“.

* * *

„ყველაფერი რომ გქონდეს და სიყვარული არ გაგაჩნდეს, ჩათვალე, რომ არაფერი გაბადია“.

* * *

„ბოლო ჟამს ადამიანებს სიმდაბლე, სიკეთე და სიყვარული გადაარჩენს. სიკეთე სამოთხის კარს გაგიღებს, სიმდაბლე – შიგ შეგიყვანს და სიყვარული –ღმერთს განახებს“.

* * *

„სიყვარული ყველა წესსა და კანონზე უპირატესია.“

* * *

„შიო მღვიმელი ადამიანთა დიდი სიყვარულის გამო ჩავიდა მღვიმეში“.

* * *

„გიყვარდეთ ერთმანეთი, საქართველო სიყვარულმა უნდა გადაარჩინოს. ბოლო ჟამია, თქვენ ანტიქრისტეს მოესწრებით, უფალი მოგთხოვთ ღვთისა და მოყვასის სიყვარულს, ვინც შეინარჩუნებს – ის გადარჩება. ანტიქრისტე ყველგან გამეფდება, მხოლოდ საქართველოში ფეხს ვერ მოიდგამს.“

* * *

„სიყვარული ლომს ქედს მოადრეკინებს.“

* * *

„ჯერ არ არსებობს დედამიწაზე ადამიანი, ბოლომდე რომ ახსნას, თუ რა არის სიყვარული; ხოლო რასაც ვერ ჩასწვდები და ვერ გაიგებ, არც უნდა ეცადო.“

* * *

„ერთი ადამიანიც რომ გძულდეს, მისი სახით ქრისტე შეგიძულებია და სასუფევლისაგან შორსა ხარ.“

* * *

„შინაგანი ტანჯვის გზით უნდა მიაღწიოს ადამიანმა რწმენას და მოიპოვოს სიყვარული.

* * *

„ღმერთი ჩვენგან ითხოვს, როგორც გულს, ასევე – კეთილ საქმეებს. კეთილი ყველასთვის უნდა გინდოდეს, მაგრამ სიკეთის კეთებასაც სიბრძნე სჭირდება. ვისაც შენზე მცირე აქვს, იმას რომ დაეხმარები, ის არის ღვთის წინაშე შეწირული. ღვთის ძალითა და სიბრძნით კეთდება ყოველი კეთილი საქმე.“

* * *

„როდესაც კეთილ საქმეს აკეთებ, ერთი საფეხურით ადიხარ, როდესაც სცოდავ – ჩამოდიხარ. ასეთი სვლაა მთელი ცხოვრება.“

* * *

„როგორ იქნება ადამიანის სული დამშვიდებული, როცა მოყვასი განსაცდელშია?! თუ კაცს სახლში ოჯახის წევრი ავადმყოფი ჰყავს და მომვლელი თვითონ არის, სხვა არავინ ჰყავს, – რა აზრი აქვს წირვაზე მის წასვლას?“

* * *

„ვინც მოყვასის სიკეთისათვის იღწვის, ის ჯერ საკუთარ თავს რგებს და მერე – სხვას.“

ათონური გერონტიკონი სიყვარულისათვის

* * *

ახალი სკიტის ბერი გაბრიელი ამბობდა: „ადამიანი ყოველ დღეც რომ ეზიარებოდეს, თავის ქონებაც გაჭირვებულებს რომ დაურიგოს, გულის წასვლამდე რომ იმარხულოს და გაუთავებელი მეტანიებიც აკეთოს – ღვთის წყალობას ვერ მოიხვეჭს, ვინემ ღვთის სიყვარული არ ექნება. ამიტომ, წმიდა პავლე, ყოველი დროის და ერის უდიდესი მოციქული, როდესაც სიყვარულს ადიდებს, ამბობს: „ენასაღათუ კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყოდი, ხოლო სიყვარული არა მაქუნდეს, ვიქმენ მე ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ, გინა წინწილანი, რომელნი ჴმობედ“ (1კორ. 13,1).

* * *

ერთხელ ახალი სკიტის ბერები აწესრიგებდნენ ადგილს, სადაც განსვენებულ მამათა ძვლები ინახებოდა. ერთმა ბერმა, სახელად დანიელმა, რომელიც სკიტში ცხოვრობდა და ყველას ემსახურებოდა,დალაგებისას უდრტვინველად მიმართა განსვენებულებს: „ამქვეყნად ცხოვრებისას თქვენ მრავალი შრომა გაწიეთ, რისთვისაც გვირგვინი და ზეციურ სასუფეველში ადგილიც მოიხვეჭეთ. ილოცეთ ჩვენთვის, წმიდანო მამანო! მაშინ ძვლებისგან ხმა გამოიცა: „სიყვარული უნდა გქონდეთ; არავინ ცხონდება, თუ სიყვარული არა აქვს! “

* * *

მოწყალე ბერი ხარლამპი მძიმე სენით იყო შეპყრობილი და საწოლს – მიჯაჭვული. იგი სულიერმა ძმამ, ვინმე ბერმა ინახულა.

– როგორ ხარ მამაო? – ჰკითხა სნეულმა ბერმა.

– შენი ლოცვით, მამაო.

– საჭმელი გაქვს? ცოტა გამხმარი პური მაქვს. – უთხრა ბერმა, ძალდატანებით წამოიწია, რამდენადაც შეეძლო და თაროდან პურის ნატეხი გადმოუღო:

– აიღე, ძმაო და მამაო ჩემო, და ილოცე ჩემთვის.

მოგვიანებით მოძღვარი იხსენებდა, რომ მისმა ამ საქციელმა გააძლიერა და მთელი დარჩენილი ცხოვრება გონებაში აღებეჭდა, რომ: ბერი სიკვდილს ებრძოდა, მაგრამ მოყვასის სიყვარული ამ დაუნდობელ ბრძოლაში აღამაღლა.

* * *

ერთი ბერი ამბობდა: ჩვენ ცრემლებს დავღვრით ჩვენი სკიტის ნანგრევებზე, რადგან აქ სიყვარული აღარ არის. რამდენი ფულია... სულ მცირედი მაინც მიეცით ღატაკს, რომ ზეცაში აიგოს სამკვიდრებელი.“

* * *

ბერი ამბაკუმი სიყვარულის მორჩილი იყო. ერთხელ, თავის სრულიად უარმყოფელმა, ქოხში შეიწყნარა ახალგაზრდა, რომელიც ტუბერკულოზით იყო დაავადებული. მამა ამბაკუმი მთელი ცხოვრების მანძილზე უვლიდა. სიხარულით, მზრუნველი დედასავით ემსახურებოდა მას. მიუხედავად იმისა, რომ თავად მარხულობდა, ავადმყოფს ხორცით და სხვა ნოყიერი პროდუქტით კვებავდა. იგი ძალისხმევით ებრძოდა ახალგაზრდის სენს, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, სნეულმა ბერის ხელებში დალია სული. სიკვდილის წინ კი მან აღასრულა სინანულისა და აღსარების საიდუმლო; ბერმა იგი მონოზვნად აღკვეცა და სახელად ფანური უწოდა.

ერთხელ, მომლოცველებმა მამა ამბაკუმი თვალცრემლიანი იხილეს და როდესაც ჰკითხეს, თუ რა მოუვიდა, აუწყა, რომ: მათ მოსვლამდე სხვა მომლოცველები მოსულიყვნენ და მთელი ქვეყნის ბერების ტანჯვა-ვაება უამბეს, ხოლო მან ვერ შეძლო ცრემლების შეკავება და ატირდა. ეს იყო ჭეშმარიტი სიყვარული – უანგარო და რეალური.

* * *

ბერმა ნ-მ ყველაფერი გასცა, რაც რამ გააჩნდა. ამ ნეტარხსენებულ ბერს თავისი გამოთქმა ჰქონდა: „ღმერთს გულით გაცემული უყვარსო“.

* * *

ბერი გედეონი, დიდი ლავრიდან, ცაში თვითმფრინავს რომ დაინახავდა, ლოცვას აღავლენდა.

– რას აკეთებ მამა გედეონ? – ეკითხებოდნენ მას.

– სკვნილზე ვლოცულობ. – უბრალოდ მიუგებდა იგი,– რათა არც ერთი თვითმფრინავი არ ჩამოვარდეს და ყველა ადამიანი უვნებლად ჩამოფრინდეს.

* * *

ბერი ისააკი (დიონისიატის მონასტრიდან) განუწყვეტლივ ლოცულობდა გვიან ღამითაც თვალმოუხუჭავად. იგი თავისი მონასტრის ბერების ჯამნრთელობისა და ხსნისათვის ლოცულობდა და ხშირად თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, ხოლო მოსიყვარულე გული – ტკივილით. ერთხანს მონასტრის ეზოში, ფლიგელის სხვენში ცხოვრობდა და მსახურებს ესმოდათ მისი ხმამაღალი ლოცვა, რომდესაც იგი ღაღადებდა: „უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შეიწყალე მსახურნი, მიეც მათ საზრდელი ყოველდღიური და აკურთხე ისინი, რამეთუ იღვწიან ოფლითა პირისა თვისითა, შვილთა თვისთა შესაწევნელად“.

* * *

ერთმა ბერმა თქვა: „ჩვენ ქრისტიანები ვართ, მაგრამ არავინ იცავს მცნებას: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი.“

უწინ კი იყვნენ ბერები, სულით და ხორცით ძლიერნი, შემკობილნი სიყვარულის სათნოებით. არავის და არაფერს შეეძლო მათი დაბრკოლება: არც მძიმე შრომას, ავადმყოფის მოვლისას, არც გადამდები სენის საშიშროებას. ასეთი მოღვაწე იყო მამა პანტელეიმონი, წმიდა ანას სკიტიდან. მან ადამიანთა მსახურებას მიუძღვნა თავი. იგი სიყვარულით ემსახურებოდა ტუბერკულოზით სნეულებს, ფაშისტთა ოკუპაციის დროს აჭმევდა მშივრებს...

მამა პანტელეიმონი გარდაიცვალა 1948 წელს, დასნებოვნებული და არცერთი საყვედური არ აღმომხდარა მისი ბაგეებიდან. პირიქით, იგი ყოველთვის მადლობდა უფალს.

* * *

ბერად აღკვეცის შემდეგ ახალი სკიტის ბერები მიამბობდნენ ნეოფიტე ბერ-მონოზონის ცხოვრებაზე, იგი ცალკეული მოყვასის სიყვარულის ღვაწლს ეწეოდა და ამ სათნოებას მარტოობასა და თავის უარყოფის ღვაწლზე აღმატებულად მიიჩნევდა, ამიტომ, მამა ნეოფიტე მომლოცველთა ბარგს აიკიდებდა ხოლმე და ეზიდებოდა სანაპიროდან მონასტრის მთავარ ნაწილამდე.

* * *

ბერი მოდესტი, კონსტამონიტის მონასტრის წევრი, ღვთაებრივი სიყვარულის დაუღალავი გამომეძიებელი იყო. მთელი მისი საუბარი შეეხებოდა სიყვარულს – სულიერი ცხოვრების საძირკველს. იგი ხშირად იმეორებდა: „ვინემ მთელს კაცობრიობას ძმად არ აღვიქვამთ, სულიწმიდა არასოდეს დაისადგურებს ჩვენს გულში. ღმერთს ყველა ერთნაირად უყვარს – ყველაზე დიდი ცოდვილიცა და ყველაზე წმიდა მართალიც. ჩვენც ასევე უნდა მოვეფეროთ ყველას ჩვენს გულებში. სიყვარული ითმენს და ყველაფერს ძლევს – „ღმერთი სიყვარული არს“.

შეადგინა **არქიმანდრიტმა იოანემ**

საქართველოს ეკლესიის თავდადებული მოღვაწე მიხეილ (გობრონ) საბინინი

მიხეილ-გობრონ საბინინი მე-19 საუკუნის საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული და თავდადებული მოღვაწეა. მთელი მისი ხანმოკლე ცხოვრება (1845-1900), ეს იყო ქრისტიანობისათვის თავდადების და საქართველოს განდიდებისათვის თავდაუზოგავი ღვაწლის მაგალითი.

სამწუხაროდ, მისი ბიოგრაფია დღემდე არ არის სათანადოდ შესწავლილი და აღწერილი. ამის მიზეზი, ალბათ, ისიც არის, მას ბევრი მტერი ჰყავდა, როგორც ქართველთა, ისე უცხოტომელთა შორის. ის, როგორც ძველი დროის აღმსარებელი და მოწამე, არ ერიდებოდა არავის მხილებას, თუ საქმე საქართველოს ეკლესიის სიწმინდეებს და მის ავტორიტეტს შეეხებოდა. ალბათ, მისი ხასიათის ამ თვისებამ განაპირობა, რომ სადღეისოდ, მისი ფოტოც კი არ არის ცნობილი.

მიხეილი იმდენად შეესისხლხორცა ქართულ სინამდვილეს, იმდენად ქართულ, პატრიოტულ პოზიციებზე იდგა (ხელსაც ასე აწერდა: ივერიელი მიხეილ(გობრონ) საბინინი), რომ თბილისში მოღვაწე არქიმანდრიტმა მამა რაფაელმა (კარელინმა) იგი უყოყმანოდ „საბინაშვილად“ მოიხსენია.

სინამდვილეში, მიხეილის მამა, პავლე, ტვერიდან იყო, იგი სასულიერო წოდებას განეკუთვნებოდა. როგორც ჩანს, პავლემ საქართველოში გადმოსვლის შემდეგ ითხოვა ქართველი ქალი – ეკატერინე მინზაშვილი და მღვდლად შემდეგ ეკურთხა.

მიხეილი 1845 წელს დაბადებულა, როგორც ჩანს, თბილისში. დედა მას ქართული სულისკვეთებით და საქართველოს ეკლესიის შვილად ზრდიდა. საერთოდ, ცნობები მიხეილის ოჯახის წევრების შესახებ, უაღრესად ფრაგმენტულია

ზოგიერთი ცნობით, მიხეილს მამა ადრევე გარდაცვლია, ეკატერინე მეორედ გათხოვდა და მიხეილს მამინაცვალი, გიორგი პანოვი ზრდიდა.

მიხეილი ბავშვობიდან ეცნობოდა ქართულ სიწმინდეებს, ტაძარ-მონასტრებს; როცა წამოიზარდა, დაიწყო საეკლესიო ლეგენდებისა და გადმოცემების ჩაწერა, ეკლესიის კედლებიდან კი იხატავდა წმიდანთა ფრესკებს. 1868 წლის ივნისში მას პირველად მოუნახულებია დავით გარეჯა (თბილისიდან ფეხით ჩასულა მონასტერში) და ამის შენდეგ, სიკვდილამდე, საბინინი გარეჯის დიდებული ლავრის თაყვანისმცემელი გახდა. მართლაც, მთელი სიცოცხლე არ შეუწყვეტია საბინინს დავით-გარეჯის მონასტერზე ზრუნვა: თბილისიდან, პეტერბურგიდან, მოსკოვიდან იგი გარეჯში აგზავნიდა კაკლის ხის კანკელებს, თუნუქის სახურავებს, საეკლესიო სამოსლის შესანახ სკივრებს, კანკელებს, ლუსკუმებს, წმიდა დავით გარეჯელისა და სხვა წმინდაებისათვის და ა.შ.

1863-1868 წწ-ში მიხეილი თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობს. ამ პერიოდში, მას მიმართვა გაუგზავნია ეგზარქოს ევსევისათვის (1867-1877), რათა მეტი პატივისცემით მოპყრობოდნენ წმიდა აბო თბილელის ნიშს, მეტეხის ტაძრის ძირში აღმართულს. ახალგაზრდა საბინინი გულისტკივილით წერდა, რომ ნიში ხელზე მოვაჭრეებით და ქარვასლით ყოფილა გარშემორტყმული.

საბინინის ამ მიმართვას, მისდა გასაოცრად, მძაფრი უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. მას ურჩევდნენ, როგორც „უდღეურ გიმნაზისტს“ სწავლით დაკავებულიყო და სხვის საქმეში არ ჩარეულიყო. მიხეილ საბინინის მოხსენებითი ბარათიდან ისიც ირკვევა, რომ მას, თვითონ დაუხატავს წმიდა აბოს ხატი და მისი სახელობის ნიშისთვის შეუწირავს.

1869-1875 წწ. საბინინი პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში სწავლობს; თუმცა, მას პრობლემები შეექმნა აკადემიის დამთავრების შემდეგ, რადგან აღმოჩნდა, რომ მას თბილისის გიმნაზიის კურსის გავლის მოწმობა არ ჰქონდა. საბედნი-

ეროდ, მიხეილ საბინინს ქმედითი დახმარება აღმოუჩინა იმ დროს პეტერბურგის მიტროპოლიტმა, საქართველოს ყოფილმა ეგზარქოსმა ისიდორემ (ნიკოლსკიმ) (1844-1858 წწ). ეს მღვდელმთავარი სხვა რუსი ეგზარქოსებისაგან ყოველთვის გამორჩეული იყო და ამ შემთხვევაშიც კეთილი საქმე გააკეთა – მიხეილს ნება დართეს, ერთბაშად ჩაებარებინა გიმნაზიის და აკადემიის გამოცდები,რასაც მან წარმატებით გაართვა თავი.

ამის შემდეგ, საბინინმა აკადემიაში წარადგინა ნაშრომი: ,,საქართველოს ეკლესიის ისტორია VI საუკუნემდე". ნაშრო-მმა მოწონება დაიმსახურა და მის ავტორს მიანიჭეს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი. მიხეილი აკადემიაში სწავლის პერიოდშივე უნდა აღკვეცილ იყო ბერად. ვარაუდის საფუძველს ის იძლევა, რომ ამ პერიოდიდან იგი ყველა თავის შრომას ასე აწერდა ხელს: „მიხეილ (გობრონ) საბინინი". როგორც ჩანს, მიხეილმა თავის სულიერ წინაპრად და მისაბაძ მაგალითად X ს. ქართველი წმიდანი მიქელ-გობრონი აირჩია. საბინინი თვლიდა, რომ ქრისტიანობისთვის თავდადება და მოწამეობრივი ცხოვრება ყოველგვარ პირობებშია შესაძლებელი და – აუცილებელი და არა მარტო ექსტრემალურ ვითარებაში.

მიხეილ-გობრონ საბინინი
„საქართველოს სამოთხე" – წიგნის გარეკანი

შესაძლებლად მიგვაჩნია, გამოვთქვათ ვარაუდი, რომ მიხეილმა თავისი პორტრეტული მსგავსება ჩააქსოვა წმიდა მიქელ-გობრონის ლითოგრაფიაში, რომელიც მის განთქმულ წიგნში „საქართველოს სამოთხეშია" მოთავსებული (ს/პეტერბურგი, 1882). თუ კარგად დავაკვირდებით გამოსახულებას, შევამჩნევთ, რომ ამ წმიდანს, მოულოდნელად, სლავური იერი დაჰკრავს. საინტერესოა, რომ ამ წმიდანისადმი მიძღვნილ საგალობელში მიხეილი სთხოვს მიქელ-გობრონს, დაიცვას იგი: „ხილული და უხილავი მტრებისაგან, რომელთაც სურთ, დაშრიტონ სული ჩემი".

საბინინის მოღვაწეობის დასახასიათებლად, მხოლოდ ხსენებული **,,საქართველოს სამოთხეც"** კმარა. ამ კაპიტალური წიგნის (მისი მოცულობა 700 გვერდამდეა) შექმნა, ერთ ადამიანს კი არა,ათეულობით მოღვაწეს შემოსავდა სამარადისო შარავანდედი. „საქართველოს სამოთხეში" თავმოყრილია 50 ქართველი წმიდანის ცხოვრება მარტვილობა. ეს გამოცემა შემკობილია ამ წმიდანთა არაჩვეულებრივი ლითოგრაფიებით, რომელთა შექმნაში თვით საბინინს მიუძღვის დიდი წვლილი. იგი წერდა, რომ პირველ ჩანახატებს, ესკიზებს, თვითონ ასრულებდა, შემდეგი სრულყოფისათვის კი, მათ სამხატვრო აკადემიის პროფესიონალებს ანდობდა.

ამას გარდა, მიხეილ საბინინმა შექმნა და ბერლინსა და ლაიფციგში დააბეჭდინა უმშვენიერესი ხატი **,,საქართველოს ეკლესიის დიდება",** (1889-1895 წ.) რომელიც, დღეს-დღეობით, მთელს საქართველოშია მოფენილი, სამწუხაროა, მხოლოდ,

ცოტამ თუ იცის, რომ მისი შემქმნელი მიხეილ საბინინია.

მიხეილ საბინინმა გაამშვენიერა აგრეთვე ბოდბეში წმიდა ნინოს საფლავი, წმიდა იოანე კრონშდატელს კი, 16 ფუთის ზარი შეაძენინა და საქართველოში გამოაგზავნინა.

მიუხედავად ასეთი რუდუნებისა და დამსახურებისა, საბინინის ცხოვრება, რბილად რომ ვთქვათ, არ იყო უღრუბლო. მას ძალზე ბევრი მტერი, მოშურნე თუ უბრალოდ, არაკეთილისმყოფელი გამოუჩნდა. თითოეულ მის ქმედებას, საოცარი, წარმოუდგენელი წინააღმდეგობა ხვდებოდა... ამიტომ წერდა მიხეილ-გობრონი, რომ ის მხოლოდ იესო ქრისტეს ავედრებს თავის ცხოვრებას და მხოლოდ მისი იმედი აქვს.

მიხეილ-გობრონ საბინინის მიერ დაწერილი ხატი „საქართველოს დიდება“.

რუსული ოფიციოზი განსაკუთრებით დევნიდა საბინინს. მას ვერ პატიებდნენ, რომ რუსული გვარისა იყო და საქართველოს და მის ეკლესიას ასე თავდადებით ემსახურებოდა.

XIX საუკუნის 80-90 წლებში მიხეილ საბინინი რუსეთის საეკლესიო და საერო ხელისუფლების წარდგინებით, რამდენჯერმე საქართველოდან გაასახლეს კიდეც...

ყველასგან მიტოვებული, ავადმყოფი მიხეილ – გობრონი, ხელნაწერთა არშიებს ანდობს თავის გასაჭირს.

1859 წლის ქართულ ხელნაწერ „დავითნს“ მიხეილი მოსკოვში, 1891 წელს ასეთ მინაწერს ურთავს: „განძევებულ ვიქმენ საქართველოსგან 1890 წელს, თებერვლისა ⲕ(1) დღესა, თვალები დამიბრმავდა წვეთისაგან. მივემთხვიე პეტერბურღს, სადაცა დავყავ ათი თვე და იქიდამც განძევებულ ვიქმენ. აწ მოსკოვსა შინა ვიმყოფები, კი ვიდრე ერთი წელი... ჰკითხოს ღმერთმა, მაგინებელთა ჩემთა, ლოცვა ჰყავთ ცოდვილისა მიხეილ საბინინისათვის“[5].

ასეთი ცრემლით იწერებოდა ამ მარტვილის ცხოვრება. ყველა მისი წერილი მოთქმა და გოდებაა.

1900 წლის 10 მაისს მიხეილ-გობრონ საბინინი ფილტვების ანთებით,მარტობაში გარდაიცვალა მოსკოვში. დაკრძალეს იქვე, წმიდა დანიელის მონასტერში. სამწუხაროდ, დღეისათვის, მისი საფლავი გამქრალია პირისაგან მიწისა. ვერ აღსრულდა მიხეილის სიკვდილისწინა ნატვრა: „დამმარხეთ საქართველოში!“

. . .

ვაქვეყნებთ მის ერთ უცნობ წერილს ეპისკოპოს (შემდეგში კათოლიკოს-პატრიარქი) კირიონ II-ისადმი. წერილი რუსულ ენაზეა დაწერილი. თარგმანი შეასრულა ქ-ნ მარიამ ნიაურმა.

ძვირფასო მამაო,
მწყემსმთავარო კირიონ!

ვემთხვევი თქვენს წმიდა, კურთხეულ მარჯვენას. კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან აღგამაღლა თქვენ მსახურებად მოციქულებრივ ხარისხში[1].

იმედი მაქვს,რომ დიდსულოვანი იქნებით და მოწყალე, ვითარცა მამა, ხოლო მკაცრი და დამსჯელი – ეკლესიაში მსახური ავაზაკებისა, რომელთა მსგავსთა შემწყნარებლობაც დანაშაულია; მოწყალებასა და სამართლიანობას შორის ზღვარის ცოდნა საჭიროა.

ჩვენში ყოველი ეკლესიური დაფარვის შედეგად დაიღუპა – გაუგებრობის, შეწყნარების და უგუნური გულშემატკივრობის შედეგად. შიოს მთის[2] და სხვა სავანეების ნორმალურად მოწესრიგება დიდი ღვაწლია და ღმერთმა თქვენ მოგიწოდათ ამისათვის; აღსრულება თქვენზეა.

ამ დღეებში ეგზარქოსს გავუგზავნე ჩემი ნაშრომი „საქართველოს ეკლესიის ისტორია V1 საუკუნის დასასრულამდე“ და მასთან ერთად მცირე ჩანაწერი, სადაც ვამბობ, რომ თუკი ჩემს შესახებ რაიმეს შეტყობა სურს, მაშინ მოგმართოთ თქვენ, მამა დავითს[3] და მამა პავლე კონჭოშვილს“[4], ხოლო სხვებს არ ვენდობი, რადგან ყველა[5] ცრუობდა და პირფერობით არიან აღვსილნი.

თუ თქვენ რამეს გკითხავთ (ეგზარქოსი, ვ.კ.), იმედი მაქვს, სამართლიანობას და გულითადობას გამოიჩენთ. მზად ვარ გემსახუროთ (იგულისხმება საეკლესიო სამსახური – ვ.კ.), მხოლოდ ერთი პირობით: რომ ვიყო დავითგარეჯისა და ნათლისმცემელის წინამძღვარი (ნათლისმცემელი ქართულადაა ჩაწერილი – ვ.კ.). ღვთის შეწევნით, მე მათ წარუძღვები, საეკლესიო წესზე გავმართავ და საკმაო რაოდენობით ბერს შემოვიკრებ; მე სრულებით ბერი ვარ, მაგრამ ღვთის ნებას ველი[6]..(VI)

მხედველობაში გყავდეთ. თქენთვის ნიმუშების გამოგზავნა მთხოვეს (როგორც ჩანს, საუბარია სამღვდელმთავრო შესამოსელზე – ვ.კ.), იქნებ კარგი, იაფფასიანი შესამოსელი დაგჭირდეთ თქვენთვის და მსახურე- ბისათვის, შეგიძლიათ, პირდაპირ მომმართოთ; მისამართსაც შეგახსენებთ. მოწყალება მოიღეთ და .მომწერეთ.

დამლოცეთ და მოიხსენიეთ გარდაცვლილი დედაჩემი – ეკატერინე, დიდად დამავალებთ. გულითად პატივს მოგაგებთ, თქვენი ერთგული მსახური – მ. საბინინი – (1898. 12 აგვისტო).

ვაჟა კიკნაძე

1 იგულისხმება კირიონის ხელდასხმა ალავერდის ეპისკოპოსად.

2 მიხეილი ასე უწოდებს “შუამთა’ („შიოს მთა”).

3 იგულისხმება შემდეგში ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე.

4 იგულისხმება ეპისკოპოსი პეტრე კონჭოშვილი.

5 მიხეილი გულისხმობს ექვთიმე გლიაშვილს, რომელიც მართლაც ორპირობით გამოირჩევა და შემდეგში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის წინააღმდეგ გაილაშქრა.

6 აქ ტექსტი მცირედ შემოკლებულია და ლეონიდე ოქროპირიძეს შეეხება.

ლიტერატურა და წყაროები

1. მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები...
2. საქ.ეროვნული საისტ.არქ. ფონდი 489.აღწ,1 საქმე 26395 ფ.9.
3. М.Сабинин (Иверие ц), «Полное жизнеоп...» С/Тб,1872,с.63
4. ხელნ.ეროვნ.ცენტრი, ალ.ოქროპირიძის ფონდი №1354,ფ/3.
5. რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკა (მოსკოვი), ხელნაწ. განყ. ფ/180/11№3 ფ.9-10.
6. ხელნაწ. ეროვნ. ცენტრი, კირიონის ფონდი, საბ.№1036.ფ-1–3. ნახევრის საქართველოს საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, წ. II, თბ 1983, გვ.168
7. საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფონდი 489, აღწ.1 საქმე 26395 ფ.9
8. М.Сабинин (Иверие ц), Полное жизне описание святых грузинской церкви, Ч.2 спб/Тб, 1872, с.63.
9. ხელნაწ. ეროვ. ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, საბუთი №1354, ფ.3.
10. რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკა (ქ.მოსკოვი), ხელნაწერთა განყოფილება, ქართულ ხელნაწ- — ერთა კრებული, ფსალმუნი, ფ. 180/11 №3 ფ.9-10
11 ხელნაწერთა ეროვნული ცრნტრი, კირიონის ფონდი, საბუთი №1036 ფ

DEKANOZI NIKITA (TALAKVAZE)

QARTVELI QALI

(ვუძღვნი მცხეთის სამთავროს დედათა სავანის
ნეტარხსენებულ იღუმენია ნინოს ხსოვნას)
1915 წელი. აპრილის 27, ანჩის-ხატი

ჩვენში ქალს დიდი და საპატიო ადგილი ეჭირა. უფლებრივად ქართველი ქალი ანუ დედა-კაცი თანასწორი იყო მამა-კაცისა. ეს სწორუფლებრივობა ამ ორი სქესისა აღნიშნულია თვით ჩვენი ერის არსებაში, – მისს ენაში, რომელიც არის გამომხატველი ადამიანის ჭკუა-გონების თუ მისი სულიერ ცხოვრების მთელი სალაროისა. აი, ამ ჩვენმა ქართულმა ენამ არც კი იცის სქესობრივი გრამატიკული კანონი! ეს გარემოება კი სამართლიანად ანიჭებს მას, სხვა ერთა ენებთან შედარებით, განსაკუთრებულ კეთილშობილებას, ლაზათს და თუ გნებავთ, სიმარტივესაც. ცხადია, სქესთა თანაბრობა, თანასწორობა, ნიშანდობლივი, თანდაყოლილი თვისებაა ჩვენი ერისა.

ისტორიული ცხოვრებაც ჩვენი ერისა საუცხოვო მაგალითებით ადასტურებს ამ გარემოებას. ჯერ იყო და სარწმუნოებრივ გადმოცემით, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ერი, ქერუბიმთა და სერაბიმთა უზესთაეს „დედაკაცის“ – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი გახდა! გარნა დედა ღვთისამ წარმოგზავნა პირველად, ანდრია პირველწოდებულის დროიდან, ჩვენში უხვად დათესილი სახარების თესლის მომვლელ-მომრწყველად და ასაღორძინებლად, ისევ – დედაკაცი, ქალწული წმიდა ნინო.

ამიტომაც იყო, რომ იმ დროის ქართველობას არ ეუცხოვა დედა-კაცისაგან სჯულის ქადაგება და სწავლა-მოძღვრება. პირიქით, წმიდა ნინოს უმანკო ხელმა, ვაზისაგან სასწაულებრივ შეთხზულ და საკუთარი თმით გადახვეულ ჯვრით, საოცარი სისწრაფით და საფუძვლიანად განამტკიცა ჩვენში სამოციქულო ეკლესია. როგორის სიმტკიცით და შეურყეველ რწმენით შეისისხლხორცა ჩვენმა ერმა იესო ტკბილის მოძღვრება! ვერავითარმა ჯოჯოხეთურმა ძალამ, ჩვენზე არაერთხელ აღმართულმა, ვერავითარმა ისტორიულმა ქარიშხალმა თუ გრიგალმა, ჩვენი ქვეყნის კიდით-კიდემდე არაერთხელ გადავლილმა, ქართველ ერს ვერ გააგდებინა ხელიდან ჯვარი ქრისტესი!

ეს იმიტომ, რომ სარწმუნოების გაუნელებელი ცეცხლი დედის ძუძუით უღვივდებოდა ჩვენს ხალხს გულში. დედის რძესთან ერთად სარწმუნოებაც ინერგებოდა შვილების მთელ არსებაში. ცნობიერებაში მოსული ჩვენი ვაჟი თუ ქალი დედის კალთიდანვე გრძნობდა, რომ ის არის ქართველი, რომელსაც აქვს ტურფა სამშობლო, ქრისტეს ემბაზში შობილი და მისი მოძღვრებით გაბრწყინვებული. არც სჯულს და არც მამულს ის არამც თუ არავის დაანებებს და შეაბღალვიებს, არამედ, ამ თვისის, წმიდათა-წმიდის დასაცველად – სიცოცხლესაც არ ზოგავს.

ამიტომ იყო, რომ ჩვენი ერი არაერთხელ განიბანა საკუთარ სისხლში! არა ერთი და ორი დედაკაცთა და მამაკაცთა გუნდნი და გუნდნი მოწამეთანი შეეწირნენ მსხვერპლად ქრისტე მაცხოვარს, უსჯულო მტერთაგან აღტყინებულ მოწამებრივ კოცონზე; არაერთხელ მორწყულა ჩვენი მიწა-წყალი მათი სისხლით, არაერთხელ წითლად შეღებილა მოდუდუნე მტკვრის მღვრიე ზვირთები და მქუხარე რიონის გიჟმაჟი ტალღები, მამულისათვის თავდადებულთა სისხლით!

ამ ჩვენ მოწამე დედათა თუ მამათა სახელი შენ უწყი, უფალო!

გარნა ამ სახით ჩვენი ეროვნული სულის ჩამდგმელი, მისი აღმზრდელი, მისთვის ქრისტიანულ ტკბილ ნანას მომღერალი იყო ქართველი დედა...

მოდით და ასეთ ქალს, ასეთ დედას, ნუ სცემთ პატივს! მოდით და ასეთ ადამიანს ნუ გაითანასწორებ, ნუ ჩააბარებ მას ოჯახის მესვეურობას, ნუ გამოუცხადებ მას მთელ ნდობას და სიყვარულს!

და მართლაც, ქართული ოჯახი მთელ თავის ნივთიერ თუ ზნეობრივ სიმძიმით

ქართველ ქალის მოხდენილ და თან მძლე-ღონიერ კისერზე იყო დაწოლილი. ჩვენი მამაკაცი ბრძოლის ველზე აღამებდა და ათენებდა! ის იშვიათი სტუმარი იყო თავის ოჯახში! მაშასადამე, ოჯახს ჰმართავდა და უძღვებოდა ქართველი ქალი!

ეს ქართველი ქალი ხშირად ბრძოლის ველზედაც გაიჭრებოდა ხოლმე და ვაჟკაცებს აქაც ტოლს არ უგდებდა! რავდენია ამის მაგალითები ჩვენს იტორიაში!...

მაგრამ რომ უფრო ცხადად წარმოვიდგინოთ ნიჭი და უნარი ქართველი ქალისა, ის ყოველგვარი სიმაღლე, რომელსაც მან მიაღწია ჩვენს ისტორიულ ცხოვრებაში, საკმარისია მოვიგონოთ, რომ მეთორმეტე საუკუნეში გაერთიანებულ, მთელ თვის კულტურულ ძალღონით შემოკრებილ საქართველოს ტახტზე ავიდა ქართველი ქალი – „ღვთისა დარი“ მეფე თამარი!

აბა, მოვიხედოთ და ვსცნათ ბურუსით მოცულ საშვალო საუკუნოებში რომელ ევროპიელ ერს ჰყავდა უზენაეს გამგედ, ქვეყნის მომვლელ-პატრონად, დედაკაცი?! – არც ერთს! ჩვენ – კი! ამიტომ, წმიდა თამარი არის ქართველი ქალის დიდება, მისი დაუჭნობელი გვირგვინი! თამარის სახე არის ის ზნეობრივი სუფთა, კრიალა სარკე, რომელშიდაც ქართველი ქალი ხშირ-ხშირად უნდა იხედებოდეს ხოლმე და რწმუნდებოდეს თვის სახის უფერუმარილო მშვენიერებაში! მაშ, თაყვანი ეცით, ასულნო ივერიისანო, წმიდა თამარს და ჰბაძევდით მას...

ბევრ მოწამე დედათა ცხოვრება წამიკითხავს სხვა ქრისტიანულ ერთა ძველ და ახალ ისტორიებში, მაგრამ არც ერთს არ აღუძრავს ჩემში ის ცხოველი გრძნობები, არც ერთს არ დაუტოვებია ჩემში ის აღმოუფხვრელი ზნეობრივი შთაბეჭდილებანი, რომელიც განვიცადე და დამრჩა კახეთის დედოფლის ქეთევან წამებულის ისტორიით! იმედია, მკითხველი ამ სიტყვებს „მჟავე მამულიშვილობაში“ არ ჩამომართმევს. ასეთ მკითხველთ მე მივუთითებ თუ გინდ იმ გარემოებაზე, რომ ქეთევან-წამებულის ნაწილები, მისი ნეშტი, კათოლიკეთა მისსიონერებმა დიდის სასოებით წაასვენეს სპარსეთიდან და დღეს, ეს ჩვენთვის განსაკუთრებით სათაყვანებლი ნაწილები, ასვენია ომისაგან აოხრებულ-განაწამებ პატარა ბელგიაში!

ხსენებული მისსიონერები შახ-აბაზის კარზე იყვნენ იმ დროს და თვით მოწამენი გახდნენო იმ სულიერი სიმტკიცისა, იმ შეურყეველი რწმენისა, სჯულისა და მამულისადმი ერთგულებისა, რომელიც ქართველმა ბანოვანმა ქალმა გამოიჩინა გააფთრებულ მტარვალთან ბრძოლაში და საკუთარი სისხლით აღბეჭდა თვისი უმანკოება! დიდი ტრაგედიაა ქეთევან წამებულის ღვაწლი, გარნა ამ ტრაგედიას ჩვენი დრამატურგები ჯერ კიდევ ვერ მისწვდნენ, ისინი პატარ-პატარა უმნიშვნელო რამ საგნებზე ახურდავებენ თავიანთ ნიჭს...

ღრმად ჩაგვახედეს ჩვენ წინაპარ დედათა გულში უკვდავმა მგოსნებმა, ილიამ და აკაკიმ. ილიას „დედა და შვილი“, გარნა, აკაკის „ქართველი დედა“ – ეს ჩვენ მანდილოსანთათვის, ყოველდღიურ ლოცვის შემდეგ, სავალდებულო საკითხავად უნდა იქნეს მიჩნეული...

ასეთი იყვნენ ჩვენი დედები! მაგრამ ჩვენი ერის ისტორიულ ჩარხის უკუღმართ ტრიალმა ჩამოართვა მას თაოსნობა თვის ცხოვრების მართვა-გამგეობისა და მას შემდეგ ყველაფერმა იცვალა ჩვენში ფერი. გარნა საოცრად იცვალა ხასიათი ქართველმა ქალმაც!

რა არის დღეს ქართველი ქალი, რას წარმოადგენს ის შინ თუ გარედ?! – ეს ყველამ ვიცით. მაგრამ მაინც მოვაგონებთ მკითხველთ ჩვენი ბაირონის, ნიკო ბარათაშვილის სიტყვებს ძველ და ახალ დედებზე:

„ჰოი დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა ტკბილსახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!
ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული, ახლა თქვენგვარი?
ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ ვაამოთ ჩვენ საკუთარ გულს;
რის ქართველობა, რა ქართველობა,
ვითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?!“.

ასე მოსთქვამს მგოსანი და აფრქვევს ცრემლებს სამშობლოს ნანგრევებზე... მაგრამ აჩრდილივით თან დასდევს მას იმედი ჩვენი ერის გამოღვიძებისა და განახლებისა... ის ესაუბრება ერეკლე მეფის საფლავს და ამბობს: „ჟამთა ვითარებით გარდახვეწილთ შენ შვილთ მიდამო, მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო... მუნით ზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად, მხურვალე ცის ქვეშ მოსამკალად ერთი ათასად“.

მართლაც, ევროპიულ განათლებას მძლავრად დაეწაფა ჩვენი ახალი თაობა. ქალი თუ ვაჟი, ყველანი მიისწრაფიან აღიჭურვონ თანამედროვე მეცნიერების და სწავლის იარაღით. ასეთ მისწრაფებაში უკანასკნელ ხანებში ვაჟებს არც ჩვენი ქალები ჩამორჩნენ...

მაგრამ ყველა ესენი ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას არსებითად ვერასა სძენენ,არცა სჩანს რაიმე სასიკეთო,თვალსაჩინო გავლენა მათი ჩვენი ერის განახლება-აღორძინებაზე. ეს იმიტომ,რომ ამათში ოჯახისათვის მომზადებულნი,ძალიან ნაკლებად მოიპოვებიან. ამათ ახალი რამ თითქოს შეუძენიათ, მაგრამ ამ „შეძენაში“ ძველი, კულტურულად ნაცადი ტრადიციები უკუ უგდიათ!...

ამ მხრივ დიდი დაქვეითება ეტყობა ჩვენს საზოგადოებრიობას. ჩვენი ქალები (და სამწუხაროდ არა მარტო ქალები) ითვისებენ უფრო გარეგან სახეს ევროპული განათლებისას და კულტურისას. შეძენა იმას ჰქვია, როდესაც რაცა გაქვს იმას სასიკეთო რამეს შეჰმატებ! თორემ, მაგალითად, ევროპიული ენები შეისწავლო და მშობლიური დაივიწყო, ეს ვერაფერი შეძენაა, მეტი რომ არა ვსთქვათ!...

პოხილი და გმირთა ძვლებით მოკენჭილი, მიწა-წყალი, – საოცარი სილამაზით მორთულ–მოკაზმული, მომხიბლავად მობიბინე ვენახ-ბაღი-ზვრები და მწვანედ ატეხილი ტყე-ჭალაკები! ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა დაუბნელდეს ადამიანს საცნობელი, როგორ გამსუნაგებული უნდა იყოს ის, რომ ყოველივე ეს – „ჭინჭში“ გადასცვალოს ან ნარდ-კარტ-ლოთობაში გადაჰყაროს! მაგრამ... ეს ჩვენში ფაქტია, ცოცხალი ფაქტი! მაშ, დროა თვალებზე ხელი მოვისვათ!

ენა ხომ ლამის არის გამოიდევნოს ჩვენი ინტელიგენციის, თავად-აზნაურთა და, წარმოიდგინეთ, თვით ქართველ სამღვდელოთა (უფრო ქალაქად) ოჯახთაგანაც კი! საქალებო გიმნაზიაში თვით არ არის ქართული სწავლება და თუ ზოგან არის, იქაც ერთი თუ ორი ქართველი ქალი აცხადებს სურვილს ქართულის სწავლისას. ასეთივე სუ-

საქართველოს ნეტარნი დედანი:
წმიდა მოციქულთასწორი ნინო, წმიდა დიდმოწამე ქეთევან დედოფალი,
წმიდა კეთილმორწმუნე მეფე თამარი,

.

ჩვენი ქალებიც იცვამ-იხურავენ ისე, როგორადაც ევროპიელნი – უკანასკნელ მოდის მიხედვით. ამისათვის ისინი ხშირად არც კი დაგიდევენ, შესძლებს თუ არა ქართველ კაცის მჭლე ჯიბე ამ მოდების მიყოლას, – „ოღონდ კი აამონ საკუთარ გულს“. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ (და ახლაც ხშირია ასეთი მოვლენები), რაც ჩვენ თავად-აზნაურთა მეუღლენი და ქალიშვილები ერთ „ბალზე“ გასასვლელი ტანთსაცმელის შესაკერად აგირავებდნენ და შემდეგ სულ ხელიდან ეცლებოდათ მამა-პაპეული, მასაზრდოებელი, სისხლით გა-

რათია ვაჟთა სასწავლებლებშიდაც. ამაზე არაერთხელ ატეხილა განგაში ჩვენს პრესაში, მაგრამ ისევ მალე ჩამცხრალა, როგორც ეს ზნედ დაგვჩემდა ყოველივე საქმეში.

ქართული ენის ასეთი უპატივცემულობის მიზეზი, გარეშე პირობათა გარდა, უმთავრესად უნდა ვეძიოთ ქართველი დედის დაუდევრობა-უყურადღებობაში მშობლიური ენისადმი. ერთხელ, ერთი ქართველი მღვდლის ოჯახში გახლდით სტუმრად. ფოსტალიონმა ღია ბარათი შემოიტანა. მღვდლის ქალი, გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფე, სწერდა დედას ბარათს სოფლიდ-

გან,სადაც ორი დღის წინად გაეგზავნათ ის ნათესავებში. ქართველი ქალიშვილი ქართველ დედას სწერდა ბარათს ასე: „დოროგაია მამოჩკა! პრიეხალა ბლაგოპოლუჩნო, ვსტრეტილი რადუშნო, ობნიმაიუ ტებია კრეპკო, ტვოია სონია“! – რომ გავიკვირვე ასეთი „კორესპოდენციები“, აღმოჩნდა, რომ ჩვენს ქალიშვილს ქართული წერა-კითხვა თურმე „არ ეხერხება“! – „დედა ენაცვალოს, ისე სუფთად სწერს და ლაპარაკობს რუსულად, რო ვერც კი შეამჩნევთ თუ ქართველიაო“! – ბრძანა „ფოფოდიამ“! ან არა და „დიდკაცობაში“ განგებ არ ასწავლიან დედები ბავშვებს ქართულს: „რად უნდათ, რაში გამოადგებათ, მაინც მოესწრებიან, ახლა უცხო ენები უნდა შეისწავლონ, თორემ სასწავლებელში ვეღარ ისწავლიან, გაუჭირდებათ და დაიტანჯებიანო“!.. ამას მამაკაცებიც კვერს უკრავენ და... მიდის ასე ჩვენი უფერული, ყველასგნით აბუჩად აგდებული ცხოვრება. განა სანამდის მიგვიყვანს ასეთი სიბეცე, ამას დიდი ლარი და ხაზი არ სჭირდება. ბრალი კი ამის უმთავრესად, ჩემი აზრით, ისევ ქართველ აწინდელ დედებს ედებათ.

ასეთია ეროვნული სახე ჩვენი დროის „განათლებული ქართველი ქალისა!“ რაღას წარმოადგენს ის სარწმუნოების მხრივ?! – როგორც ზემოდაც გვქონდა ნათქვამი, ქართველი ქალის უმთავრეს სამკაულს ძველად სარწმუნოება შეადგენდა. ახლა კი ამ მხრივ ქართული ოჯახი და მასში მისი მესვეური – დიასახლისი, სამწუხარო სურათს წარმოადგენს. ისპობა ჩვენს ოჯახებში უკანასკნელი კვალი სარწმუნოების საღი ტრადიციებისა, ცრუმორწმუნეობა კი ვითარდება. ტყვილა კი არ არის ნათქვამი: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარს წმიდასა!“ ჩვენში ძნელი გამოსარკვევი იყო სად თავდებოდა ეროვნული სულისკვეთება და სად ინთებოდა სარწმუნოებრივი ცეცხლი ჩვენი ხალხისა, – ისე მჭიდროდ ჩახლართულ-ჩაქსოვილნი იყვნენ ესენი ერთი მეორეში! ამიტომ ენის „წახდენამ“, ერის დაცემა გამოიწვია, გარნა ერის დაცემამ სანამდის მიიყვანა ჩვენი „ტაძრები“, ამას ყველანი ვხედავთ!

ჩვენს მოზარდ მოწაფეებში, ვაჟებსა თუ ქალებში, განურჩევლად, იშვიათად რომ იპოვნოთ პირველდაწყებით ლოცვების ქართულად მცოდნენი. ეს იმიტომ, რომ ოჯახში არ უსწავლებიათ ბავშვისთვის ეს ლოცვები, ხშირად თვით ბავშვების დედებმაც კი არ იციან ეს ლოცვები ქართულად, სკოლებში კი „ზაკონ ბოჟიეს“ სულ სლავიანურად ასწავლიან და „ქართულად რაღა საჭიროაო?!“ გარნა უცხო ენაზე ბავშვი კი არა, დიდი, განათლებული კაციც კი ვერ ახერხებს ლოცვას. ამას თვით პავლე მოციქული მოწმობს...

ამ მხრივ, ჩვენი სოფელი ხომ უფრო უბედურ მდგომარეობაშია. ამ შვიდიოდე წლის წინათ შემთხვევა მომეცა, ჯარში გასაწვევ ქართველ ახალგაზრდათა დაფიცებას შევსწრებოდი. შეკრებილიყო ერთ-ერთი მაზრის ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობა. ფიცს რომ მორჩნენ, ჯვარსა და სახარებაზე მთხვევის დროს, ვერც ერთმა პირჯვარი ვერ დაიწერა სწორედ! მე სირცხვილის ალმურმა დამწვა, სხვა დამსწრენი კი... იცინოდენ...

რა არის ესა, თუ არა ცოცხლად სიკვდილი იმ ჯარისკაცთა დედებისა?! მე არას ვამბობ მათ სულიერ „მამებზე“ და „მოძღვრებზე“, ვიტყვი მხოლოდ ჭალადიდელის უკვდავ სიტყვებით: „თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია!“ – ჩვენში „საძირკველი“ შერყეულია და მაშენებლებიც აღარ გვივარგან.

ცხადია, რომ ჩვენს ერს გაუჩნდა დიდი მტერი, ულმობელი და გულქვა, ეს მტერია, ურწმუნოება. ურწმუნოების მთესველი ჩვენში ბევრია დღეს, გარნა სარწმუნოების დამცველი, მომვლელ-განმამტკიცებელი, ხალხის ოჯახურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი გამტარებელი – ძლიერ ცოტა, თუ სულ – არა...

ამ მხრივ ძლიერ ვკოჭლობთ ქართველი სამღვდელოება, რომელმაც ჩვენი სამსახური ლამის არის პროფესიად გადავაქციოთ და მხოლოდ რელიგიური წესების, ისიც ულაზათოდ, ასრულებაში დავსახოთ! ვშიშობ, ხომ არ უახლოვდებით ჩვენ, – მღვდლები, – ქრისტე მაცხოვრის დროის „სადუკეველებს“, რომელთა ბელადი იყო „კაიაფა“, – ძე ღვთისა იესოს უმთავრესი ბრალმდებელი?! აღარას ვამბობ „ფარისეველებზე“!...

ამ მხრივ, მაშასადამე, ძლიერ კოჭლობს სამღვდელოება, დაძაბუნებულია სკოლა, გავერანების გზაზე ადგია თვით ქართული ოჯახი, რომლის სათავეში დგას აწინდელი „ქართველი დედა“, სარწმუნოების მხრივ ძლიერ უვიცი, განუვითარებელი და ძლიერ დაუდევარიც...

ძნელია ურწმუნო ადამიანის მდგომარეობა, მით უმეტეს – მთელი ერისა! ის თითქოს ფეხქვეშ ნიადაგ გამოცლილ არსებას ემს-

გავსება! მისი სული და გული მხოლოდ ნელ-თბილია, ზოგჯერ კი ძლიერ ცივიც, ყინულივით გათოშილი... ასეთი კაცი უბედურია, ქალი კი, ამასთანავე – საზიზღარიც! ქალი, როგორც ნაზი, მგრძნობიარე არსება, უნდა იყოს ჭურჭელი ყოველივე სიკეთისა და სათნოებისა, გარნა ყველა სათნოებათა და სიკეთეთა სათავანია სარწმუნოება, სასოება და სიყვარული ღვთისადმი. ვაუკაცს, რა გინდ ურწმუნო იყოს ის, – მეუღლე მაინც მორწმუნე, მორცხვი, თავდაჭერილი და სათნოებიანი სურს! ეს ჩემი ყურით მომისმენია თანამედროვე ჩვენ „ურწმუნოთაგან“, მატერიალისტებისაგან – რაც არის სწორედ მათი „ურწმუნოების“ ტრაგიზმი! ურწმუნო და აღვირახსნილ ქალებს გაურბიან მამაკაცები, ეშინიათ მათთან შეუღლება...

ვიმეორებ, ჩვენ ძლიერ ცალმხრივად ვითვისებთ თანამედროვე კულტურას. ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვვარდებით და ვერ შევქმენით ისეთი საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელიც უნდა იყოს მრავალფეროვანი და მრავალშინაარსიანი. როდესაც რაიმეს ვსესხულობთ და ვიძენთ გარეშეთაგან, ჩვენი ნაცადი და კარგი ღირსება-თვისებები როდი უნდა უკუვაგდოთ! ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს, ყველაფერი თავის დროზე კარგი და გამოსადეგია! მაგალითად, თანამედროვე კულტურის შეთვისებამ, ჩვენში ლამის არის სულ ერთიანად დაჩრდილოს და შეაყენოს სარწმუნოებრივ-ეკკლესიური განვითარება-წარმატება. ამაზე ჩვენში იშვიათად რომ ვინმე ზრუნავდეს და ჰფიქრობდეს. ამიტომ, ეს დარგი ჩვენი ეროვნულ-ისტორიულ ცხოვრებისა ძლიერ დაკნინდა, დამახინჯდა და, თუ კიდევ ერთხანს ასე გასტანა, სულ მოდუნდება, უფრო გაიხრწნება, მოსპობით კი არ მოისპობა, იმიტომ რომ უკულტოდ ადამიანი, სანამ ადამიანად იქნება ის, ვერ იცხოვრებს. და სჯობია, რომ ეს სარწმუნოებრივი კულტი გვქონდეს სუფთა, ამაღლებული, სულის და გულის დამატკბობელი, ეროვნულ ძალთა მასაზრდოებელი და არა სიბნელის და ბოროტების მომფენი.

სხვა ქვეყნებში პარტიებიც არიან, განათლება – ძირგადგმული, ცოდნა-მეცნიერება – შესანიშნავი, მეტი სიმდიდრე, მეტი სიამოვნება, ათასგვარი ხელოვნება, აურაცხელი გასართობები, – მაგრამ იმავ დროს, სულიერი მხარეც ადამიანის არსებისა ჰპოულობს იქ შესაფერ საზრდოს. გული გაგინათლდება, როდესაც ვხედავ მშვენივრად დაყენებულ გალობას, სასულიერო მწიგნობრობას, ღვთისმეტყველურ-ფილოსოფიურ ლიტერატურას, რომელსაც თავის მკითხველი ჰყვანან და თავის ქურუმნიც.

ჩვენში კი ყოველივე ეს დაეცა, რაც გვქონდა ძველთაგან დატოვებული, იმაზე გავიყინეთ, ბიჯი ვეღარ გადავდგით წინ, ხოლო ეს ძველებიც მუზეუმებში გვიწყვია, წაკითხვაც კი არ ვიცით მათი! – ეს კი დიდი ნაკლია ჩვენი ცხოვრებისა და დროზე უნდა ეშველოს ამას. არ გვყვანან ამ დარგში ბეჯითი მომუშავენი, თავდადებულნი მუშაკნი. ჩვენი ტაძარ-მონასტრები თავზე გვენგრევა, ზოგიც სხვათა ხელში გადადის და გვეკარგება. ჩვენს სამრევლო ეკლესიებში სოფლად თუ ქალაქად წირვა-ლოცვა სრულდება მეტისმეტად დაუდევრად, უსასოდ და უშნოდ. ვინღა იცის ჩვენში ტიბიკონი! გალობა ხომ სულ ხელიდან გამოგვეცალა! თვით აღარ არის ჩვენს ეკლესიებში დღეს გალობა და თუ სადმე კიდევ გალობენ ქართულად, – ეს ისეთ წარყვნილ, არეულ-დარეულ კილოთი, რომ ყურთა სმენა აღარ არის ასეთ მგალობელთაგან; და ესენი სასოების ნაცვლად იწვევენ მორწმუნეთა შორის სამართლიან საყვედურს და გულისწყრომას.

იღუმენია ნინო ამილახვარი (1816-1905 წ.)

დაეცნენ, ლამის არის სულ ჩამოინგრენ ჩვენი სახელოვანი ტაძარ–მონასტრები, – საუკეთესო ნიმუშნი ქართულ ხუროთმოძღვრებისა! სხვაზედ არას ვიტყვი, ვიტყვი მხოლოდ მცხეთის ათთორმეტ მოციქულთა სახელობის ტაძარზე! საცაა ჩამოინგრევა ის, ისევ წვეთი ჩამოდის სახურავში, ფანჯრები ვერ ჩაუსვამთ, რომ ტრედის და სხვა ფრინველთა ბუდედ არ გადაქცეულიყო ეს ჩვენი სიწმიდე, სადაც პირველად დაირწა ჩვენი სარწმუნოების აკვანი, სადაც არაგვის მტკვართან შესართავში გვეგულება ქართველი ერის იორდანე! მერე?!. ვინ იცხელებს მისთვის თავს?!. სწერეს ბევრი, ბევრი „რეჩები“ და დაპირებანი მოვისმინეთ იქ, მაგრამ საქმედ არცერთი არ ქცეულა და არც იქცევა, თუ თვით ქართველი ერი არ იტვირთებს თვის სიწმინდის მოვლა-პატრონობას, სხვას რა ესაქმება?!. – ერთი ნანგრევი ეკლესიით მეტი იქნება საქართველოში, სხვა არაფერი! ამას წინათ ქართული თეატრი იმსხვერპლა ცეცხლმა. ეს უსათუოდ დიდი ეროვნული ზარალი და უბედურებაა ჩვენთვის. მაგრამ საზოგადოება გამოეხმაურა ამ უბედურებას. თუმცა ნელა, მაგრამ თეატრის ასაშენებლად იღწვიან, ფულს აგროვებენ და ღვთის მადლით, მალე ავაშენებთ კიდეც უკეთეს თეატრს. საჭიროა თეატრი! დიადია მისი აღმზრდელ-განმაფაქიზებელი მნიშვნელობა, მაგრამ ის მცხეთის დიდებული ტაძრის მაგიერობას ვერ გვიზამს! გარნა მცხეთის ტაძრისათვის ვინმე იღებს ან ხმას, ან კრინტს, ან ერთ გროშს?! აი სწორედ ამაზე გვითითებენ გარეშენი, – „არ უნდათ ქართველებს სარწმუნოება-ეკლესიაო“! ნუთუ ეს მართალია?! თუ ეს მართალია, – გვაცნობეთ, ბატონებო, და ჩვენც შეიძლება... თეატრში მოვიდეთ, ეკლესიების კარებს გამოვკეტავთ! ჩვენც ქართველ მანდილოსნებთან ახალ კლუბში ლოტოს ვითამაშებთ! საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი! თითქოს ერთი მეორეს უშლიდეს! სხვაგან კი არ უშლის! ჩვენში კვირა-უქმეზე საყდრები ცარიელია, კლუბები კი ყოველ დღე სავსეა!...

იქვე, მცხეთის ტაძრის ახლოს ჩვენს ყურადღებას იწვევს მცხეთის სამთავროს დედათა სავანე, წმიდა ნინოს „მაყვლოვან ბუჩქთან“ არსებული, სადაც გვისვენია ქართველობას ჩვენი პირველი ქრისტიანე მეფე წმიდა მირიანი და მეუღლე მისი ნანა. მადლობა ღმერთს, რომ ეს სავანე მაინც შეგვრჩა! ამას უნდა უმადლოდეთ ნეტარხსენებულ იღუმენია ნინოს (ამილახვარს), რომელმაც ფასდაუდებელი, მოციქულებრივი, დედობრივი ღვაწლი დასდო ამ ჩვენს წმიდათა-წმიდის მოწესრიგებას და აღდგენა-გამშვენებას.

ერთი ასეთი ადამიანი ქიზიყ-კახეთის მხარეშიც გამოჩენილიყო, დღეს წმიდა ნინოს განსასვენებელი სავანეც ჩვენს ხელში იქნებოდა და ქართველი ადამიანი სტუმრად როდიღა იგრძნობდა იქ თავს!...

ახალკურსდამთავრებული ერისკაცი ვიყავი, როდესაც პირველად ღირსი გავხდი იღუმენია ნინოს ხელზე მთხვევისა. ეს იყო 1899 წლის ზაფხულში. არასოდეს არ დამავიწყდება მისი წმინდანისებური სახის გამომეტყველება, დედობრივი მოფერება და დარიგება, რომელიც მე მან გადმომცა.

დედა იღუმენია ნინოს ღვაწლი სწორედ საგულისხმოა ჩვენ ქართველ მანდილოსანთათვის. ბანოვანმა ადამიანმა, რომელსაც ეს ქვეყანა ია-ვარდით ფიანდაზად ეფინებოდა წინ, – დაჰგმო, უარყო სიამენი ამა სოფლისანი და მთელი თვისი სიცოცხლე ამ საშვილიშვილო საქმეს შესწირა და ანაცვალა. ეს ნამდვილი „მენელსაცხებლე“ დედა იყო! ასეთი მენელსაცხებლენი საქართველოს ეკლესიისათვის უნდა გახდნენ ჩვენი ქალები, ისინიც უნდა მსახურებდნენ ჩვენს გაპარტახებულ ეკლესიებს „ნაყოფთაგან თვისთა“.

იზრუნონ არა მხოლოდ თავიანთ ჩაცმა-დახურვა-კოხტაობაზე, არამედ საქვეყნო საქმისათვისაც, ექმნენ ჩვენს ოჯახს ქრისტეს სარწმუნოების და ზნეობის ბურჯად, აღზარდონ ახალი თაობა ნაცად სარწმუნოებაში და მამულიშვილობაში, დარაჯად დაუდგნენ ქმრებს, რომ მათ ჩვენი მიწა-წყალი სხვებს ხელში არ ჩაუგდონ და თუ ამის გარდა ახალ კულტურულ სარბიელზედაც გვასახელებენ, ღმერთმა ხელი მოუმართოთ და ჩვენი ლოცვა-კურთხევა უძღოდეთ წინ.

ბროშურიდან – **„იღუმენია ნინო“**
1915 წ.

MAMULISATVIS ZVARAKAD SEWIRULI ERISKACI
(LEVAN GOTUAS GAXSENEBA)

ლევან გოთუა დაიბადა 1905 წლის 10 მარტს პართენ გოთუასა და სოფიო კემულარიას ოჯახში. პართენ გოთუას, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, „სამშობლოს ფხიზელსა და ერთგულ დარაჯს“ უწოდებდა იოსებ იმედაშვილი. პართენმა ეს უანგარო პატრიოტიზმი, სიწმინდე და პატიოსნება უძვირფასეს მემკვიდრეობად გადასცა თავის შვილებს. დედას არასდროს უმუშავია, ბავშვების აღზრდას ხელს ვერ დავაკლებო, უთქვამს. ისინი კი ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ.

მოსიყვარულე მშობლების ხელში ნეტარებით გაიარა ბავშვობამ. ლევანის მეხსიერებაში ძვირფას მოგონებად აღიბეჭდა სოფელში გატარებული დღეები.

მაგრამ დასრულდა ეს უშფოთველი ხანა – საქართველოს „წითლები“ შემოესივნენ. კოჯრისა და უძოს მიდამოებში ბრძოლები მძვინვარებდა. ლევანი და მისი უფროსი ძმა, არჩილი, ომში გაიპარნენ. გაქცეული ბიჭები 7 დღის შემდეგ დაბრუნდნენ. აღელვებულნი გაიძახოდნენ: – ძმათა სასაფლაო ვნახეთ, სადაც თორმეტი ვაჟკაცი ქართველი ერთად ჩავასვენეთ, საშინელ სროლაში მოვყევით და ძლივს გადავრჩითო – თან თურქული შაშხანა და ზარბაზნის ლულა მოიტანეს.

მალე საქართველოში ბოლშევიკები გაბატონდნენ, დაიწყო ტერორი. ბიჭები ამ დროს თოფს დასტრიალებდნენ და „ფირალობანას“ თამაშობდნენ. მაგრამ გამცემი ხომ არ დაილევა! ოჯახს ერთ დღეს ჩეკისტები დაატყდნენ თავს და თოფის ძებნაში მთელი სახლი გადაჩხრიკეს, თუმცა იარაღი, რომელიც იქვე, თვალწინ ედოთ, ვერ იპოვეს.

მშობლებმა გადაწყვიტეს ბიჭები ამ არეულობისთვის გაერიდებინათ და უცხოეთში გაეგზავნათ, მაგრამ უშედეგოდ.

ამასობაში დადგა 1924 წლის აგვისტო. ბოლშევიკთა წინააღმდეგ ჩაფიქრებული აჯანყება გაიცა და დაიწყო პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დაპატიმრება. ლევანი ამ დროს აბასთუმანში ისვენებდა. იქ შეიპყრეს. ქართველი, ოსი და სომეხი ჯალათების სამეულმა დახვრეტა მიუსაჯა ლევანს და მრავალ მისდარს, მაგრამ მათ სულზე ჩაუსწრო ახალციხის მაზრის მილიციის უფროსმა ღვამიჩავამ და ლევანი დახვრეტას გადაარჩინა, შემდეგ კი ტუსაღები თბილისში გამოგზავნა.

თბილისში პართენიც დააპატიმრეს. მამა-შვილი ციხეში შვიდი თვე იჯდა. შემდეგ ერთდროულად გამოუშვეს. პართენი თურმე ორჯერ გააღვიძეს შუაღამისას და შეცდომით, ლევანის მაგივრად გაიყვანეს დასახვრეტად. მერე ჯავრობდნენ თურმე ჯალათები: ჩვენ უმცროსი ლევან გოთუას დახვრეტა გვინდოდა და არა ამ მოხუცისო. „მე მომკალით, ოღონდ ჩემი შვილი დაინდეთო“, – ღრიალებდა სასოწარკვეთილი მამა. ამ ტკივილმა ნაადრევად დააბერა პართენი და ერთიანად გაათეთრა.

გაიარა საშინელმა 1924 წელმა. ლევანი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი გახ-

ლდათ და სტუდენტებსა და ამხანაგებთან ერთად ძალზე აქტიურობდა. 1925 წლის ზაფხულის არდადეგებზე ოჯახი აბასთუმანში წავიდა დასასვენებლად, მაგრამ აგვისტოს ერთ ღამეს ჩეკისტები დაეცნენ, ლევანი დააპატიმრეს და თბილისში წაიყვანეს. ამჯერად რომელიღაც სტუდენტური ორგანიზაციის მეთაურობა დაბრალდა. „სამეულმა“ მას 3 წლით ციხე მიუსაჯა, შორეულ ციმბირში გადასახლებით. ისე სწრაფად გააყოლეს ეტაპს, რომ ახლობლებმა ვერც ნახვა და ვერც თბილი ტანსაცმლის გადაცემა ვერ მოახერხეს. ოცი წლის „სამშობლოს მოღალატე“ ჯერ მოსკოვში, ბუტირკის ციხეში ჩასვეს, ორი თვის შემდეგ კი, სხვა ქართველებთან ერთად, ჩრდილოეთში,სოლოვეცკის კუნძულებზე უკრეს თავი. აქ ბოლშევიკებს მამათა მონასტერი ციხედ გადაექციათ, სადაც პატიმრებს მორალურად და ფიზიკურად ანადგურებდნენ. ქართველ პატიმრებს ერთად დგომამ, ერთ მუშტად შეკვრამ გადაატანინა ციხის მძიმე ცხოვრება.

გულის ფანცქალით მოელოდნენ საქართველოში ლევანის ყოველ წერილს. პართენი ბევრს ეცადა, გაეგო, რაში მიუძღოდა ბრალი მის შვილს. როგორც ბოლშევიკების განცხადებებიდან გაირკვა, საქართველოში განსწავლული, დიდგვაროვანი და ინტელიგენტი მნიშვნელოვნად ჭარბობდა სხვა რესპუბლიკაში მცხოვრებ სულიერ წრეებს, დაბალანსებისთვის საჭირო იყო საქართველოში მათი მოსპობა და პროცენტული გათანაბრება. რაღა გასაკვირი იყო ლევანის ხვედრი!

სოლოვეცკში ჩაყვანილი ქართველები ბნელ, მუხლებამდე ჩამყაყებული წყლით სავსე სარდაფში მოათავსეს, სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ერთად. დამხვდურებმა ახალმოსულთა დაჩაგვრა მოინდომეს. ქართველებმა უკან არ დაიხიეს, იჩხუბეს კიდეც და ბოლოს შიმშილობა გამოაცხადეს. 30 დღის შემდეგ მიაღწიეს მიზანს, მაგრამ საშინელი მსხვერპლის ხარჯზე – მათგან ძალიან ცოტა გადარჩა.

1927 წელს მოხდა სასწაული – ლევანის საქმეს გადახედეს და სოლოვეცკის მონასტერში პატიმრობა თავისუფალი გადასახლებით შეუცვალეს, ოღონდ ერთი პირობით: მას არ შეეძლო სამშობლოში დაბრუნება, საზღვრისპირა და 6 მთავარ ქალაქში დასახლება.

ოჯახში იფიქრეს და ლევანისთვის საცხოვრებლად ვლადიკავკაზი აირჩიეს – პართენი ადრე იქ მუშაობდა და ბევრი მეგობარი ჰყავდა.

ვლადიკავკაზში ლევან გოთუა აგვისტოში ჩავიდა და მამის რჩევით, – დახმარებისთვის მღვდელ გიორგი ნათაძეს მიაკითხა. იმ დროს იქ 10 000 ქართველი ცხოვრობდა, ჰქონდათ ქართული სკოლა, ეკლესია. მამა გიორგიმ დაარსა ქართული კლუბიც, სადაც იქაური ქართველები იკრიბებოდნენ.

მამა გიორგიმ იქაურებს გადასახლებიდან დაბრუნებული ქართველების დახმარება სთხოვა. ერთმა ქართველმა კაცმა, სიმონ ბურდულმა, სამი ქართველი ახალგაზრდა თავისთან წაიყვანა.

ლევანმა სამსახურის ძებნა დაიწყო. სხვაგან არსად მიიღეს და იძულებული გახდა, დროებით ყიზლარის ქართულ სკოლაში დაეწყო მუშაობა, შემდეგ კი ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაში გადავიდა მასწავლებლად. ქართული ლიტერატურა და საქართველო ბავშვებს ისე შეაყვარა, რომ ოცდაათიან წლებში ბევრი ქართული ოჯახი გადმოსახლდა თბილისში. თვითონ კი... კვირაში ერთხელ ჩეკაში უნდა გამოცხადებულიყო,თორემ ისევ დააპატიმრებდნენ.

უფროსი ძმის გარდაცვალება რომ შეატყობინეს, იქ რაღა გააჩერებდა! თბილისში რამდენჯერმე ჩამოსულა მალულად, ყოფილა არჩილის საფლავზე, მამაც უნახავს, შინ კი არ მისულა.

გაიარა გადასახლების სამმა წელმა და სასჯელი კიდევ სამი წლით გაუხანგრძლივეს. მამა გიორგიმ გაამხნევა ახალგაზრდა, უთხრა: – წლები მალე გარბიან, შვილო; საქართველოში რეპრესიებია, არავინ დარჩა დაურბეველი, ვინ იცის, იქნებ უკეთესიც კია, აქ რომ ხარ გამოხიზნულიო. – რაღას იზამდა ლევანი, დაემორჩილა ბედს.

ვლადიკავკაზში დაიწყო ლევან გოთუამ ლიტერატურული მოღვაწეობა. ხატვა და ძერწვაც ემარჯვებოდა. მისი გამოძერწილი შოთა რუსთაველი დიდხანს ამშვენებდა სკოლის დარბაზს.

ვლადიკავკაზში ცხოვრებამ ლევანს

მთები შეაყვარა და ალპინისტობაც დააწყებინა. ცეკას აღრიცხვიდან აღრიცხვამდე, ზაფხულში, ჯერ გარეშემო მთები დალაშქრა მალულად, მერე კი მწვერვალთა დაპყრობის სურვილმა მესტიაშიც ჩაიყვანა სხვა გვარით.

ტაატით გადიოდა წლები უცხოეთში. თავს იმით იმშვიდებდა, ჩემი მასწავლებლობით აქაურ ქართველობას გადაგვარებისგან შეძლებისდაგვარად ვიცავო. ერთი პირობა, სარატოვში წასვლა და სწავლის გაგრძელება სცადა, მაგრამ ნება არ დართეს, ვადის ამოწურვამდე ვერსად წახვალო, მიახალეს.

უბედურებას უბედურება დაერთო – გადასახლების ვადის დასრულების შემდეგ კიდევ სამი წელი დაუმატეს. „თითქოს ნელი წამებით სიკვდილი მაქვს მისჯილი და ამ წამების ხანგრძლივ გზას სამ-სამ წლიანი სიჩქარით გავდივარ კიდეცო“, – წუხდა იმედგაცრუებით გაწამებული. მის მეგობრებსაც იგივე ხვედრი ერგოთ.

„საქართველოდან ამოძირკულმა“ ახალგაზრდებმა საზღვარგარეთ გაქცევა გადაწყვიტეს. შეაგროვეს ფული, გამყოლიც იშოვეს, გადალახეს ჭოროხის პირველი მუხლი და კვლავაც ჩეკისტებს ჩაუცვივდნენ ხელში – თურმე მეგზურს გაეცა ისინი. მძიმედ დაჭრილი ერთი მათგანი წყალში დაიხრჩო, სამი კი თბილისის ციხეში გამოამწყვდიეს.

ისევ „სამეულის“ სასამართლო, ისევ ციმბირში გადასახლება – ახლა უკვე ხუთი წლით... ბიჭებმა სამართლის პოვნის იმედით შიმშილობა სცადეს, დასუსტდნენ, გაძვალტყავდნენ, მაგრამ ვის მოულბობდა გულს „სამშობლოს მოღალატეთა“ სასოწარკვეთა?

ლევანი მშობლებს ანუგეშებდა, ყველაფერს მივეჩვიეო, სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარად იყო. იმედი მაინც კიაფობდა მის სულში: „დრო მოვა და წარსულო სიცოცხლევ, ხელახლა დაიწყებიო“.

ერთხელ, ბანაკის პატიმრებს მდინარე ობში ბანაობის ნება მისცეს. წყალმა ლევანი გაალაღა, მოუსვა მხარული, დიდხანს მიცურავდა, რომ მოიხედა, ნაპირი აღარ ჩანდა. ერთი კი იფიქრა, გადავლახავ მდინარეს და გავიქცევიო, მაგრამ ასე ხომ სამშობლოში დაბრუნების ყოველი იმედი მოესპობოდა. ამიტომაც უკანვე გამოუცურავს. ბანაკში ჰგონებოდათ, ობში დაიხრჩოო, ამოეწერათ და მისი ტანსაცმელი სხვისთვის მიეცათ. მაგრამ დაბრუნებული ლევანი, როგორც „ურჩი“ პატიმარი ჯერ ერთი კვირა იზოლატორში გამოკეტეს, მერე კი ვიღაცის ჭუჭყიანი ძველმანებით შემოსეს. მისი ზომის ფეხსაცმელი ვერ უშოვეს და კარგა ხანს ფეხშიშველი დადიოდა.

1935 წლის მარტში ნარიმიდან ახალ ციმბირში, ალტაის მხარის ქალაქ ბიისკში გადაიყვანეს და მარცვლეულის მეურნეობაში გაამწესეს ეკონომოსად.

გარემოს შეცვლამ იმედი გაუჩინა. იმედი სახლშიც ჰქონდათ: იქნებ კარგი მუშაობის გამო ვადაზე ადრე გამოუშვანო; მაგრამ ვინ იცის, ეგებ სჯობდა კიდეც ლევანისათვის უცხოეთში ყოფნა, რადგან საქართველოში რეპრესიები მძვინვარებდა. დაიჭირეს ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი. პართენ გოთუაც ყოველ წამს ელოდა დაპატიმრებას.

მაისის ერთ დღეს პართენი შინიდან გავიდა და ავტოკატასტროფაში მოჰყვა. ნაწამები კაცი ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს. დაკრძალვაზე მის მეგობარს, ტიკო თავდგირიძეს, გულთბილი სიტყვა წარმოუთქვამს, რისთვისაც იქვე დაუპატიმრებიათ და უკვალოდ გაუქრიათ...

სექტემბრის ერთ დილას გოთუების სახლის კარს ჩუმად ვიღაც მიადგა და დააკაკუნა. შეშინებულებმა გააღეს კარი და შემოვიდა ახოვანი ვაჟკაცი, ბრგე, ხუჭუჭთმიანი, მხარზე ზურგჩანთაგადაკიდებული. ეს ხომ ლევანი იყო?! მათი

ლევანი, დაკაცებული, მრავალჭირგამოვლილი. „ძლივს დავბრუნდი სამშობლოში, – ოხრავდა ვაჟი,– ან რას ერჩიან იმ ხალხს, რომელსაც სიცოცხლეზე მეტად სამშობლო უყვარსო“. ბევრის თქმაც სწადდა, მაგრამ დედამ პირზე ათრთოლებული ხელი მიაფარა, კედლისკენ ანიშნა ჩურჩულით: – „მაგასაც ყურები აქვსო“. მერე კი ამდენი ხნის ნაგროვებმა ტკივილმა ერთიანად ამოხეთქა: „ლევან, გაჩერდი“, – დაიკივლა თურმე დედამ,– „მეტის ატანა აღარ შემიძლია!“ ეს დღე იყო და ეს დღე, ვაჟს აღარ გაუხსენებია თავისი წარსული.

ლევანი თბილისში კი ჩამოვიდა, მაგრამ პასპორტი მხოლოდ ათი დღის შემდეგ მისცეს, ჩაწერაზე კი საერთოდ უარი განუცხადეს. იძულებული გახდა, წალკაში წასულიყო სამუშაოდ. იქ ექვსი თვე დაჰყო. ერთხელ სამხედრო კომისარიატში გამოიძახეს,ბიოგრაფია დააწერინეს – როგორ დამალავდა თავის ნასამართლეობას. ერთ ღვთისნიერ მილიციელს უთქვამს: წადი გამეცალე, შენს ცოდვაში ნუ გამრევო. ისიც იძულებული გახდა, ლუქსემბურგში (დღევანდელ ბოლნისში) გადასულიყო საცხოვრებლად.

ამ პერიოდს ლევან გოთუამ თავისი ლიტერატურული აღმავლობის პერიოდი უწოდა. აქ დაამთავრა ორი დრამა: „მეფე ერეკლე“ და „ჩაძირული სოფელი“. პირველი საკავშირო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გააგზავნა მოსკოვში. მეორე დრამით კი რუსთაველის თეატრში აკაკი ხორავას მიადგა. ხორავას მოეწონა პიესა, მხოლოდ ფინალის შეცვლა მოსთხოვა – არ შეიძლება, თანამედროვე პიესაში მთავარი პირი იღუპებოდესო. შეურაცხყოფილმა ლევანმა ხმამაღლა შეჰკადრა: – ჩემი სულიერი საზრდოთი და განცდებით მოვაჭრე არასოდეს ვყოფილვარ და არც გავხდებიო, – დასტაცა ხელი პიესას და კარი გამოიჯახუნა.

ამის მერე იყო, ვახუშტის „გეოგრაფია“ რომ აიღო და მთელი ქართლი მოიარა. „ჩეკასთან მიჯაჭვას, ბარემ კავკასიონს მივეჯაჭვებიო“ – ირონიით ამბობდა ხოლმე. იქ, ყინულოვან სამყაროში, გრძნობდა სრულ თავისუფლებას. მთაში ალიოშა ჯაფარიძე გაიცნო და დაუმეგობრდა. მასთან ერთად დალაშქრა კავკასიონის მწვერვალები, პეშვით შესვა მდინარე ხდეს წყალი და მერე თავისი „ხდედალეულობით“ ამაყობდა.

ამასობაში „პატარა კახმა“ საკავშირო კონკურსში გაიმარჯვა, რამაც სტიმული მისცა, ეკონომისტობას თავი დაანება და მთლიანად ლიტერატურულ შემოქმედებაზე გადაერთო. 1938 წელს თბილისში ჩაწერის ნებაც მისცეს.

დადგა მშვიდობიანი დღეები. ლევანმა მოიმარჯვა კალამი და წერაყინი და საქართველოს მთა-ბარის შემოვლა იწყო. იმ დროინდელი ჩანაწერები შემდგომში „მგზავრულ კრიალოსნად“ აიკინძა. „მეფე ერეკლე“ კი მარჯანიშვილის თეატრის

სახარება. 1817წ., ლევან გოთუას პირადი არქივიდან. დედათა მონასტერს შემოწირა მაია გოთუამ (მწერლის ძმისშვილმა)

სცენაზე დაიდგა 1941 წელს. ის-ის იყო, სამამულო ომი დაიწყო – პატრიოტული სპექტაკლი სრული ანშლაგით მიდიოდა. დარბაზში ტევა არ იყო. იქვე ისხდნენ და ტაშს უკრავდნენ ლევანის „ჩრდილებიც“ – ჩეკას მიერ მიჩენილი აგენტები, რომელთაგანაც მწერალს მოსვენება არ ჰქონდა.

სპექტაკლზე აღფრთოვანებული რეცენზიები იბეჭდებოდა, მაგრამ ლევანზე სიტყვაც არ იყო ნათქვამი.

მწერალს ეს არ ანაღვლებდა. მოიარა ქართლი, რაჭა, ხევსურეთი, ლეჩხუმი, სვანეთი. 1944 წელს მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა მისი მეორე პიესა „უძლეველნი“. დაიბეჭდა მისი რამდენიმე ნაწარმოებიც. 1945 წლის ზაფხულში ლევანი დაუკავშირდა ალიოშა ჯაფარიძეს, რამდენიმე მეგობარს და კაცხის სვეტზე ავიდნენ. თბილისში დაბრუნდა, მაგრამ „აჩრდილები“ არ ასვენებდნენ. სახეტიალოდ დავითგარეჯში წავიდა, დაათვალიერა და გადაწყვიტა,

მალე დავბრუნდები და აქაურობას ვუპატრონებო, მაგრამ არ დასცალდა...

მარჯანიშვილის თეატრში მისი პიესა „დავით აღმაშენებელი“ დაიდგა, მაგრამ „ფეოდალური წყობის განდიდებისათვის“ სპექტაკლი მოხსნეს.

1946 წელს ზურგჩანთაში „ვეფხისტყაოსანი“ ჩაიდო და მესხეთ-ჯავახეთისკენ აიღო გეზი. სწორედ იქ დაიჭირეს მესამედ. ხელახლა დაიწყო გოთუების ტანჯვა-წამება. საეჭვო ვერაფერი უპოვეს, მაგრამ ბრალდების შეთხზვას რა უნდოდა! კვლავ ანტისაბჭოთა ჯგუფის შექმნა დააბრალეს და მასთან ერთად ბევრი მისი მეგობარი გაუყენეს ციხის გზას.

მამაცურად დაუდგა ლევანი განსაცდელს, ჯალათებს სულ მატყუარები და ჯალათები უძახა: დადგება დრო და საბრალდებო სკამზე თქვენ თვითონ მოხვდებითო – უთხრა შეშინებულ რაფავას, ტირანსა და კაცისმკვლელს, რომელსაც დაუბღავლია: ეს არ მოხდებაო! – და ლევანის ცემა უბრძანებია. მაინც ვერ გატეხეს ვაჟკაცი, ხელი ვერაფერზე მოაწერინეს. ბოლოს, ათი წლით ვორკუტაში გადასახლება მიუსაჯეს.

მატარებელი ტაიგის თვალუწვდომელ სივრცეებში მიჰქროდა, ლევანის ფიქრი კი ისევ სამშობლოს დასტრიალებდა.

როგორც იქნა, ჩაიყვანეს ვორკუტაში სურავანდით ნაავადმყოფარი და სიკვდილს გადარჩენილი. ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანესთან ახლოს მრავალი ქვანახშირის საბადო იყო. მუშახელი უფასო ჰყავდა „ბედნიერ საბჭოეთს“... ყინვა, თოვლი, ქარბუქი, შიმშილი, არაადამიანური ყოფა, დამცირება – რა ენამ აღწეროს ის მიწისზედა საზვერეები?! ყველაფერთან ერთად, შინ წელიწადში ორად-ორი წერილის გაგზავნის უფლებას აძლევდნენ, უსამშობლოდ ცხოვრება უჭირდა, დარდმა ისე გააჭაღარავა, ბანაკში „ბატიას“ და „დედუშკას“ ეძახდნენ. „ჩემი ნაწერები და ჩემი გმირები ყოველთვის ჩემზე ბედნიერები იყვნენ... არა მშურს! ასეთია ბედის შეუვალობა“, – სწერდა ახლობლებს. წერილებიღა იყო მისი ნუგეში. „როცა წერილს ვწერ, თავი საქართველოში მგონიაო,“ – ოხრავდა.

გოთუები ლევანის ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ამანათების გაგზავნას ვერ აუდიოდნენ, ის კი მხოლოდ წიგნებსა და საწერ ქაღალდს ითხოვდა. მაღალი ძაბვის ქვესადგურში მუშაობდა მონტიორად და აქ ჩუმად, მალულად წერდა რომანს ალექსანდრე დიდის დროინდელ საქართველოზე. ხელნაწერებს მეგობრებს უკითხავდა და სწორედ მათ დაარქვეს ამ წიგნს „გმირთა ვარამი“. წიგნი კი დაწერა, მაგრამ ბანაკიდან გამოტანა არ გინდოდა? ჰოდა, ქართველებმა ასეთი რამ მოიფიქრეს: ბანაკის ტერიტორიაზე დაყრილი მორები გამოაფუღუროეს და შიგ ნაწერები ფურცელ-ფურცელ ჩადეს, შემდეგ ისევ სათანადოდ დახურეს. ეს მორები კი ქალაქში თავისუფლად მცხოვრებმა ვალიკო ჭუმბურიძემ იყიდა. ყველა მორი ვალიკოს ეზოში შეგორდა... წიგნი საქართველოში ერთ გათავისუფლებულ ქართველს გამოატანეს. ასე დაიწერა და ჩამოაღწია ჩვენამდე „გმირთა ვარამის“ ორმა წიგნმა.

ბანაკში ყველას უყვარდა ლევანი, ყველა მას ეკითხებოდა რჩევას. მეგობრები „ლევან ბერს“ ეძახდნენ. ერთმანეთის გატანით გაჰქონდათ ქართველებს თავი.

ლევან გოთუას მემორიალური ნივთი:
კაცხის ქვის ნატეხი ვერცხლის ლუსკუმაში.
დედათა მონასტერს შემოწირა ქ-ნ მაია გოთუამ

კიდევ ერთი დეტალი: გოთუა თანამემამულეებს „ჩაპარუსკებას“ – ქართულად საუბრისას რუსული სიტყვის ჩართვას უშლიდა და „დამნაშავეს“ „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის შესწავლით სჯიდა.

ერთხელ, 1952 წელს, მოულოდნელად სამუშაოდან გამოიძახეს და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, რკინიგზის სადგურზე წაიყვანეს. ეტაპმა ვაი-ვაგლახ-

ით ჩააღწია მოსკოვში. ბუტირკის ციხეში აბანავეს, ახალთახალი ტანისამოსი ჩააცვეს, წვერი გაპარსეს, თმა შეკრიჭეს და ჩეკაში მიიყვანეს, იქ კი... თავისუფლების სანაცვლოდ აგენტობა შესთავაზეს. წამოიჭრა ლევანი და იღრიალა: „მე ჩემი ერის გამყიდველი არასოდეს ვყოფილვარ და არც ვიქნებიო“, და ისევ ვორკუტაში დაბრუნება მოითხოვა. თხოვნა უმალვე შეუსრულეს.

გადიოდნენ წლები და თან მიჰქონდათ ლევანის ახალგაზრდობა. იგი ერთს ნატრობდა მხოლოდ: „ნეტა ჩემს დაღლილ და დატანჯულ სხეულს ედირსოს სამშობლოში საკუთარი აკლდამაო“. 1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ, ბანაკში რუსული შოვინიზმი გამეფდა. ამან დიდ გაფიცვას მისცა ბიძგი, მაგრამ ტყვიამფრქვევის ცეცხლით სისხლში ჩაახშეს ეს გაბრძოლება... საგაფიცვო კომიტეტის წევრები დააპატიმრეს და იზოლატორში ჩაამწყვდიეს. საშველი არსაიდან ჩანდა.

ერთხელ ლევანმა თბილისის ლიტერატურის მუზეუმს ფსევდონიმით გამოუგზავნა თავისი პიესა „სამსახეობა რაინდისა“. მუზეუმში დიდი ბჭობა გაიმართა. ბოლოს შეთანხმდნენ, რომ ნაწარმოების ავტორი ვიღაც დიდგვაროვანი, მეფის კარზე გაფუფუნებული ქართველი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ დიმიტრი ბენაშვილს გამოუთქვამს ვარაუდი, პიესა ლევან გოთუასი არ იყოსო, მაგრამ არავინ დათანხმებია.

მიილია გადასახლების წლები, რომლებიც, როგორც თვითონ ამბობდა, ერთი ადამიანისთვის ბევრზე ბევრი იყო გადასატანად და – დაუჯერებელიც... მოსკოვიდან კი, არა და არ მოდიოდა გათავისუფლების ბრძანება. ბევრი სხვაც იყო ასეთსავე დღეში. და აი, 1955 წლის ზაფხულში ვორკუტის ბანაკებში კვლავ გაიფიცნენ. მოსკოვიდან სასწრაფოდ ჩამოვიდა კომისია, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე რუდენკო ხელმძღვანელობდა. დაიწყო პატიმრების საქმეთა განხილვა. კაცმა არ იცოდა, როდის მოუწევდა ლევანს რიგი... ბოლოს თავი ვეღარ შეიკავა და კომისიის ოთახში შეიჭრა. რუდენკოსთან საუბარმა ორი საათი გასტანა. ლევანის სიტყვებმა კომისიის თავჯდომარეზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გათავისუფლების ბრძანებას იქვე მოაწერეს ხელი. ყოველი მხრიდან შემოეხვივნენ გახარებული ქართველები. რაღა არ უწოდეს: ერისკაცოო, ბერმუხაო, დიდებულო მამულიშვილოო... ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მის სიყვარულსა და პატივისცემაში.

საქართველოში 1955 წლის აგვისტოში ჩამოაღწია.

დასრულდა ოცდაორწლიანი ოდისეა, დაბრუნდა სამშობლოში მრავალჭირგადანახადი, განწმენდილი, ბალღივით სუფთა და მიმტევებელი გულით. ლევანის ჩამოსვლას მოჰყვა მისი მსაჯულების დაპატიმრება. სასამართლო პროცესზე ლევანმა, როგორც მოწმემ, მიწვევა მიიღო, მაგრამ სასტიკი უარი განაცხადა სასამართლოში გამოცხადებაზე, ახალგაზრდები აიყოლია და სულ სხვა მხარეს გასწია – დიდი ხნის ოცნება აისრულა, მყინვარწვერზე, ბეთლემის მღვიმეში ავიდა. მერეც, როცა დაღლილობას იგრძნობდა, მოიკიდებდა ზურგჩანთას და საქართველოს მთა-გორებს მოივლიდა. როგორ გაიხარა, როცა ერთი ასეთი მოგზაურობისას ფხენისში ლეონტი მროველის წარწერიანი ქვაჯვარი იპოვა!

ქართველმა ხალხმა შეიყვარა თავისი ნაწამები და ერთგული ლევან გოთუა. გამოიცა მისი წიგნები, მისი პიესების მიხედვით დაიდგა სპექტაკლები. ხელიდან ხელში გადადიოდა „გმირთა ვარამი“, „კრწანისის სევდა“. სიცოცხლის ბოლო ათი წელიწადი არმაზში გაატარა, თავის აგარაკზე, ისტორიული არმაზის სანახებში. „ტკბილეულს მონატრებული ბავშვივით გასცქეროდა მთებსო“, – იხსენებენ.

სიცოცხლის მიწურულს უკურნებელი სენი შეეყარა. ოფიციალურ წამლობაზე უარი განაცხადა და ტკივილთა დათმენით წარდგა ღვთის წინაშე, თავის მამა-პაპათა წინაშე. ძვალთშესალაგიც იქვე, არმაზში პოვა.

2005 წლის დეკემბერში უწმიდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის კურთხევით, ლევან გოთუას ნეშტი მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში დაიკრძალა. ჩვენს სათაყვანო ღირს მამა-დედათა საფლავებს შეემატა წმიდა სამარე მამულისათვის ზვარაკად შეწირული ერისკაცისა, სადაც მივა, ალბათ, წუთისოფლისაგან შეჭირვებული ქართველი, დაიჩოქებს, შესჩივლებს გასაჭირს, შეევედრება და უთუოდ მიიღებს ნუგეშსა და შეწევნას...

კახაბერ კენკიშვილი

KETILMSAXUREBA

(სამთავროს ფერისცვალების ტაძრის
კანკელის ხატების რესტავრაცია)

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში უკანასკნელ ხანს მრავალი ღირსსაცნობი საქმე აღსრულდა: მიმდინარეობს მოციქულთასწორ წმიდა მეფე მირიანისა და წმიდა ნანა დედოფლის საფლავების აღდგენა-მოპირკეთება, იხატება სატრაპეზო, მრავალ ხატს გაუკეთდა რესტავრაცია და მრავალი – კიოტში ჩაისვა.

მონასტრის წინამძღვრის, იღუმენია ქეთევანის, ლოცვა-კურთხევით, ამა წლის დამდეგიდან მიმდინარეობს სამთავროს მაცხოვრის ფერისცვალების ტაძრის კანკელის ხატების რესტავრაცია.

როგორც ცნობილია,სამ- თავროს ფერისცვალების ტაძრის კანკელში განისვენებენ სასწაულთმოქმედი, მირონმდინარე ხატები, რომლებიც დაწერილია XIX ს-ში მხატვარ მაკარ მინინის მიერ, ცაცხვის ხის ფიცარზე. აღნიშნული ხატების რესტავრირების საპასუხისმგებლო და საპატიო საქმე, წილად ხვდა ქ-ნ დიანა თევზაძე-ჭეიშვილს. მისი, როგორც მხატვარ-რესტავრატორის, ნამუშევრები ფართოდ არის წარმოდგენილი ადგილობრივ თუ საერთაშორისო მუზეუმებში; დიანას მიერ რესტავრირებული ნიმუშები გამოირჩევა კრძალვით, გემოვნებითა და პირველწყაროსადმი პატივისცემით, როგორც თანამედროვე გამოჩენილი მხატვარი ბ-ნი ამირან გოგლიძე აღნიშნავს: „მისთვის დამახასიათებელია დაზიანების გამოვლენა, ზუსტად მიგნება კომპონენტებისა და ორიგინალის პატივისცემა“.

ქალბატონმა დიანამ 1977 წელს დაასრულა საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დაზგური ფერწერის რესტავრაციის ფაკულტეტი. სწავლის გასრულებიდან დღემდე გიორგი ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმში მსახურობს ფერწერის რესტავრაციის განყოფილების გამგედ და სარესტავრაციო სახელოსნოს უფროსად. სხვადასხვა დროს მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით რესტავრაცია ჩაუტარდა საქართველოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში, აგრეთვე ზუგდიდსა და თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში დაცულ ნამუშევრებს... იგი წარმატებით მონაწილეობდა რუსეთისა და გერმანიის საერთაშორისო გამოფენებში. შემოქმედებით მუშაობასთან ერთად, იგი ღირსეული ქართველი დედაა, მას სამი შვილი ჰყავს.

სამთავროს მონასტერი
მხატვარ-რესტავრატორი დიანა თევზაძე და
ხატმწერი მონოზონი ნანა (ქუთათელაძე)

დიანა თევზაძის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ეკლესიისათვის გაწეული გარჯაა, რისთვისაც მადლობს უფალს, რომ ესოდენ წმიდა მსახურებისათვის გამოირჩია:

„მე ერთი უბრალო ადამიანი ვარ, ჩვეულებრივი მოკვდავი, ყოფითი თუ პირადი პრობლემებით სავსე, სხვებისაგან არც არაფრით გამორჩეული“, – ამბობს ქ-ნი დიანა და თითქოს უკვირს კიდეც, უფლის მიერ მასზედ მოღებული დაუმსახურებული წყალობა და ის მცირე სასწაულები, რომელიც სულიერი თუ ფიზიკური შეჭირვების ჟამს განამტკიცებს.

თავდაპირველად, როგორც მხატვარ-რესტავრატორი, ქ-ნი დიანა ეკლესიაში, კერძოდ, ძველი „წმიდა სამების“ ეკლესიაში მიიყვანა ამირან გოგლიძემ (უახლოესმა ნათესავმა და მეგობარმა). განსვენებული წინამძღვრის, დეკანოზ პავლე ბერიშვილის ლოცვა-კურთხევით, დიანამ ტაძრის უმთავრესი და უძველესი ხატების რესტავრირებას წარმატებით გაართვა თავი და განაახლა ყოვლადწმიდა სამების, წმიდა გიორგის, წმიდა ნიკოლოზის ხატები, მიუხედავად მძიმე ფიზიკური მდგომარეობისა. ქ-ნი დიანა აღნიშნავს, როგორც ყოვლადწმიდა სამების ტაძარში, ასევე სამთავროს დედათა მონასტერში ხატების სარესტავრაციოდ მოწვევაც მისთვის ერთ-ერთი სასწაულთაგანია, იგი გადმოგვცემს: „ 3-4 წლის წინ, ერთ-ერთ გაზეთში მამა გაბრიელის ცხოვრების შესახებ წავიკითხე. გული დამწყდა, რომ ესოდენ დიდი მამა ცოცხალი აღარ იყო, მანამდე კი მის შესახებ არაფერი მსმენოდა. ბერის მიმართ დიდი რწმენითა და სასოებით განვეწყვე, მის საფლავთან წასვლა და მუხლის მოყრა მომინდა.

კარგა ხნის შემდეგ მძიმე ავადმყოფობის დროს გამოვკეთდი და ჩემმა ქალიშვილმა მამა გაბრიელის საფლავიდან ზეთი მომიტანა, რომელსაც რწმენით ვღებულობდი. ვგრძნობდი, რომ ყოველი წვეთი საკურნებლად მერგებოდა. სამწუხაროდ მოხდა ისე, რომ საფლავზე მისვლა ვეღარ მოვახერხე. ერთ მშვენიერ დღეს კი, ჩემმა მეგობარმა, ნინო ოდიკაძემ, სამთავროს მონასტერში სარესტავრაციო ხატებზე მუშაობა შემომთავაზა. შემთხვევით, ღვთის ნების გარეშე ხომ არაფერი ხდება?!“

ამჟამად ქალბატონი დიანა დაკავებულია სამთავროს კანკელის მირონმდინარე ხატების რესტავრაციით და ყველაფრისათვის მადლობს უფალს.



IV-X SAUKUNEEBIS QARTULI QRISTIANULI KULTURA (BIZANTIUR KULTURASTAN SEDAREBITI ANALIZI)

საქართველო უძველესი და უმდიდრესი კულტურის ისტორიის მქონე ქვეყანაა. არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე მტკიცდება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლინდა ძველი წელთაღრიცხვით VII–VI ათასწლეულების ცივილიზაციის საწყისი ფორმები – მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და კერამიკული წარმოების სახით. საქართველო მეღვინეობის სამშობლოა, რომლის ნიმუშები თარიღდება ძვ.წ. V ათასწლეულით. სწორედ უძველესი ათასწლეულებიდან მოყოლებული, ქართველმა ადამიანმა ვაზი, ვენახი, მარადისობისა და განახლების სიმბოლოდ გაითავისა, რომელიც ღმრთისმშობლის საგალობლის ტექსტში და ქრისტიანული ტაძრების ჩუქურთმებში ასახა. მსოფლიო კულტურის ისტორიაში ქართული კულტურა წარმოგვიდგება თვითმყოფადი სახით. ამავე დროს, იგი ათასწლეულების მანძილზე ითავსებდა უძველესი მოწინავე კულტურების გავლენას. კერძოდ, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევების საფუძველზე ცნობილია, რომ ქართულ კულტურაზე ასახვა ჰპოვა შუმერულმა, ხეთურმა, ხურიტულმა, ირანულმა (აქამენიდური და სასანიდური პერიოდის), რომაულმა, სირიულმა, ბიზანტიურმა, არაბულმა კულტურებმა. ხოლო IV საუკუნის დასაწყისში საქართველოში ქრისტიანობის მიღებამ, ბიზანტიასთან საღვთისმსახურო ერთობამ, მთლიანად განსაზღვრა ქართული აზროვნების განვითარების გზა. როგორც ცნობილია, ბიზანტიის იმპერიამ მისი არსებობის (IV-XV სს.) მანძილზე ახალი ეტაპი შექმნა მსოფლიო კულტურის ისტორიაში, სადაც ქრისტიანობის სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის აღმსარებლობითი დავა გადაწყდა მართლმადიდებლობის გამარჯვებით, რომელმაც განსაზღვრა ღვთისმსახურების სწავლება ლიტერატურის და ხელოვნების ნიმუშების შესაქმნელად. მართლმადიდებლური სწავლების თანახმად, ბიზანტიური გავლენის ქვეშ მყოფ ერებს ნება ეძლეოდათ თავიანთ ენაზე შეესრულებინათ ღვთისმსახურება და განევითარებინათ თავიანთი ეროვნული კულტურა. აღსანიშნავია, რომ ბიზანტიურ არეალში მოქცეული ქვეყნები ახალ მსოფლმხედველობას – ქრისტიანობას, კულტურის განვითარების სხვადასხვა დონიდან ითავსებდნენ. უძველესი, მაღალგანვითარებული, წარმართული ტრადიციის მქონე ქართულ კულტურას ქრისტიანობამდელ ეპოქაში ჰქონდა სახელმწიფოებრივი არსებობის გამოცდილება – თავისი სხვადასხვა საზოგადოებრივი სტრუქტურებით, დამწერლობით, ასევე საინჟინრო, ხუროთმოძღვრების, ხელოსნობის, მუსიკალური ტრადიციითა და სხვა, შესაბამისად არსებობდა ქრისტიანობამდელი თვითმყოფადი კულტურული წანამძღვრები. ამ ნიშნით შემიძლია ვთქვა, რომ ქართული კულტურა ქრისტიანობის მიღებით, თავის კულტურის ისტორიას აგრძელებს ახალი მსოფლმხედველობრივი მიდგომით. სწორედ ქრისტიანობამდელი პერიოდის ქართული კულტურის მაღალმა დონემ განსაზღვრა, ქრისტიანობის არსებობის პირველ საუკუნიდანვე, ქართველების მიერ ქრისტიანობის, როგორც ახალი მწიგნობრული რელიგიის შეთვისება.

ქართული სამყარო დიდი სიწმიდეების მატარებელია. უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ საქართველოს მიწა-წყალზე I საუკუნეში მოდიან ქრისტეს მოციქულები: ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი და მატათა. მათ შორის წმიდა ანდრია პირველწოდებული სამჯერ იმყოფებოდა საქართველოში, ხოლო წმიდა სვიმონ კანანელი საქართველოშია დაკრძალული. ქრისტეს მოციქულების მოსვლით, ქართული ეკლესია მოციქულთა ეკლესიად ჩამოყალიბდა, რომელსაც ქრისტიანულ სამყაროში დიდი დატვირთვა აქვს მინიჭებული. I–II საუკუნეებში, მოციქულთა მოღვაწეობის დასასრულისათვის, იქმნება მათი მიმოსვლისა და ქადაგების შემცველი თხზულებები სხვადასხვა ენაზე. წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამისიონერო მოღვაწეობის ამსახველი ლიტერატურული ძეგლის თარგმანებს შორის განსაკუთრებით საგულისხმოა საბერძნეთში „ივერიის" ქართველთა მონასტერში, X საუკუნის მოღვაწე, ეფთვიმე (ექვთიმე) მთაწმინდელის თარგმანი, სახელწოდებით „მიმოსვლა", ხოლო მოციქულ სვიმონ კანანელის მიმოსვლის აღწერა, საყურადღებოა ქრისტეს მოციქულთა ისტორიის შესასწავლად. რუსული გამოცემის ტექსტიდან ვიგებთ წმიდა სვიმონის მიმოსვლის შესახებ იუდეიდან, როდესაც შემდგომ იგი მიდის „ეგვიპტეში, კირინეაში, მავრიტანიაში, ლივიაში და ბრიტანეთში", ხოლო წმიდა ანდრია პირველწოდებულთან და წმიდა მატათასთან ერთად ისინი მოდიან „ივერიაში"[1]. ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: რა ენაზე უნდა ექადაგათ ქრისტიანული რელიგია მოციქულებს, რომ იგი გასაგები ყოფილიყო

1 მ. კობიაშვილი, ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლა საქართველოში, თბ.,2008; Сказание о св.Апостол Симон Кананить (он-же Зилот), Санк-Петербург, 1903.

ქართული საზოგადოებისათვის? თუ გადავხედავთ ქართული ისტორიოგრაფიის მონაცემებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის პერიოდიდან არსებობდა ბერძნულ, არამეულ და ებრაულ ენებთან უშუალო კონტაქტი. კერძოდ, ქართველების ბერძნებთან კავშირი იწყება ძვ.წ. II ათასწლეულიდან, ხოლო VII საუკუნეში, საქართველოს შავიზღვისპირეთში, ბერძნების დასახლებისას კიდევ უფრო გამტკიცდა ქართულ-ბერძნული ურთიერთობა. ძვ.წ. VI საუკუნეში დევნილი ებრაელები მოდიან და სახლდებიან საქართველოს მიწა-წყალზე. ებრაელებს თან მოაქვთ უდიდესი სიწმიდე – ელია წინასწარმეტყველის ხალენი, რომელიც სვეტიცხოვლის ტაძარშია დამარხული. ამდენად, მოციქულების ცხოვრების პერიოდისათვის ებრაულ სამყაროში ცნობილი იქნებოდა აღნიშნული მოვლენა. აღმოსავლეთმცოდნე გიორგი წერეთელი წერს ძველი წელთაღრიცხვის ბოლოს არამეული ენის საერთაშორისო ენობრივ სივრცეში ქართველების მონაწილეობის შესახებ, რომლის ნაკვალევი აღმოჩნდა მცხეთაში II–III საუკუნეებით დათარიღებულ სტელაზე – ბერძნულ-არამეული წარწერით. აქედან გამომდინარე, ქართველებს შესაძლებლობა ჰქონდათ პირველწყაროდან გასცნობოდნენ ებრაულ სამყაროში შექმნილ ბიბლიას და ეთარგმნათ იგი ქართულ ენაზე. უძველეს თარგმანებს შორის სახელდება ქართულიც, კერძოდ, ინგლისში შემონახულია VI–VII სს. დათარიღებული სახარების ორენოვანი ქართულ-ებრაული პალიმფსესტი (ტყავზე, პერგამენტზე ნაწერი ტექსტი)[2].

ალავერდის ოთხთავი, ხელნაწერი A– 484, გადაწერილია 1054 წ. შავ მთაზე (სირია), კალიპოსის ქართველთა ლავრაში

ქრისტიანობის დამკვიდრებამ და მისმა გავრცელებამ მოითხოვა ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა. თავიდანვე შენდებოდა მცირე ზომის ტაძრები, რომლის დროს საყდარში მხოლოდ მღვდელმსახური იდგა, ხოლო მრევლი კი გარეთ. მაგრამ, ქრისტიანული მღვდელმსახურებისა და მრევლის გაზრდამ მოითხოვა ეკლესიების გაფართოება. სატაძრო არქიტექტურის თვალსაზრისით, ქრისტიანობის დამკვიდრების საწყის ეტაპზე, ქართულ სამყაროში ხდებოდა პარალელურად წარმართული კულტურიდან მომდინარე არქიტექტურული ფორმების დაძლევა – ერთგვარი შეთავსების გზით, და ახლის დამკვიდრება. ეს პროცესი ნათლად გამოვლინდა პირველი ქრისტიანული ტაძრების ნიმუშებში, თუნდაც IV საუკუნის ჭერემის მცირე ზომის ეკლესიის მაგალითზე, რომელიც განსხვავდება იმ პერიოდის ბიზანტიურ სამყაროში დადგენილი ნიმუშისაგან.

ქართული კულტურული თვისობრიობის განსაზღვრისას უმთავრესი პრობლემაა საკითხის გარკვევა: რამდენად აითვისა ქართულმა კულტურამ – მწერლობისა და ხელოვნების დარგების სახით, ბერძნულ–ბიზანტიური ტრადიცია, რა მიიღო მისგან ახალი. რა შექმნა თავისთავადი?

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კულტურის ზოგადი თვისობრიობაა მისი გახსნილობა – თავისი კულტურული მიღწევების გაცემისა, როგორც ეს ჩრდილოეთ კავკასიელთა გაქრისტიანებისას მოხდა, ასევე სხვა კულტურათა მიღწევების მიღების თვალსაზრისით. მაგრამ, როგორც აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე აღნიშნავს, ეს უკანასკნელი ხდებოდა ერთგვარი „გაქართულების გზით“. მსოფლიოში ქრისტიანობის არსებობის პერიოდიდან, კერძოდ I საუკუნიდან, ქართველი პილიგრიმების ლტოლვა ეგვიპტის, პალესტინის, სირიის უდაბნოებისაკენ საშუალება იყო ახალი რელიგიის პირველწყაროდან გაცნობისა. ეს იყო პერიოდი, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა ბერძნულ-ბიზანტიური ღვთისმსახურება, ხოლო შემდგომ პერიოდში, ბიზანტიის იმპერიაში (IV ს.) ჩამოყალიბებული კულტურის რამოდენიმე კერის არსებობისასკიდევ უფრო გაიზარდა ერთგვარი საინფორმაციო წყარო – ქრისტიანული კერების სახით, სადაც იქ, შორეულ მხარეში ქართველები აარსებდნენ ქართულ სამონასტრო კერებს. მათ შორის: პალესტინის ქართველთა მონატერს (V ს.), იერუსალიმში – ჯვრის მონასტერს (X ს.), საბერძნეთში – ათონის მთის „ივერიის“ ქართველთა მონასტერს (X ს.) და სხვა, სადაც ადგილი ჰქონდა დიდ მთარგმნელობით საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და საზღვარგარეთულ სამონასტრო კერებში, ქართველი სასულიერო პირების მიერ შესრულებულ დიდი რაოდენობით ლიტერატუ-

2 ბიბლიის ენციკლოპედია. (ერთტომეული) ქართული თარგმანი გამოიცა, თბ.,1997.

რულ თარგმანებს, რომელთა შორის ზოგიერთს, ბერძნული დედნების დაკარგვის გამო, თანამედროვე ეტაპზე, ქრისტიანული ლიტერატურის შესწავლის საკითხში პირველწყაროს მნიშვნელობა მიენიჭა. ამ მხრივ საყურადღებოა საბაწმიდა (VIII ს.), სადაც შედგა ჰიმნოგრაფიული (გალობის) რეფორმა, ბერძენ ბერებთან ერთად იღწვოდნენ ქართველებიც. იგი იყო ასევე ქრისტიანულ არაბულ მწერლობასთან

ოშკი

შეხვედრის ადგილი. უნდა აღინიშნოს, რომ VIII საუკუნიდან დაწყებული არაბული სამყარო არ წარმოადგენდა მხოლოდ რაღაც დახშულ, ჩაკეტილ ისლამურ სივრცეს. VIII ს. შუა წლებში, არაბული კულტურის „ოქროს ხანაში“, როდესაც ჩამოყალიბდა ქრისტიანული არაბული მწერლობა, არაბულმა ლიტერატურამ გავრცელება ჰპოვა პალესტინის, საბაწმიდის და სინას მთის, წმიდა ეკატერინეს მონასტრებში, სადაც მოღვაწეობდნენ ქართველებიც, ხოლო VIII –X საუკუნეებისათვის არაბული კულტურის ისტორიაში აისახა მისი ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ (ახლო და შუა აღმოსავლეთი, ჩრ. აფრიკა, სამხრეთ-დასავლეთი ევროპა) ხალხთა მოწინავე კულტურების გავლენა. არაბული მწერლობის, მეცნიერებისადმი ყურადღება ჩანს ძველი პერიოდის (X–XII სს.) საქართველოშიც. საბერძნეთში, ათონზე „ივერიის“ ქართველთა მონასტრის მოღვაწე წმიდა ექვთიმე მთაწმინდელი (X ს.) ქართულიდან ბერძნულ ენაზე თარგმნის აღმოსავლეთში გავრცელებულ ნაწარმოებს „სიბრძნე ბალავარისა“ , რომელიც, ქართულის გზით,ბერძნულიდან ითარგმნა ლათინურზე და დღეს 147 ენაზეა გავრცელებული. არაბული სამყაროთი განსაკუთრებული დაინტერესება იყო ქართული კულტურის „ოქროს ხანაში“. დავით აღმაშენებლი არაბულიდან ეცნობა ასტრონომიას, ასევე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებში ავტორი პოემის ერთ-ერთ პერსონაჟს – არაბეთის მეფეს, როსტევანს ახასიათებს როგორც „ღმრთისაგან სვიანს“ (სვიანი – კეთილი) და სხვა; რაც შეეხება ქართული კულტურის ელინურ, რომაულ სირიულ, სასანურ-ირანულ კულტურებთან სიახლოვეს, ისინი ელემენტების სახით ქრისტიანობის პერიოდშიც აგრძელებენ არსებობას – ქართული ქრისტიანული ხელოვნების სხვადასხვა დარგებში. ამასთან დაკავშირებით მოვიხსენიებ V საუკუნის ადრექრისტიანული პერიოდის ძეგლს – ბოლნისის სიონს (478-493 წწ.). ბოლნისის სიონი უგუმბათო დიდი ბაზილიკური ტაძრის საუკეთესო ნიმუშთაგანია. საეკლესიო არქიტექტურის ისტორიაში ტერმინი „ბაზილიკა“ ახსნილია როგორც „წაგრძელებული, სწორკუთხა უგუმბათო ტაძარი“. ხელოვნებათმცოდნე ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ბოლნისის სიონმა ერთგვარად შეასრულა ქრისტიანული არქიტექტურის საერთო მოთხოვნა – შიდა სივრცის გაზრდის თვალსაზრისით. მასში პირველად, ქართულ ხუროთმოძღვრების ისტორიაში, ვხვდებით სკულპტურულ და ორნამენტულ სამკაულებს – ბარელიეფებისა და ჩუქურთმების სახით. სწორედ ტაძრის გაფორმების დეტალებში გამოვლინდა ქართული ხუროთმოძღვრების თვისობრიობა სხვადასხვა კულტურათა ელემენტების გამოყენებისა. ასე მაგალითად: ბოლნისის ტაძრის ხარის თავის გამოსახულებაში – რქებს შუა მოქცეული ჯვრით, ჩანს ქართული წარმართული,ასევე მახლობელი აღმოსავლეთიდან მომდინარე ელინურ-რომაული ტრადიციის კვალი,ხოლო ტაძრის კედლის მხატვრობასა და ჩუქურთმების გაფორმებას მივყავართ სასანურ ორნამენტაციის წრესთან და ნაწილობრივ სირიული ხელოვნების მოტივებთან – გეომეტრიული

ხანძთა

და მცენარეული სახეების შემკობის თვალსაზრისით. ამავე დროს, ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში ქართული ტაძრების მოპირკეთებისას – ფერის შერჩევის თვალსაზრისით, V საუკუნის ბოლნისის სიონის ტაძრის კედლის მომწვანო-ფირუზისფერმა, დაამკვიდრა ტრადიცია ქართული ტაძრის ერთგვარი მიდრეკილება თბილი კოლორის შერჩევისაკენ[3]. ფერის შერ-

3 გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტფ, 1936; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1963; ჯ. ამირანაშვილი, ადრეფეოდალური ხანის არქიტექტურა და რელიგიური ქანდაკების ძეგლები, თბ., 1965; ვ. ბერიძე, ძველი

ჩვის, მისი დამოუკიდებელი მნიშვნელობით, ტრადიციის გაგრძელებას ვხვდებით ქართული არქიტექტურის კლასიკური პერიოდის საუკეთესო ძეგლში – მცხეთის ჯვარის (586/87-604 წწ.) საეკლესიო არქიტექტურაში..

საინტერესოა საკითხი: თუ არსებობს ზოგადი განმასხვავებელი თვისება ბიზანტიურ ტაძრის ფერსა და ქართულ ტაძრის ფერს შორის. ამ ნიშნით, თუ მცხეთის ჯვარის ტაძრის ფასადის ქვიშისფერ-ვარდისფერს შევუდარებთ, ამავე პერიოდის ბიზანტიური საეკლესიო არქიტექტურის შედევრის – კონსტანტინეპოლის წმიდა აიასოფიის (531-537 წწ.) ტაძრის ფასადის მუქ კედლისფერთან, დავინახავთ თვალშისაცემ სხვაობას. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში დამკვიდრებული ტაძრების თბილი ფერი, მნახველში ერთგვარ მინდობის განცდას წარმოქმნის. სხვაობაა აგრეთვე ტაძრის შიდა სივრცის გაფორმების თვალსაზრისით. აიასოფიის მაგალითზე, ბიზანტიურ ტაძარში აქცენტი გადატანილია შიდა ინტერიერის განსაკუთრებულ გაფორმებაზე, განსხვავებით მცხეთის ჯვარის ეკლესიის შიდა და გარეთა გაფორმების თანაბარი ყურადღებისა. ამ თვალსაზრისით, ქართული ტაძრებისათვის დამახასიათებელი სისადავე მლოცველს შინაგანი ფიქრისა და ჩაღრმავებისაკენ მიმართავს. გარდა ამისა, ბიზანტიურ არქიტექტურის დიდი გუმბათის გრანდიოზულობა განსხვავდება ქართული საეკლესიო არქიტეტურული ფორმების ჰარმონიული წყობისაგან. ქართულ ტაძარში გუმბათის ფორმა ერწყმის საერთო არქიტექტურულ სტილს. სწორედ ფორმათა ჰარმონიულობა, სიმშვიდით მოცული სისადავე და ტაძრის თბილი კოლორი, მორწმუნე ადამიანში წარმოქმნის შინაგან სულიერ წონასწორობას. საინტერესოდ არის გადაწყვეტილი მცხეთის ჯვარის ტაძრის მორთულობა, სადაც ფასადის სამ სტელაზე გამოსახული „ქტიტორების“ სამოსი გვაგონებს სასანური ხელოვნების სტილს, ხოლო ტაძრის შესასვლელის თაღზე „მფრინავი ანგელოზი“-ს კომპოზიციაში იგრძნობა ელინურ კულტურასთან სიახლოვე. ამდენად, სხვადასხვა კულტურათა ელემენტების გამოყენება ხდება, როგორც შალვა ამირანაშვილი აღნიშნავს, „გაქართულების გზით“. აქედან გამომდინარე, ერთ აღმსარებლობით არეალში მყოფი ქართული და ბიზანტიური ეკლესიების ურთიერთმიმართებები – განსაკუთრებულად ტაძრის ფერისა და ასევე ეკლესიის გუმბათის მოცულობისა წარმოგვიდგენს სხვაობას ქრისტიანული არქიტექტურის ფერისა და ფორმათა გამომსახველობის თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, მართლმადიდებლურ სამყაროში მიუღებელია მრგვალი ქანდაკების წარმოდგენა – იესო ქრისტეს, ღვთისმშობლის და წმიდათა ქანდაკებების სახით. ამგვარი მიდგომა სულიერების ნიშნით იყო ნაკარნახევი, რადგან ქრისტეს, წმიდანების ასახვისას მნიშვნელოვანია არა ესტეთიკური ტკბობა, არამედ ხატისაგან წამოსული შინაგანი სულიერი მდგომარეობის ჩასახვა. უფლისა და წმიდანების განსხეულებრივი სახით წარმოდგენისას, მლოცველი ვერ შეიგრძნობს ამაღლებულ სახეს, რადგან კონცენტრაცია უნდა ხდებოდეს არა გარეგნულ იერსახეზე, არამედ შინაგანი ჩაღრმავების გზით – უფალთან სიახლოვის განცდით. ბერი სილუანი გვარიგებს: „მართლმადიდებლური ჭვრეტა არ არის ემპირიული, გონებრივი განსჯა. ჭეშმარიტი ჭვრეტა მოიპოვება უფლისაგან გადმოსული ადამიანის სულში, და მხოლოდ ამ დროს ადამიანი ხედავს და შეიგრძნობს უფალს. მართლმადიდებელი მიილტვის რა განღმრთობისაკენ, ის ამ მდგომარეობას შეიგრძნობს არა წარმოსახვის გზით გაყინული გონებით, არამედ სულიწმიდაში ცხოვრებით“. აკრძალვის შედეგად, ტაძრის გაფორმებისას ქართველ შემოქმედთა ფანტაზია გადატანილი იქნა სიბრტყობრივ სკულპტურასა და ჩუქურთმების ვირტუოზულ შესრულებაზე, რაც განსაკუთრებით გამოვლენილია IV–X სს. აგებულ ტაძრებში: ბოლნისის სიონის, მცხეთის ჯვარის, კუმურდოს, ხახულის, იშხნის და სხვათა მაგალითზე. გარდა ამისა, სწორედ აღმოსავლეთის საქრისტიანოს დოგმატის გათვალისწინებამ განაპირობა საქართველოში სამეკლესიანი, გუმბათიანი, ბაზილიკური ტიპის ტაძრის აღმოცენება, როგორც უფლის წარმოჩენა სამი ჰიპოსტასის სახით, სადაც ერთ შენობაში, ერთი გუმბათის ქვეშ გაერთიანებული იქნა ერთგვარად სამი ეკლესია, როგორც საშუალება ერთ ეკლესიაში – სხვადასხვა საკურთხეველთან, დღის განმავლობაში აღსრულებულიყო ღვთისმსახურება.

საინტერესოა შემდეგი საკითხი: IV– X საუკუნეების ქართული კულტურის, კერძოდ, მწერლობისა და ხელოვნების დარგების ერთიან სისტემაში გააზრება როგორ სურათს წარმოგვიდგენს? როგორც ცნობილია, ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროში გამოყენებული იქნა ანტიკურ სამყაროში ჩასახული მწერლობისა და ხელოვნების დარგების ჟანრული სპეციფიკა. გამონაკლისს წარმოადგენს ქრისტიანობის წიაღში აღმოცენებული აგიოგრაფიული მწერლობა, რომელიც შეიქმნა ქრისტიანობის გავრცელების, ქრისტიან მოწამეთა და მოღვაწეთა ღვაწლის აღსაწერად. აღსანიშნავია, რომ თუ ძველი ქართული მწერლობის ისტორიის (განსაკუთრებით აგიოგრაფიული მწერლობის) IV-X სს–ის პერიოდი გამოირჩევა განვითარების ერთიანი ხაზით, IV– X სს. ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში შეინიშნება რამდენიმე ეტაპი. მათ შორის IV–VI

ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; დ. თუმანიშვილი, წერილები, ნარკვევები, 2001; Культура Византии . IV в. первая половина VII в, М., 1984, 573..

საუკუნეები ეს არის ქრისტიანული ტაძრების ჩამოყალიბების პერიოდი, VI–VII სს. – ქართული ქრისტიანული ტაძრების კლასიკური ხანაა, VIII–X სს. სახელდება ქრისტიანული ტაძრების ფორმების ძიების ანუ გარდამავალ პერიოდად. ეს უკანასკნელი უშუალოდ უკავშირდება საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მოვლენებს. კერძოდ, VII საუკუნეში არაბების შემოსვლისას საქართველოს მიწა-წყალზე, არაბეთის სახალიფოს მიერ ამიერკავკასიის შემოერთების მიზნითა და შუა აზიაში გასასვლელად, საქართველოს შუაგულში VIII საუკუნეში იქმნება ძლიერი პოლიტიკური და სავაჭრო პლაცდარმი – „თბილისის საამირო“, რომელიც არაბებისაგან მხოლოდ 300 წლის შემდეგ, დავით აღმაშენებელის მეფობისას იქნა განთავისუფლებული. ამდენად, VIII საუკუნისათვის იქმნება პირობა ცენტრისაგან მოშორებით ოთხი ქართული სამეფო-სამთავროს ჩამოყალიბებისა – ტაო-კლარჯეთის, ეგრისაფხაზეთის, კახეთის, ჰერეთის, რომლის დროს ყალიბდება ე.წ. რეგიონალური არქიტექტურული სკოლები. ამ მხრივ პირობითად განასხვავებენ ტაო-კლარჯეთის, აფხაზეთის, კახეთის და ქართლის რეგიონალურ სკოლებს, რომლებიც ერთიან ქართულ არქიტექტურულ ანსამბლში წარმოგვიდგენენ განსხვავებულ ნიშნებს. რეგიონალურ არქიტექტურულ სკოლებს შორის სხვაობა შეინიშნება არა მარტო კომპოზიციის თვალსაზრისით, არამედ ტაძრის მოპირკეთებისა და საშენი მასალის გამოყენების მხრივაც. ასე მაგალითად: VIII-X სს. ქართულ საკულტო არქიტექტურაში შეინიშნება განსხვავებული მიდგომა გუმბათოვანი ტაძრების შექმნისას. ამ ნიშნით აფხაზეთის რეგიონალურ არქიტექტურულ სკოლაში, გარდა წმინდა ქართული არქიტექტურული ტაძრებისა, ბიზანტიის განსაკუთრებული ზეწოლის გავლენით, შენდება დიდგუმბათოვანი ტაძარი ბიჭვინთის (VIს.) ტაძარი. სხვაობა განისაზღვრება ასევე შიდა ინტერიერის გაფორმებისას, სადაც ადგილი აქვს მოზაიკისა და მრგვალი სვეტების გამოყენებას. ამავე პერიოდში კახეთში იქმნება ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში ერთადერთი ორგუმბათოვანი ტაძარი – გურჯაანის ყველაწმიდა (IX ს.). იგი აშენებულია რიყის ქვითა და აგურის მონაცვლეობით, რომელიც დამახასიათებელი აღმოჩნდა კახეთის არქიტექტურული სკოლისათვის, ასევე აღსანიშნავია შიდა ქართლში ბიეთის (IX ს.) ღვინისფერი ტუფით აშენებული ნახევრად გამოქვაბულის ფორმის ეკლესია. ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტაო-კლარჯეთი. შეიძლება ითქვას, რომ ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცენტრმა თავისთავზე იტვირთა ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების ფუნქცია, სადაც ადგილი ჰქონდა დიდ შემოქმედებით საქმიანობას. ამ მხრივ ტაო-კლარჯეთის არქიტექტურული სკოლა წარმოდგენილია საეკლესიო არქიტეტურის ფორმათა მრავალფეროვნებით. კერძოდ, ტაო-კლარჯეთის 20–მდე ეკლესია–მონასტერში იგება დიდებული ოშკის საკათედრალო ტაძარი, ასევე თავისი უჩვეულო ფორმებით გამორჩეული ოთხთა და პარხალის ეკლესიები, რომელიც ელემენტების სახით იძლეოდა გარკვეულ მსგავსებას დასავლურ საქრისტიანოს, კერძოდ X საუკუნეში ჩამოყალიბებულ ე.წ. „გოთიკურ“ სტილთან, თავისი ტოლფერდა სახურავითა და ცადაზიდული გუმბათით[4].

IX საუკუნეს მიეკუთვნება ქართულ კულტურაში წიგნის მინიატურის ხელოვნების ჩასახვა-განვითარება. მათ შორის შეიძლება დასახელდეს ჰადიშის სახარების (897 წ.) მინიატურები. ხელოვნებათმცოდნეები ნაწილობრივ მას უკავშირებენ გვიან ელინისტურ მანერას. აღსანიშნავია ასევე ჯრუჭის სახარების (936 წ.) მინიატურები. საინტერესოა, რომ ორივე მათგანი შექმნილია შატბერდის მონასტერში. უნდა აღინიშნოს, რომ თავისი მაღალმხატვრული ოსტატობით ისინი მიგვითითებენ მინიტურის არსებობის უფრო ადრეულ პერიოდზე. განსაკუთრებული მხატვრულობით გამოირჩევა მოქვის სახარება (X ს.). გარდა ამისა, ქართულ სამყაროში იქმნება განსაკუთრებული მაღალმხატვრულობით გამორჩეული კედლის მხატვრობა – დავით გარეჯის მონასტერში (X ს.) შესრულებული ფრესკების სახით, რომლებიც ფერთა შერჩევის თვალსაზრისით, განსხვავდებიან ბიზანტიური კედლის მხატვრობისაგან. ამ მხრივ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულმა ხელოვნებამ ძირითადად ვერ შეითავსა ბიზანტიურისათვის დამახასიათებელი ფერთა გამა. კერძოდ, ბიზანტიურის ულტრამარინ-ლურჯის, ყვითელისა და წითელის (ან გვიანი შუასაუკუნეების რუსული ხელოვნების წითელისა და თეთრის) ურთიერთობა. ქართულისათვის ახლობელი გახდა მოოქროსფერო, ცისფერი, მოპირისფერო წითელი, ბაცი მწვანე, რომელიც ნიშანდობლივია იგივე სახარებაზე დართული მინიატურებისათვის, ასევე, დავით გარეჯის ფრესკების ნიმუშებისათვის, რომლებიც ავლენენ სიახლოვეს ე.წ. ადრეულიქრისტიანობის ე.წ. „კატაკომბების“ მხატვრულ სტილთან და დასავლეთ საქრისტიანოში გავრცელებულ რომანულ ფერწერასთან

4 იხ. ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, იგივე, 14,15,211; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1963; გ. აბრამიშვილი, პ. ზაქარაია, ი. ციციშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბ., 2000; თ. მიბჩუანი, აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები და ეპიგრაფიკა, თბ., 1999; НР. Мемписашвили, Драндa,Тб., 1980; Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1959; Р. Мемписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии - Шида Картли, Тб., 1975; П. П. Закарая, Зодчество Тао- Кларджети, Тб., 1992; ხელოვნების ლექსიკონი, თბ., 1997; დ. თუმანიშვილი, წერილები, ნარკვევები, თბ.,2001; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, VIII, თბ.,1991.

(X–XIII სს.), მაგრამ ქართულ ფრესკებზე ასახული პერსონაჟების მოქმედების უფრო რბილი გადმოცემითა და წერის სიფაქიზით.

რაც შეეხება ქართული ლიტერატურის მდგომარეობას: IV-X საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში, განსაკუთრებულად აგიოგრაფიულ დარგში, აისახა ქართული საზოგადოების მსოფ-ლმხედველობა და მომავალი განვითარების გზები. ამ პერიოდის ქართული აგიოგრაფიული მწერლობა შეიცავს როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ ძეგლებს, რაც ქართული საზოგადოების განათლების მაღალ დონეზე მეტყველებს. სამეცნიერო გამოკვლევების თანახმად, ქართული აგიოგრაფიული მწერლობის საწყის ეტაპად მიჩნეულია IV საუკუნე – „წმიდა ნინოს ცხოვრებისა“ და „კოლაელ ყრმათა წამების“ სახით. მაჰმადიანურ გარემოცვაში მყოფი ქვეყნისთვის აგიოგრაფიულ თხზულებათა შექმნას ეროვნული ტრიბუნის ფუნქციაც ენიჭებოდა, სადაც ქრისტიანი ავტორი ქადაგებს ეროვნულ იდეას. კერძოდ, IX საუკუნის დასაწყისის მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი აყალიბებს ფორმულას – საქართველო არის იქ, სადაც ქართულ ენაზე ტარდება ღვთისმსახურება. ამავე დროს, ქართულ აგიოგრაფიაში გამოვლინდა ქართველი კაცის – ჭეშმარიტი ქრისტიანისა და მისთვის ნიშანდობლივ ტოლერანტობის მაღალი თვისებები, VI საუკუნის უცნობი ავტორი წერს ეროვნებით სპარსი წმიდა ევსტათის „ევსტატე მცხეთელის წამების“ შესახებ, ხოლო VIII საუკუნის ავტორი იოანე საბანისძე აღწერს არაბი აბოს მოწამეობრივ ცხოვრებას „აბოს წამების“ სახით. გარდა ამისა, IV-X სს. შექმნილ აგიოგრაფიულ თხზულებებს მინიჭებული აქვს ქართული ქრისტიანული კულტურის შესახებ დოკუმენტური მასალის დატვირთვაც. კერძოდ, V ს-ის იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ ტექსტში „ევანგელესა“ და „ასერგასი ფსალმუნის“ დასახელება მიგვითითებს V ს-ში ქართულ ენაზე ბიბლიის არსებობისა და ქართულ ენაზე ღვთისმსახურების შესრულების შესახებ, ასევე VI ს-ის უცნობი ავტორის „ევსტატე მცხეთელის წამებაში“ ფილოსოფოს არისტიდეს (IIს.) მოხსენიება, მეტყველებსსაქართველოში ფილოსოფიური ცოდნის არსებობაზე, რომელიც აქტუალური იყო ჯერ კიდევ კოლხეთის რიტორიკული სკოლის (IIს.) არსებობიდან, რომელსაც თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს შემდგომ საუკუნეებში – ევაგრე პონტელის (IVს.), ბაკურ დიდის (Vს.) და განსაკუთრებით პეტრე იბერიელის (V ს.) მოღვაწეობის შედეგად[5].

5 ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია, I, 1996; ბ. ხურცილავა, დიდი ბაკური ქართული ასომთავრული დამწერლობის ფუძემდებელი, თბ., 2003; ი. ლოლაშვილი, არეოპაგიტიკის პრობლემები, თბ.,1972; შ. ნუცუბიძე, IV,1976; VII, თბ.,1983; ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ.,1979; ვ. ჩაჩანიძე პეტრე იბერი, თბ., 1995. ე. ხინთიბიძე, ქართულ–ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1982.

ამდენად, ქართულ რეალობაში სქოლასტიკურ-დოგმატიკური მოთხოვნილების შესრულების პარალელურად, არსებობდა ფილოსოფიური პრობლემებისადმი განსაკუთრებული ინტერესი. კერძოდ, საგანმანათლებლო სისტემაში ფილოსოფიის, როგორც სასწავლო დისციპლინის



წმიდა ათონის მთა.
ქართველთა მონასტერი – ივირონი

არსებობის გამოძახილი. აღნიშნული ფაქტის უტყუარი საბუთია გიორგი მცირეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, სადაც IX ს-ის დასაწყისის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს ხანძთელის მიერ არა მარტო „სწავლაჲ ჭეშმარიტის საღმრთოჲსა რჯულის“, არამედ „გარეშე ფილოსოფიის“, „სიბრძნე ამა სოფლისა“ სწავლების შესახებ. სწორედ ქართული ლიტერატურული წყაროების საფუძველზე („წმიდა ნინოს ცხოვრება“, „ქართლის ცხოვრება“) ვიცით, რომ საქართველოში ლიტურგია სრულდებოდა IV ს-დან. ეს არის შედეგი დიდი შემოქმედებითი საქმიანობისა, რომელსაც ეწეოდა განათლებული სასულიერო ფენა ქართულ და საზღვარგარეთულ სამონასტრო-კულტურულ ცენტრებში. ამ მხრივ, IV-X საუკუნეების პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ლიტურგიკული მწერლობის გამართვას, რადგან იგი იყო საფუძველი ქართულ ეკლესიებში მღვდელმსახურების – წირვის წესის შესრულებისა და მასთან დაკავშირებული კანონიკური ლიტერატურის არსებობისა. ქართულ მწერლობაში ლიტურგიკული წიგნების სიმრავლე, მათი უძველესობა და უნიკალურობა თავისთავზე თავად მეტყველებს. კერძოდ, ქართულ ეკლესიებში V-VII სს-ში სამონასტრო წესის აღსრულებაზე ლაპარაკობს „ხანმეტი ლექციონარის“ არსებობა, ასევე, VIII-X სს-ის ღვთისმსახურების შესასრულებლად VIII საუკუნეში ბერძნულიდან ქართულად ითარგმნა „იერუსალიმური ლექციონარი VII ს“ რომელიც

ბერძნული დედანის დაკარგვის გამო შემორჩენილია ერთადერთი ქართული თარგმანით. არსებობს სხვადასხვა მოსაზრება ლიტურგიკული დანიშნულების ლიტერატურის შექმნის თარიღთან მიმართებაში. მათ შორის კორნელი კეკელიძე VIII-X სს-ის ლიტურგიკულ მწერლობასთან დაკავშირებით წერს: „ყველაზე მეტი თავისებურება და ქართველობა“ ჩვენ წინაპრებს ამ ხანაში ლიტურგიკულ მწერლობაში გამოუჩენიათ. ცნობილია, რომ მთელი წლის მოძრავი ლიტურგიკული მასალა მოთავსებულია ოთხ დიდ წიგნში: 1) პარაკლიტონი ან რვახმათა, ან როგორც ამ პერიოდის ძეგლები სახელდებენ, ოქტაიხოსი ან ოქტაიხონი, 2) სადღესასწაულოთუენი ან, ამ პერიოდის ტერმინოლოგიით – იადგარი, 3) მარხუანი და 4) ზატიკი. სისტემა ამ წიგნებისა შემუშავებულია საბერძნეთში, მათში მოთავსებული მასალა შეთხზულია სხვადასხვა ჰიმნოგრაფის მიერ, ყველა მართლმადიდებელი თარგმნიდა ამ ჰიმნებს, ქართველებს უთარგმნიათ ყველა ამ წიგნებში მოთავსებული ჰიმნი, მაგრამ, ამავე დროს მათ დაუწერიათ საკუთარი ორიგინალური ქართული ჰიმნები ამ წიგნებისათვის. ესე იგი შეუთხზავთ საკუთარი ქართული ოკტოიხოსი, იადგარი, მარხუანი და ზატიკი. ამ არაჩვეულებრივს, ისტორიაში ერთადერთ მაგალითს, განსაკუთრებით თავი უჩენია მეათე საუკუნეში“, ამდენად, V-XI სს. ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის, ლიტურგიკული დანიშნულების ლიტერატურისა და X-XI სს. ნევმირებულ (ნოტირებული) ხელნაწერთა გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა გალობამ გაიარა განვითარების რთული გზა: მარტივი ფსალმუნური გალობიდან, რთულ მუსიკალურ კომპოზიციამდე. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში საქართველოში გალობის სწავლებას, როგორც სასწავლო დისციპლინას, სისტემური ხასიათი ჰქონდა. კერძოდ, IX ს-ის დასაწყისში მცხოვრები გრიგოლ ხანძთელი სწავლობდა „ხმით სასწავლო სწავლად საეკლესიოჲს“, ხოლო შემდგომ, გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კერაზე ყალიბდება ქართული ჰიმნოგრაფიული სკოლა, სადაც თავს იყრის საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსული ქართველი „მეხელები“ – მუსიკოსები. აქვე იწერება გრიგოლ ხანძთელის (IXს. დასაწყისი) და მიქაელ მოდრეკილის (Xს.) „საწელიწადო იადგარები“. ეს უკანასკნელი არის პროფესიული მუსიკის არსებობის გამოხატულება, რომელშიც თავმოყრილია VIII-X სს. ქართველი მეხელებისა (მუსიკოსების) და ბერძენ ჰიმნოგრაფთა შემოქმედებითი ნიმუშები. სწორედ მიქაელ მოდრეკილის კრებული გვაძლევს საშუალებას ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმ ქართველ მეხელებზე, რომლებმაც საფუძველი შეუქმნეს ქართულ საგალობო ტრადიციას. მიქაელ მოდრეკილის კრებული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მიწერილი ნევმებით (ნოტებით), რომლებიც ასოთა მოხაზულობითა და განლაგებით განსხვავდებიან ბერძნულ-ბიზანტიურისაგან.

საკითხი დგას შემდეგნაირად: რას ეფუძნება ქართული გალობა და რაში მდგომარეობს განსხვავება ქრისტიანულ წიაღში შექმნილი სხვა საგალობო ტრადიციისაგან? უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების საფუძველზე, ასევე ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევის თანახმად, ქართული გალობა აღმოცენებულია თავისი ძირიდან: ქართული ხალხური სიმღერისაგან . მაგალითად, ძვ.წ. II ათასწლეულით დათარიღებულ „ფესტოს დისკოზე“ დაშიფრულია კოლხური დამწერლობის წარწერა, რომელიც წარმოადგენს ქალღვთაება ნენანასადმი (ნანასადმი) მიძღვნილ საკულტო მელოდიას, ასევე უფლისციხესა და ვანის გათხრების არქეოლოგიური ნიმუშები მიგვითითებენ საკრავიერი მუსიკის არსებობაზე საქართველოში. გარდა ამისა, ძვ.წ. V-IV სს. მცხოვრებ ბერძენი ქსენოფონტეს „ანაბაზისში“ აღნიშნულია ქართველი ტომის – მოსინიკის უჩვეულო სიმღერის შესახებ, IX საუკუნის დასაწყისში გრიგოლ ხანძთელი წერს „საწელიწადო იადგარს“, რომელთა ჰიმნების დიდი ნაწილი შესულია X საუკუნის ცნობილ მიქაელ მოდრეკილის „საწელიწადო იადგარში“, ასევე X-XI სს. ქართულმა ხელნაწერებმა შემოინახეს ქართული საგალობო ნიშნებით შემკული რამოდენიმე ტექსტი. ამდენად, მოპოვებული მასალების საფუძველზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ განვითარებული მუსიკის ტრადიციის არსებობის შესახებ საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ქართული გალობის ბერძნულისაგან განსხვავებულობაზე მიგვითითებენ: გიორგი მთაწმინდელი (Xს.), არსენ იყალთოელი (Xს.), ხოლო XII საუკუნის მოღვაწემ იოანე პეტრიწმა წარმოგვიდგინა ქართული გალობის სამივე ხმის სახელწოდებები: მზახრ, ჟირ, ბამის. განსხვავებულობის შესახებ წერს ასევე XVIII საუკუნეში ანტონ I კათალიკოსი, როდესაც სლავურ-რუსულს უდარებს ქართულს. ამდენად, ქართული საეკლესიო გალობა არის გამოკვეთილი ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება ერთ აღმსარებლობით არეალში, ერთიან საფუძვლებზე, განსხვავებული შედეგების მიღება, როცა ბერძნულმა საარზოვნო სისტემამ შექმნა ერთხმიანობა, ხოლო ქართულმა მრავალი ხმის არსებობა დაიმკვიდრა, რაც მუსიკალური აზროვნების სიმაღლეზე მიგვითითებს – პოლიფონიური მრავალხმიანობის სახით. ამ მხრივ ქრისტიანულ სამყაროში შექმნილი ქართული პოლიფონიური გალობა წარმოგვიდგენს სრულიად უნიკალურ ნიმუშს, რომელიც განსხვავებას ქმნის არა მარტო ინტონაციური, მელოდიური ხმოვანებით, არამედ აკორდულ ხმოვანებაში ხმათა მიმოქცევის სირთულით. ეს

უკანასკნელი წარმოადგენს სრულიად გამონაკლის მაგალითს ქრისტიანულ სამყაროში შექმნილი საგალობო ტრადიციისა, რომლითაც იგი განსხვავდება ასევე გვიან პერიოდში შექმნილი დასავლური საქრისტიანოს „კათოლიკურ მესა-სა“ (XIVს.) და რუსული „პარტესნოე პენიესა-გან“ (XVIIს.). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული მრავალხმიანი გალობა არის ნიშანი ჭეშმარიტი ღვთისმოსაობისა, ზნეობრივი კულტურისა და მაღალი ესთეტიკური გემოვნებისა.

აღსანიშნავია, რომ კულტურის საკითხების კვლევა მოითხოვს ფართო ისტორიული კონტექსტის წარმოდგენას. მათ შორის აღმსარებლობის საკითხი როგორც შუასაუკუნეებში, ისე დღესაც, წარმოადგენს სახელმწიფოს, ქვეყნის სახეს. ადრეული შუასაუკუნეებიდან მოყოლებული ქართველი და მართლმადიდებელი ერთმნიშვნელოვნად იქნა აღიარებული. ამიტომაც IV-X ს-ს. საქართველოს ისტორიის მანძილზე, სასანური ირანისა და არაბების მოძალადეობის პირობებში, ქართველებს მუდმივად სჭირდებოდათ თავისი ეკლესიის დაცვა. ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ განამტკიცა ის ფაქტი, რომ აღმსარებლობითი არჩევანი წარმოადგენს ზოგადად ადამიანის, საზოგადოების, ინტელექტუალური ცნობიერებისა და მენტალობის ჩამოყალიბების ერთგვარ მექანიზმს, რომელიც ვრცელდება ასევე კულტურული ნიმუშების შექმნაზეც.

მცხეთა. სვეტიცხოველი

IV-X ს.ს. ქართული კულტურის განსაზღვრისას შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: IV-X საუკუნეები ეს არის პერიოდი ქართული კულტურის ეროვნული სახის შექმნისა, რომლის დროს, საღვთისმსახურო ლიტერატურის მრავალრიცხოვანი უნიკალური ნიმუშების თარგმნისას, თვით ქართულმა თარგმანმა შეიძინა პირველწყაროს მნიშვნელობა, ხოლო ამ პერიოდის ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიაში გადმოცემულმა ქრისტიანულმა მენტალობამ, წარმოგვიდგინა ადრეული შუა საუკუნეების ეპოქაში ტოლერანტობის ნიმუში – წმიდანებად შერაცხული არაბის, სპარსის ცხოვრება-წამების აღწერით, რითაც გამოხატა ჭეშმარიტი ქრისტიანული ცნობიერების ნიმუში. მათ შორის „აბოს წამების” ავტორის, იოანე საბანისძის მსოფლმხედველობა შესაშურია ყველა მაღალგანვითარებული კულტურული ტრადიციის მქონე ერისათვის: ეს არის სამყაროს ხედვა მსოფლიო სივრცის კულტურულ არეალში (ოიკუმენაში) – საქართველოს ადგილის განსაზღვრის უნარით, რომლის დროს, საყოველთაო ანუ ქრისტიანული სამყაროს განაპირას მცხოვრებთა შორის, მაჰმადიანობისაგან მხოლოდ საქართველო იცავდა ქრისტიანობას. ამავე დროს, VIII-X ს.ს-ში შექმნილმა ქართულმა აგიოგრაფიულმა თხზულებებმა ერთგვარი ეროვნული ტრიბუნის ფუნქცია იტვირთა, რომლის დროს სასულიერო წოდების ავტორი ქადაგებს ეროვნულ-სარწმუნოებრივ იდეას. ამდენად, IV-X ს.ს. ქართული კულტურამ ბიზანტიურ სამყაროში ჩამოყალიბებული



მცხეთა. სამთავროს ფერისცვალების ტაძარი

დოგმატური კანონების სრული დაცვით, წარმოგვიდგინა დამოუკიდებელი სახე ქრისტიანული კულტურისა: ბგერის – საეკლესიოს გალობის, ფერის – ეკლესიის მოპირკეთებისა და შიდა ინტერიერის გაფორმების, ასევე ფორმის – ეკლესიის კომპოზიციური აგებულების თვალსაზრისით. ამ ნიშნით, ადრეული ქრისტიანობის პერიოდის ისტორიული რეალიების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ IV-X საუკუნეებში ქართული ქრისტიანული კულტურის ეროვნული სახის ჩამოყალიბება – ეს არის ქართველი ადამიანის დიდი სულიერი ძალისხმევისა და თავდაუზოგავი შრომის, მაღალი ინტელექტუალური დონის, სარწმუნოებისადმი განსაკუთრებული ერთგულებისა და სამშობლოს წინაშე დიდი პასუხისმგებლობის შედეგი.

მარინე ცინცაბაძე

დაკრძალვის მართლმადიდებლური წესი

ჩვენს მიწიერ ცხოვრებასთან დაკავშირებულ, საკუთარი თავისადმი დასმული კითხვებიდან, ალბათ ყველაზე მთავარია – თუ როგორ მოვემზადოთ სიკვდილისათვის!

„მამაო, ხელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა“ (ლუკა, 23; 46) - ასეთი იყო უფლის უკანასკნელი სიტყვები. და ჩვენ რაღა დაგვრჩენია სიკვდილის წინ. ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ სიკვდილისათვის და ვეცადოთ, გავიდეთ ამ სოფლიდან ისე, რომ ჩვენი აღსასრული უფლისადმი ჩვენი რწმენისა და სიყვარულის მოწმობა იყოს, და თუკი შესაძლებელია, მაგალითი ახლობელთათვის.

მაცხოვარმა ჩვენ საუკეთესო მაგალითი – მოგვცა. ნუთუ ის არ ევნო ჯვარზე? ნუთუ მისი სიკვდილი არ იყო საშინელი და სათაკილოც კი მთელი ქვეყნის თვალში? და მიუხედავად ამისა,

სამთავროს წმიდა ნინოს
დედათა მონასტრის სამარხი

რაოდენი მოთმინება, რამხელა მოყვასისადმი სიყვარული, როგორი უსაზღვრო ყოვლისმიმტევებლობა და ღმრთის ნებისადმი როგორი მინდობა განგვიცხადა! მსგავსად ამისა უნდა კვდებოდეს ყოველი ჩვენგანი.

როცა ვიგრძნობთ სიკვდილის მოახლოებას, შევეცადოთ სიმამაცე მოვიპოვოთ, სიცოცხლის ღირსეულად აღსასრულებლად.

სანამ საბოლოოდ არ შეგვმუსრა სასტიკმა ავადმყოფობამ და უძლურებამ, წარსულ ცხოვრებაზე ვიფიქროთ, გავიხსენოთ ის სამარცხვინო საქმეები, რისი მონანიებაც ვერ გადავწყვიტეთ ან დაგვავიწყდა. და შემდეგ მივიღოთ გადაწყვეტილება თუნდაც სამი დღით (ან მძიმედ ავადმყოფთათვის ერთი დღით) ვიმარხულოთ, წავიკითხოთ (ან წაგვიკითხონ) სინანულის ლოცვები და მოვემზადოთ ზიარებისათვის.

ზიარების წინ შევურიგდეთ მათ, ვინც ჩვენი მტერი, არაკეთილმოსურნე იყო, და ვთხოვოთ შენდობა, ვისაც თვითონ ვაწყენინეთ. თუ გვაქვს ძალა, რომ უახლოეს ტაძრამდე მივიდეთ მოვინანიოთ ცოდვები, ვიცხოთ ნაკურთხი ზეთი, ვეზიაროთ ქრისტეს წმიდა საიდუმლოს,– აუცილებლად უნდა გავაკეთოთ ეს.

ზეთის კურთხევის (ზეთისცხების) საიდუმლოთი ადამიანს მიეტევება უმეცრებით ჩადენილი და დავიწყებული ცოდვები. სიკვდილის წინ ზიარების მნიშვნელობაზე მღვდელმთავარი ილია მინიატისი (+1714) თავის ქადაგებაში „წმინდა ზიარების საიდუმლოს სიდიადე“ ამბობს: „ისე არ ბრწყინავს ვარსკვლავი ცაზე, როგორც ქრისტიანის სული ბრწყინავს ღმრთის მადლისაგან იმ ჟამს, როცა ის ეზიარება. და ეს იმიტომ, რომ როცა ვეზიარებით, მაშინ ვხდებით ქრისტეს სხეულის ასოები და ვუერთდებით ქრისტეს. და ჩვენი სული თუკი იმ ჟამს გაეყრება სხეულს, მოწამეებთან, ქალწულებთან და ღირსებთან დაიმკვიდრებს ადგილს... ღმერთო ჩემო! მხსნელო ჩემო! დაე მოვკვდე, თუ ეს იქნება შენი წმიდა ნება, უღრან ტყეში ან სადმე სხვა უდაბურ ადგილას, რომ მოხდეს ეს – ჩემთვის სულერთია, ოღონდ სიკვდილის წინ ღირსვიქმნე ზიარებად შენი ყოვლადწმინდა სისხლისა და ხორცისა, რადგან, თუ იმ ჟამს შენ იქნები ჩემთან, არ შემეშინდება სიკვდილის, ისეთი საგზალით, როგორიც შენი წმიდა სისხლი და ხორცია, ვიმედოვნებ, მივაღწიო შენს ცათა სასუფეველს“.

მძიმე ავადმყოფობის დროს, ახლობლებს თხოვეთ, სახლში მოგიყვანონ მღვდელი. საკუთარი აღსასრულის მოლოდინში, ვეცადოთ, გავთავისუფლდეთ დრტვინვისაგან, აღშფოთებისაგან და ამქვეყნად დამრჩენთა მიმართ შურისაგან. ამით გამომჟღავნდება ჩვენი სიმამაცეც, ჩვენი ღირსებაც, ჩვენი სასოებაც ღმრთისადმი და ღმრთის ნებისადმი საკუთარი თავის სრულად მინდობაც.

მივცეთ ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს უკანასკნელი დარიგება, თუ როგორ იცხოვრონ, ვესაუბროთ მათ იმაზე, როგორ ილოცონ ჩვენთვის სიკვდილის შემდეგ, რა წაიკითხონ ჩვენი აღსასრულის ჟამს, როგორ დაგვმარხონ, რითი შეგვმოსონ. გავყოთ ნათესავთა შორის ჩვენი ქონება, რათა შემდეგ მათ შორის წყენა არ ჩამოვარდეს. ჩვენი მონაგარის ნაწილი გადავცეთ (ან დავუტოვოთ)

მონასტრის ან ტაძრის შესაწირად, ჩვენი სახელით მოწყალების გასაცემად.

მაგრამ, ეს ყველაფერი თვით აღსასრულის წინ. ხოლო სანამ ცოცხლები ვართ, ჯანმრთელნი და ჯანით აღსავსენიც რომ ვიყოთ, ნუ დავივიწყებთ სიკვდილს. სიკვდილის ხსოვნა შობს ლოცვას, ცრემლებს, ღმრთის წინაშე მონანიებას - ასე გვასწავლიან წმინდა მამები.

ადამიანის ცხოვრების აღსასრული
როგორ ვილოცოთ მომაკვდავთათვის

ამა სოფლიდან მარადიულობაში ადამიანის გასვლისას, მასზე მღვდლის ან ახლობლის მიერ იკითხება „სულის ამოსვლის“ განსაკუთრებული ლოცვითი კანონი (სულთმობრძავის ლოცვები); ხალხში მას ასევე **„განსვლის ლოცვას“** უწოდებენ.

აუცილებელი არაა სულის ამოსვლის ლოცვა მომაკვდავის გვერდით წავიკითხოთ. თუ ადამიანი საავადმყოფოში კვდება, კანონი შეიძლება სახლში წავიკითხოთ. მთავარია ლოცვით დავეხმაროთ სულს, მისთვის ყველაზე მძიმე წუთებში. თუკი მომაკვდავი სულს განუტევებს კანონის კითხვისას, მას ამთავრებენ მოსახსენებლის ჩასართავით: „განუსვენე უფალო, სულსა მიცვალებულისა მონისა შენისასა...“

იმ შემთხვევაში, როცა სიკვდილისწინა ავადმყოფობა დიდხანს გრძელდება, და მძიმედ სტანჯავს, როგორც ავადმყოფს, ასევე მის ნათესავებს, მაშინ, მღვდლის კურთხევით, იკითხება სხვა კანონი – „სულის ხორცისაგან გაყრის ლოცვა, როცა ადამიანი დიდხანს იტანჯება“, რომელიც შეიცავს თხოვნას, ვნებულის (ტანჯულის) სწრაფი და მშვიდობიანი აღსრულებისა. კანონთა ტექსტები მოთავსებულია მართლმადიდებლურ ლოცვანში.

რისთვის იკითხება განსვლის ლოცვა

სიკვდილის მომენტში ადამიანი განიცდის შიშს, დაქანცულობის მძიმე გრძნობას. წმიდა მამათა მოწმობით, ადამიანს ეშინია სხეულის გარეთ პირველი სამი დღის განმავლობაშიც – სულის ხორცისაგან გაყრის შემდგომ. სხეულისაგან სულის გამოსვლისთანავე მას ხვდება, როგორც მფარველი ანგელოზი, რომელიც წმიდა ნათლისღებისას მიეცა, ასევე ბოროტი სულები (ეშმაკები). უკანასკნელთა შესახედაობა ისეთი საშინელია, რომ სული შემოიქცევა და ძრწის მათი დანახვისას.

ნათესავთა და ახლობელთა მიერ, მომაკვდავ ადამიანზე წაკითხული კანონი მოწოდებულია, შეუმსუბუქოს მის სულს სხეულიდან განსვლა.

მომაკვდავის ახლობლებმა და მეგობრებმა უნდა მოიკრიბონ ვაჟკაცობა, რათა საყვარელ ადამიანთან გამომშვიდობებისას, შეეცადონ, ლოცვით შეუმსუბუქონ მას არა იმდენად ხორციელი, რამდენადაც სულიერი ვნებანი.

დაკრძალვის წესი
მიცვალებულის განბანვა და შემოსვა

არც ერთი ხალხი ზრუნვის გარეშე არ ტოვებდა თავის გარდაცვლილთა ცხედარს, ამასთან, დაკრძალვა ყოველთვის შესაფერისი წესით ხდებოდა.

ქრისტეს წმიდა სარწმუნოება გვასწავლის, პატივისცემით ვუყუროთ ქრისტიან ადამიანს მაშინაც, როცა იგი გაასრულებს თავისი ცხოვრების გზას. გარდაცვლილი ქრისტიანი – სიკვდილის ნადავლი, ხრწნის მსხვერპლია, მაგრამ ის მაინც ქრისტეს სხეულის ასოა (იხ. 1 კორ. 12; 27). მისი სხეული კურთხეულია ქრისტე მაცხოვრის ღვთაებრივ ხორცთან და სისხლთან ზიარებით. განა შეიძლება, რომ შეურაცხვჰყოთ სული წმიდა, რომლის ტაძარიც იყო გარდაცვლილი? ადრე თუ გვიან, ქრისტიანის მკვდარი და ხრწნადი სხეული კვლავ გაცოცხლდება და შეიმოსება უხრწნელებით და უკვდავებით. ამიტომ, მართლმადიდებელი ეკლესია არ სტოვებს თავის შვილს დედობრივი მზრუნველობის გარეშე, მაშინაც კი, როცა ის გადასულია ამა სოფლიდან შორეულ და უცნობ, მარადიულ ქვეყანაში.

მართლმადიდებელი ქრისტიანის გარდაცვალებისას, ეკლესიის მიერ აღსრულებულ ლოცვებს აქვს თავისი ღრმა აზრი. წმიდა სარწმუნოების შთაგონებაზე დაფუძნებულნი, ისინი სათავეს იღებენ ღმრთივგანათლებული მოციქულებისა და პირველი ქრისტიანებისაგან.

მიცვალებულის ცხედარს სიკვდილისთანავე განბანენ, ამასთან, განბანვა უნდა შეეხოს სხეულის ყველა ნაწილს, - დაწყებული თავიდან. იგი აღესრულება გარდაცვლილის ცხოვრების უბიწოების და სულიერი სიწმიდის ნიშნად, იმისათვის, რათა აღდგომისას შესძლოს სიწმიდით წარსდგეს უფლის წინაშე.

ცხედრის განბანვის დროს კითხულობენ „სამწმიდა არსს“: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ“. სახლში ინთება ლამპარი (კანდელი) ან სანთელი მანამ, სანამ მიცვალებული იქ იმყოფება.

განსაბანი წყალი უნდა იყოს თბილი, მაგრამ არა ცხელი, რათა არ დავალბოთ იგი (მიცვალებულის სხეული). ამ დროს უნდა ვისარგებლოთ საპნით, რბილი ნაჭრით (ან ღრუბლით). ჩვეულებრივ, განბანვას ასრულებენ უფროსი ასაკის მამაკაცები, ხოლო თუ ასეთი არ აღმოჩნდება, მაშინ განბანვა ქალსაც შეუძლია.

განბანვის შემდეგ, ქრისტიანის ცხედარს შემოსავენ ახალ და სუფთა სამოსით. ახალი სამოსი თითქოსდა მიანიშნებს ჩვენი უხრწნელებისა და უკვდავების ახალ სამოსელზე. თუ ადამიანს არ ეკიდა ჯვარი, აუცილებლად ჰკიდებენ.

მიცვალებულის ბაგეები მოკუმული უნდა იყოს, თვალები დახუჭული, ხელები მკერდზე გადაჯვარედინებული, მარჯვენა მარცხენაზე დადებული. ქრისტიან ქალს აფარებენ თავსაფარს, რომელიც მთლიანად უნდა ფარავდეს თმებს, ამასთან მისი ბოლოები შეიძლება არც შევკრათ, არამედ უბრალოდ გადავაჯვარედინოთ.

მიცვალებულს მარცხენა ხელში უდებენ ხატს (ან ჯვარს), მამაკაცისათვის – მაცხოვრის გამოსახულებით, ქალისათვის – ღმრთისმშობლის, ასეც შეიძლება, მარცხენა ხელში ჯვარი ედოს, ხოლო მკერდზე - ხატი. აგრეთვე ხელში უდებენ ქაღალდს ლოცვით. ეს კეთდება იმის ნიშ-

ნად, რომ მიცვალებულს სწამდა ქრისტე, და მას მიაბარა სული, რომ ის სიცოცხლეში "წინაისწარ ხედავდა" უფალს, ახლა კი წმიდანებთან ერთად მისი პირის ნეტარ ხედვაზე გადადის.

კუბოს ცხედრით, დგამენ ოთახის შუაში, სახლის ხატების წინ (წინა კუთხეში), პირით გასასვლელისაკენ. კუბოს ირგვლივ ანთებენ სანთლებს (ან თუნდაც ერთს, თავთან) ნიშნად იმისა, რომ მიცვალებული ნათლის სასუფეველში გადავიდა.

როგორ ვილოცოთ ადამიანისათვის მისი გარდაცვალების შემდგომ სამ დღეს

მას შემდეგ, რაც მიცვალებულის სხეულს განბანენ და შემოსავენ, იწყებენ კანონის კითხვას, რომელსაც ეწოდება „სულის სხეულიდან ამოსვლის შემდგომ საკითხავი". იმის მიუხედავად, თუ სად გარდაიცვალა ადამიანი, შინ თუ გარეთ, სულერთია – მისი სიკვდილის დღეს კითხულობენ ამ კანონს. კანონის კითხვა უნდა დავიწყოთ დასაწყისი ლოცვებით, შემდეგ – 90-ე ფსალმუნი, შემდეგ – რიგის მიხედვით. კანონი იკითხება მხოლოდ იმ დღეს გარდაცვლილი ადამიანისათვის. ამიტომ არ ეგების მისი კითხვისას, ჩავურთოთ საგალობელი: „განუსვენე, უფალო, სულსა მიცვალებულისა მონისა შენისასა (სახელი)", ან წარმოვთქვათ სხვა მიცვალებულთა სახელები და ა.შ.

„შემდგომად" კანონის ბოლოს არის განსაკუთრებული ლოცვითი მიმართვა ღმრთისადმი, თვით მიცვალებულის სახელის წარმოთქმით: „მოიხსენე, უფალო ღმერთო ჩვენო, სარწმუნოებითა და სასოებით საუკუნო ცხოვრებასა ზედა გარდაცვალებული მონა შენი (სახელი)...". ამ ლოცვის შემდეგ კითხულობენ: „საუკუნო ხსენება, უფალო, მონასა (მხევალსა) შენსა".

კანონი იკითხება მიცვალებულის სახელით, რათა ღმრთის მოწყალებამ, ჩვენი ლოცვებით, შეუმსუბუქოს მიცვალებულის სულს ხორცთან განშორების სიმწარე.

მომდევნო სამი დღის განმავლობაში, მიცვალებულისათვის კითხულობენ ფსალმუნს, რომლსაც იწყებენ „იესოს ლოცვით": „ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწალენ ჩვენ, ამინ." შემდეგ იკითხება დასაწყისი ლოცვები და ის ლოცვები, რომელნიც წინაუსწრებენ ფსალმუნებს.

ფსალმუნნი დაყოფილია ოც დიდ ნაწილად –კანონებად. ყოველი კანონის წინ მეორდება სამგზის მოწოდება ღმრთისადმი თაყვანისცემისა: „მოვედით, თაყვანისვსცეთ მეუფესა ჩვენსა ღმერთსა. მოვედით თაყვანისვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა, მეუფესა ჩვენსა ღმერთსა. მოვედით, თაყვანისვსცეთ და შეუვრდეთ თვით ქრისტესა, მეუფესა და ღმერთსა ჩვენსა."

ამ მოწოდების შემდგომ იკითხება ფსალმუნის კანონი. რამდენიმე ფსალმუნის დასრულების შემდგომ, რომელნიც სიტყვა „დიდება" -თი არის გამოყოფილი, ითქმება: „ალილუია!" (სამჯერ), შემდეგ კი „დიდება შენდა ღმერთო" და მეორდება ლოცვითი თხოვნა მიცვალებულთათვის – „შემდგომად," ლოცვითი კანონიდან: „მოიხსენე, უფალო ღმერთო ჩვენო"... ამ ლოცვის შემდეგ გრძელდება პირველი კანონი (ან მომდევნო მე-2, მე-3 და ა. შ.).

ფსალმუნთა კითხვა

ფსალმუნის ყოველ კანონში სამი „დიდებაა", შესაბამისად, კანონის კითხვისას, სამჯერ ეგების მიმართვა ღმრთისადმი, მიცვალებულის შეწყალების განსაკუთრებული თხოვნით.

ფსალმუნი იკითხება შეუსვენებლივ (დღე და ღამე) ქრისტიანის კუბოსთან მანამ, სანამ გარდაცვლილს არ დაკრძალავენ. რადგანაც მიცვალებულის ნათესავებს პირველ სამ დღეს ბევრი საზრუნავი აქვთ, დასაფლავების ორგანიზებისათვის ჭირისუფლები ფსალმუნთა წასაკითხავად იწვევენ ნაცნობებს და მეგობრებს. მიცვალებულთათვის ფსალმუნთა წაკითხვა შეუძლია ნებისმიერ კეთილმსახურ ერისკაცს.

შემთხვევითი არაა, რომ ეკლესიამ უძველესი დროიდან დაადგინა, მიცვალებულთა კუბოსთან სწორედ „ფსალმუნთა" კითხვა. „ფსალმუნნი" ცხოველჰყოფს ჩვენი სულის ყოველგვარ მოძრაობას, თანაგვიგრძნობს სიხარულშიც და მწუხარებაშიც, მრავალ ნუგეშსა და მხნეობას ღვრის ჩვენს მწუხარე გულში. „ფსალმუნთა" კითხვა ღმრთისადმი მიცვალებულთა შეწევნას ემსახურება და ამავე დროს მის ახლობელთა მწუხარებას აცხრობს.

ცხედრის გამოსვენება

სახლიდან კუბოს გამოტანამდე მცირე ხნით ადრე, კიდევ ერთხელ იკითხება „სხეულიდან (ხორციდან) სულის ამოსვლის შემდგომ წასაკითხი" ლოცვითი კანონი.

კუბო გამოაქვთ, გასასვლელისაკენ მიცვალებულის პირის მიქცევით. ცხედრის გამოტანისას გამცილებელნი გალობენ „სამწმიდაო"-ს: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ", იმის აღსანიშნავად, რომ გარდაცვლილი სიცოცხლეში აღიარებდა ცხოვრებისმომნიჭებელ სამებას და ახლა გადადის უხორცო სულთა სასუფეველში, რომელნიც გარს ევლებიან ყოვლისმპყრობელის საყდარს და დაუდუმებლად უგალობენ ყოვლადწმიდა სამებას.

საეკლესიო წესის აგება

გარდაცვლილის კუბოს დგამენ ეკლესიის შუაში, პირით საკურთხევლისაკენ, და კუბოს ოთხივე მხარეს უწყობენ სასანთლეებს.

ეკლესიის სწავლებით, ადამიანის სული გარდაცვალებიდან მესამე დღეს, იმ დროს, როცა მისი სხეული უსულოდ წევს, გადის საშინელ საზეერეებს და სჭირდება ეკლესიის დიდი დახმარება, რათა გავუადვილოთ მას სხვა ცხოვრებაში გადასვლა, მართლმადიდებელი ქრისტიანის კუბოსთან იკითხება კანონი და „ფსალმუნნი", ეკლესიაში კი სრულდება წესის აგება.

წესის აგების მსახურება შედგება გალობებისაგან, რომლებშიც მოკლედ აიხსნება ადამიანის მთელი ხვედრი, მცნებათა დარღვევის გამო, ადამიანი კვლავ მიიქცევა მიწად, რომლისგანაც იგი აღებულია: „შენ ხოლო ხარ უკვდავი, კაცთა შემოქმედო და შემქმნელო; ჩვენ კი მიწიერნი, მიწისაგან შექმნილნი, მიწადვე მივიქცევით, ვითარცა შენ ბრძანე, დამბადებელო: „მიწა ხარ და მიწად მიიქეც". იქვე წარვალთ ჩვენ, ყოველნი მიწით შო-

ბილნი, და სამარისებური გოდებით ხმავჰყოფთ გალობას: „ალილუია, ალილულია, ალილუია“.

მაგრამ, მიუხედავად ცოდვათა სიმრავლისა, ადამიანი „ღმრთის დიდების ხატებად“ რჩება, ამიტომ წმინდა ეკლესია ევედრება მეუფესა და უფალს, თავისი გამოუთქმელი მოწყალებით, მიუტეოს მიცვალებულს ცოდვები და ღირსჰყოს იგი ცათა სასუფეველისა:

„წმიდათა თანა განუსვენე ქრისტე, სულსა მონისა შენისასა, სადა იგი არა არს, არცა ურვა, არცა სალმობა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი“.

სამოციქულოს (1 თესალ. 4; 13-17) და სახარების (იოანე, 5; 24-30) წაკითხვის შემდეგ, მღვდელი კითხულობს განტევების ლოცვას, რომლითაც მიცვალებულს მიეტევება ყველა ეპიტემია და ცოდვა, რომლებიც მან მოინანია (ან აღსარების თქმა დაავიწყდა) და მიცვალებული მშვიდობით წარიგზავნება საიქიო ცხოვრებაში. ფურცელს, ამ ლოცვის ტექსტით, იქვე უდებენ მიცვალებულს მარჯვენა ხელში, მისი ნათესავები და ახლობლები.

თავის ქალა, რომელიც არქიმანდრიტ გაბრიელს მუდამ თვალწინ ედო – მარადის სახსენებელად სიკვდილისა.

უკანასკნელი ამბორი, ანუ გამოთხოვება მიცვალებულთან, სულისშემძვრელი ლოცვების (სტიქარონების) გალობის თანხლებით აღესრულება: „მოვედით, უკანასკნელად ამბორსვუყოთ ძმანო, მიცვალებულს, ვმადლობდეთ ღმერთსა“...

მიცვალებულის ნათესავები და ახლობლები გარს უვლიან კუბოს, ქედმოხრით ევედრებიან მიცვალებულს უნებლიე წყენათა მიტევებას, უკანასკნელად ეამბორებიან მას. ამის შემდეგ ცხედარს მთლიანად ფარავენ ზეწრით და მღვდელი ჯვრის სახით აყრის მას მიწას სიტყვებით: „მიწა უფლისა და ყოველივე აღვსება მისი, ყოველი სოფელი და მკვიდრნი მას ზედა“. კუბოს თავს ახურავენ. თუ მიცვალებულის ნათესავებს მასთან სასაფლაოზე გამომშვიდობება სურთ, მაშინ კუბოს ტაძარში არ დაახურავენ თავს, მღვდელი კი ახლობელთაგან ვინმეს აკურთხებს, მოაყაროს მიწა ცხედარს, უშუალოდ დაკრძალვის წინ.

ტაძრიდან ცხედრის გამოსვენების დროს იგალობება ანგელოზთა გალობა - „სამწმიდა არს“.

დაუსწრებლად წესის აგება

იმ შემთხვევაში თუ, მიცვალებულის ტაძარში გადასვენების და იქ წესის აგების საშუალება არ არის, მას დაუსწრებლად უგებენ წესს. მაშინ, მიცვალებულის ნათესავები, უახლოეს ეკლესიაში უკვეთავენ წესის აგებას. წესის აგების შემდეგ, ნათესავებს ეძლევათ განტევების ლოცვის ფურცელი და მიწა საპანაშვიდე მაგიდიდან. სახლში მიცვალებულს მარჯვენა ხელში უდებენ განტევების ლოცვას, შუბლზე ადებენ ქაღალდის გვირგვინს, მასთან დამშვიდობების შემდეგ კი, სასაფლაოზე მის ცხედარს, თავიდან ბოლომდე ზეწრით დაფარულს, მარჯვენა მხრიდან მარცხნივ, ჯვრისსახედ აყრიან ქვიშას ისე, რომ სწორი ფორმის ჯვარი გამოვიდეს.

თუ დაუსწრებლად წესის აგება დაკრძალვიდან რაღაც დროის შემდეგ სრულდება, სასაფლაოს მიწა უნდა მიმოვაბნიოთ, ხოლო განტევების ლოცვის ფურცელი ჩავფლათ სამარის ბორცვში, მცირე სიღრმეზე. თუ სამარე შორს ან უცნობ ადგილასაა, ლოცვის ფურცელს წვავენ, მიწას კი მიმოაბნევენ ნებისმიერ სამარეზე, რომელზეც მართლმადიდებლური ჯვარია აღმართული.

დაკრძალვა

სამარეში მიცვალებულს ასვენებენ პირით აღმოსავლეთისაკენ, იმავე მიზნით, რა მიზნითაც ვლოცულობთ აღმოსავლეთით პირმიქცეულნი – მარადიული განთიადის დადგომის, ანუ ქრისტეს მეორედ მოსვლის მოლოდინით, და იმის ნიშნად, რომ მიცვალებული შორდება ცხოვრების დასავლეთს – მარადიულობის აღმოსავლეთის მიმართულებით.

სამარეში ცხედრის ჩასვენებისას კვლავ იგალობება „სამწმიდა არსი“ უკანასკნელ გზაზე მიცვალებულის ყველა გამცილებელი, სამარის ამოვსების წინ, მასში თითო მუჭა მიწას ყრის. ამგვარად, მიცვალებულს მიაბარებენ მიწას, საღმრთო განგებულებისადმი მორჩილების ნიშნად: „მიწა ხარ, და მიწად მიიქეც“(შესაქმე 3, 19).

ჯვარი, ცხოვნების სიმბოლო, აღმართული უნდა იყოს ყოველი ქრისტიანის საფლავზე. მიცვალებულს სწამდა ჯვარცმული და სიკვდილის ძალით განისვენებს ჯვრის ჩრდილქვეშ. ჯვარი შეიძლება ნებისმიერი მასალისაგან იყოს დამზადებული.

მართლმადიდებელი ქრისტიანის საფლავისათვის უფრო შესაფერისია უბრალო ჯვარი, ხისგან, ბეტონისგან ან ლითონისგან, ვიდრე – გრანიტის და მარმარილოს ძვირფასი მონუმენტები. დაუშვებელია საფლავის ქვაზე (ან ჯვარზე) მოვათავსოთ განსვენებულის პორტრეტი ან ფოტო. თუ ნათე-

სავებს სურთ, წააწერონ ეპიტაფია, მაშინ უმჯობესია, ტრადიციულად, გამოვიყენოთ სიტყვები წმიდა წერილიდან ან ცნობილი ლოცვიდან, და არა – ჩვენს მიერ შეთხზული ფრაზები.

მიცვალებულთა მოხსენიებამიცვალებულთა მოხსენიების
განსაკუთრებული დღეები:

ეკლესია მუდმივად ლოცულობს ყოველთა „წინა შესვენებულთა მამათა და ძმათა ჩვენთათვის“, მაგრამ, ასევე აღასრულებს განსაკუთრებულ მოხსენიებას ყოველი მიცვალებულისას, თუკი ამისათვის არსებობს საჭიროება და ჩვენი კეთილმსახურებითი სურვილი. მიცვალებულისათვის ასეთ მსახურებას კერძო მოხსენიება ეწოდება და მას მიეკუთვნება სულის მოხსენიება: მესამე, მეცხრე, მეორმოცე დღეს და წლისთავზე (გარდაცვალებიდან).

სულის მოხსენიება სიკვდილის შემდგომ

მესამე დღეს, არის მოციქულებრივი გარდამოცემა. ის აღესრულება იმიტომ, რომ გარდაცვლილი მონათლული იყო მამისა და ძისა და სული წმიდის სახელით, ერთსამება ღმერთის სახელით. მიცვალებულის მოხსენიებას მესამე დღეს, საღვთისმეტყველოს გარდა, აქვს აგრეთვე, საიდუმლო მნიშვნელობაც, რომელიც სულის საიქიო მდგომარეობას ეხება.

პირველ ორ დღეს მიცვალებულთა
მოხსენიება.

სული ჯერ ისევ იმყოფება მიწაზე და მასთან მყოფ ანგელოზთან ერთად ეწვევა იმ ადგილებს, რომლებიც მიიზიდავენ მას მიწიერი სიხარულისა და სიმწარის,კეთილ და ბოროტ საქმეთა მოგონებებით. მესამე დღეს კი უფალი უბრძანებს სულს,აღვიდეს ზეცად - მისდამი თაყვანისსაცემად.

ექვსი დღის განმავლობაში – მესამედან მეცხრე დღემდე, ღმრთის პირიდან დაბრუნებული სული, შედის სამოთხის სავანეებში და ჭვრეტს მათს გამოუთქმელ მშვენებას. **მეცხრე დღეს** უფალი უბრძანებს ანგელოზებს, კვლავ წარადგინონ სული მასთან - თაყვანისსაცემად.

ღმრთისადმი მეორეგზის თაყვანისცემის შემდეგ, ანგელოზებს მიჰყავთ სული ჯოჯოხეთში, სადაც ის ჭვრეტს მოუნანიებელ ცოდვილთა სასტიკ ტანჯვას. **სიკვდილიდან მეორმოცე დღეს** სული მესამედ აღიყვანება უფლის საყდართან, სადაც წყდება მისი ხვედრი - დგინდება ადგილი, რომლის ღირსიც გახდა სული თვისთა საქმეთა მიხედვით.

სწორედ ამიტომ, მიცვალებულთათვის განსაკუთრებით ძლიერად უნდა ვილოცოთ გარდაცვალებიდან **მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეს.** მაგრამ ამ დღეებს აქვთ სხვა აზრიც: მიცვალებულთა მოხსენიება მესამე დღეს აღესრულება – ქრისტეს მესამე დღეს მკვდრეთით აღდგომისა და ყოვლადწმინდა სამების სახების პატივსაცემად. ლოცვა მეცხრე დღეს – არის პატივის მიგება ანგელოზთა ცხრა დასისადმი, რომელნიც, როგორც მსახურნი ცათა მეუფისა, შუამდგომლობენ განსვენებულის შეწყალებისათვის.

ძველად მიცვალებულთა გამო, ტირილი ორმოც დღეს გრძელდებოდა. ეკლესიის დადგენილებით, მიცვალებულთა მოხსენიება ორმოცი დღის განმავლობაში უნდა გაგრძელდეს და განსაკუთრებით ძლიერი უნდა იყოს მეორმოცე დღეს. როგორც ქრისტემ, ორმოცი დღის მარხვისა და ლოცვის შემდეგ სძლია ეშმაკი, ასევე ეკლესიაც ლოცულობს, გასცემს მოწყალებას და სწირავს უსისხლო მსხვერპლს მიცვალებულისათვის; მისთვის ითხოვს უფლისგან მადლს, ეხმარება მტრის, ბნელეთის,ჰაერთა მთავრის ძლევაში და ცათა სასუფეველის დამკვიდრებაში.

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ახლობელთათვის, გარდაცვალებიდან ორმოცი დღის განმავლობაში?

– როგორც კი ადამიანი მოკვდება, საჭიროა, მაშინვე ვიზრუნოთ, სულის ორმოცდღიან მოსახსენებელზე – საღვთო წირვის დროს მიცვალებულის სულის ყოველდღიურ მოხსენიებაზე, ორმოცი დღის მანძილზე. შესაძლებლობის მიხედვით, კარგია შევუკვეთოთ ორმოცი ჟამისწირვა და უკეთესია – რამდენიმე ტაძარში.

თუ ადამიანი გარდაიცვალა დიდმარხვაში, მაშინ ყოველი კვირის ოთხშაბათს და პარასკევს უკვეთავენ პანაშვიდს, შაბათს და კვირას კი – წირვას, მიცვალებულთა სულის განსვენებისათვის. დიდმარხვის დროს ორმოც ჟამის წირვას არ უკვეთავენ, რადგანაც ამ დროს საღვთო ლიტურღია ყოველდღე არ აღესრულება.

ბრწყინვალე შვიდეულში პანაშვიდი არ გადაიხდება, რადგან აღდგომა – საყოველთაო სიხარულია მათთვის, ვისაც სწამს ჩვენი მაცხოვრის, უფალი იესო ქრისტეს აღდგომა; ამიტომ, მთელი კვირის მანძილზე არ მიიღება მოსახსენიებელი არც პანაშვიდზე, არც წირვაზე, მიცვალებულთათვის. მხოლოდ თომას კვირეულის სამშაბათიდან (აღდგომის მეორე შვიდეული) ტაძრებში იღებენ შეკვეთებს წირვაზე მიცვალებულთა სულის განსვენებისათვის.

ქრისტიანის სიკვდილის დღე არის ახალი, უკეთესი ცხოვრებისათვის მისი დაბადების დღე. ამიტომაც, ვდღესასწაულობთ ჩვენი ახლობლების გარდაცვალების წლისთავზე მათს ხსოვნას და ვევედრებით ღმრთის კეთილმოწლეობას (გულმოწყალებას), მათი სულების შეწყალებას, სანუკვარი მამულის (ცათა სასუფევლის - მთარგმ. შენიშვ.) სამუდამო სამკვიდრებლად მათთვის მინიჭებას.

სიკვდილიდან მესამე, მეცხრე და მეორმოცე
დღეს, აგრეთვე წლისთავზე, ეკლესიაში უნდა შევუკვეთოთ პანაშვიდი და წირვა მიცვალებულის სულის განსასვენებლად. სახლში ამ დღეებში იკრიბებიან მისი ნათესავები და ახლობლები, რათა სულისთვის ერთობლივი ლოცვით შესთხოვონ უფალს მისთვის ცოდვების მიტევება და ცათა სასუფეველში მისი განსვენება.

მიცვალებულნი უნდა მოვიხსენიოთ მათი მიწიერი დაბადების დღეებშიც, მათი სახელობის დღეებშიც (იმ წმინდანის ხსენების დღეებში, რომლის სახელსაც ისინი ატარებდნენ). მათი მოხსენიების დღეებში უნდა შევუკვეთოთ ჟამის წირვა და პანაშვიდი, ვილოცოთ მათთვის სახლში, გავიხსენოთ ისინი ტრაპეზზე.

რატომ და როგორ შეიძლება,რომ კეთილისმყოფელი იყოს მიცვალებულთათვის ჩვენი ლოცვები.

ორმოცი დღის შემდეგ ზოგის სული აღმოჩნდება მარადიული სიხარულისა და ნეტარების წინათგრძნობის მდგომარეობაში, სხვანი კი – მარადიული სატანჯველის მოლოდინში ძრწიან, რომელიც გამძაფრდება საშინელი სამსჯავროს შემდეგ უფლის მეორედ მოსვლისას, როცა ის განსჯის ყოველ ცოცხალსა და მკვდარს (აღდგომიდან). მაგრამ იმ დრომდე შესაძლებელია სულის საიქიო ხვედრის გაუმჯობესება, განსაკუთრებით ეკლესიაში მისთვის აღვლენილი ლოცვებისა და მის სახსენებლად გაკეთებული კეთილი საქმეების წყალობით.

წმინდანთა და მოღვაწეთა ცხოვრებაში, აგრეთვე წმიდა მამათა გარდამოცემაში წერია როგორც კერძო, ასევე საზოგადო ლოცვები მიცვალებულთა სულთა საოხად. (თუნდ, რომ ეს სულები ჯოჯოხეთშიც კი იყვნენ).

გარდაცვლილთა სულებზე ჩვენს ლოცვებს უშუალო ზემოქმედება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აღესრულნენ მართალი სარწმუნოებით და ჭეშმარიტი სინანულით, ეკლესიასთან და უფალ იესოსთან ერთობაში ყოფნით. მაშინ, ჩვენს თვალთაგან განშორების მიუხედავად, ისინი ჩვენთან ერთად მიეკუთვნებიან ეკლესიას: ქრისტეს ერთსა და იმავე სხეულს (იხ. ეფესელთა 1, 23; კოლასელთა 1, 18). მართალი სარწმუნოებით და ჭეშმარიტი სინანულით აღსრულებულებმა, იმქვეყნიური სოფლის რწმენით და ჭეშმარიტი სინანულით აღსრულებულებმა იმქვეყნად წაიყოლეს სიკეთის საწყისი ანუ ახალი ცხოვრების თესლი, რომლის გაღვივებაც აქ თვითონ ვერ მოასწრეს. მაგრამ, ჩვენი ლოცვების გავლენით, ღმერთის კურთხევით, ის შეიძლება თანდათან გაღვივდეს და ნაყოფი გამოიღოს.

ამჟამად, მრავალი მონათლული ადამიანი არ დადის ტაძარში, არ ამბობს აღსარებას, არ ეზიარება, ან აკეთებს ყოველივე ამას ძალზე იშვიათად. მათთვის, აგრეთვე უეცარი სიკვდილით ყველა აღსრულებულისათვის, რომელთაც აღსასრულისათვის შესაბამისი მომზადება ვერ მოასწრეს, იკითხება **ღირსი პაისი დიდის კანონი** - წმიდანისა, რომელსაც ღმერთმა მიანიჭა განსაკუთრებული მადლი, უნანელად გარდაცვალებულთათვის შუამდგომლობისა.

როგორ ვილოცოთ მიცვალებულთა მოხსენიების დღეებში

მე-17 კანონის მნიშვნელობა.

ადამიანის გარდაცვალებიდან მთელი ორმოცი დღის განმავლობაში მისმა ნათესავებმა და ახლობლებმა „ფსალმუნნი“ უნდა იკითხონ. დღეში რამდენი კანონი წაიკითხება – ეს დროზე და მკითხველთა ძალებზეა დამოკიდებული; მაგრამ კითხვა აუცილებლად ყოველდღიური უნდა იყოს. ფსალმუნების სრულად წაკითხვის შემდეგ, მის კითხვას თავიდან დავიწყებთ. არ უნდა დავივიწოთ მხოლოდ, ყოველი „დიდების“ შემდეგ, მიცვალებულის მოხსენიების შესახებ ლოცვითი თხოვნის წაკითხვა („სულის ხორციდან (სხეულიდან) ამოსვლის შემდგომად საკითხავიდან).

ხშირად გარდაცვლილის ნათესავები და ახლობლები, სხვადასხვა ვითარებათა მომიზეზებით, ფსალმუნთა კითხვას სხვებს (მკითხველებს) ანდობენ, იხდიან რა ამაში ფულს, ანდა უკვეთავენ მას მონასტერში (ე.წ. „დაუძინებელი ფსალმუნება“). რა თქმა უნდა, ღმერთი ასეთ ლოცვასაც ისმენს; მაგრამ ის იქნება უფრო ძლიერი, უფრო გულწრფელი, უფრო სუფთა – თუკი გარდაცვლილის ნათესავი ან ახლობელი ადამიანი თვითონ შესთხოვს ღმერთს მიცვალებულის შეწყალებას – და ამისათვის არც ძალის, არც დროის დაზოგვა არ ღირს.

მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეს საჭიროა, მიცვალებულისათვის საგანგებო კანონის (მასში შედის 118 -ე ფსალმუნი) წაკითხვა, რომელსაც ეწოდება მოსახსენებელი, საღვთისმეტყველო წიგნებში კი - „უბიწონი“ (მისი პირველი მუხლის სიტყვების მიხედვით: „ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან შჯულსა უფლისასა“).

ძველი აღთქმის მსახურებისას, პასექის მწუხრისას და მისი დამთავრების შემდეგ, გალობდნენ ფსალმუნებს და უპირატესად 118-ე ფსალმუნს, რომელიც ეგვიპტიდან გამოსვლას ეძღვნება. გარდამოცემის მიხედვით, ქრისტე მოწაფეებთან ერთად, იმ სახლიდან, სადაც შედგა საიდუმლო სერობა, ფსალმუნთა გალობით გამოვიდა და როგორც ყველაფრიდან ჩანს, სწორედ 118-ე ფსალმუნის გალობით გამოვიდა: „და გალობაი წართქვეს და განვიდეს მთასა მას ზეთისხილსა“.

მუხლით – „კურთხეულ ხარ შენ, უფალო, მასწავე მე სიმართლენი შენნი“ გალობდა, ვნებასა და სიკვდილზე მიმავალი უფალი. ეს მუხლი ყოველთვის იგალობება ეკლესიის მიერ, მიცვალებულთა დაკრძალვისას, კანონი კი იკითხება მოხსენიების განსაკუთრებულ დღეებში. ამ კანონში გამოხატულია მათი ნეტარება, „რომელნი ვლენან შჯულსა უფლისასა“ (ე.ი. მართალ ადამიანთა ნეტარება, ვინც ღმრთის მცნებათა მიხედვით ცხოვრებას ცდილობს).

როგორ წავიკითხოთ ფსალმუნის კანონი სწორად

მე-17 კანონი სახლში იკითხება ისევე, როგორც ყველა დანარჩენი. ხოლო კანონის მუხლები: 1, 2, 12, 22, 25, 29, 37, 58, 66, 72, 73, 88 - იკითხება ჩასართავებით: „მოიხსენე უფალო, სული მონისა (მხევლისა) შენისა“.

სამჯერ იგალობება კანონის პირველი ნახევრის დამამთავრებელი მუხლები (92,93): „არა თუმცა შჯული შენი ზრახვა იყო ჩემდა, მაშინვე სამემცა წავრწყმდი სიმდაბლესა შინა ჩემსა. უკუნისამდე არა დავივიწყო მე სიმართლენი შენნი, რამეთუ ამას შინა მაცხოვნე მე“. ამის შემდეგ კვლავ მეორდება ჩასართავი. კანონის მეორე ნაწილში მუხლები: 94, 107, 114, 121, 131, 132, 133, 142, 153, 159, 163, 170 - იკითხება ჩასართავით: „განუსვენე, უფალო, სულსა მონისა (მხევლისა) შენისასა“. დასასრულს, სამჯერ იგალობება 118-ე ფსალმუნის ბოლო მუხლები (175, 176): „ცხოვნდეს სული ჩემი და გაქებდეს შენ, და სამართალნი შენნი შემეწინენ მე. შევსცეთი მე ვითარცა ცხოვარი წყმედული, მომიძიე მონაი შენი,

რამეთუ მცნებანნი შენნი მე არა დავივიწყენ“. მას შემდეგ კიდევ ერთხელ მეორდება ჩასართავი, მისი სულის განსვენების თხოვნით, ვისთვისაც ლოცულობენ.

„დიდების“ შემდეგ იკითხება ლოცვითი თხოვნა.

კანონის შემდეგ იკითხება დადგენილი ტროპრები (ისინი ლოცვანში 118-ე კანონის შემდეგ მაშინვეა მითითებული). მათს შემდეგ კი - 50-ე ფსალმუნი და ტროპარი – „უბიწონი“, ან ტროპარი „განსვენებისათვის“ (რიცხვით 8), 118-ე ფსალმუნის ყოველ მუხლთან ჩასართავით: „კურთხეულ ხარ, შენ უფალო, მასწავენ მე სიმართლენი შენნი“.

ამ ტროპართა შემდეგ იკითხება „სულის სხეულიდან (ხორციდან) ამოსვლის შემდგომი კანონი.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ეკლესიაში პანაშვიდის დროს, მე-17 კანონი იყოფა ორ ნახევრად და ოდნავ განსხვავებულად იკითხება.

ზარზმის მონასტრის საძვალე

ყველა გარდაცვლილი მართლმადიდებელი ქრისტიანის განსაკუთრებული მოხსენიების დღეები

ზოგიერთ დღეს, განსაკუთრებით შაბათობით, აღესრულება მიცვალებულთა მსოფლიო (საყოველთაო) მოხსენიება.

სწორედ შაბათობითაა დაწესებული გარდაცვლილთათვის ლოცვა, იმიტომ, რომ წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ასეა განჩინებული: კვირეულის ყოველ შაბათს, განსვენების დღეს, მოვიხსენიოთ გარდაცვლილი ნათესავები და ახლობლები.

როგორ მოვიხსენიოთ? – ყოველ მართლმადიდებლურ ლოცვანში, დილის ლოცვების ბოლოს, მოთავსებულია ლოცვები ცოცხალთათვის და მიცვალებულთათვის. ნუ დავიზარებთ, ვიკითხოთ ეს მცირე მოსახსენიებელი ჩვენი გარდაცვლილი ახლობლებისათვის, მათი სახელების წარმოთქმით და მათთვის ლოცვითი ვედრებით.

მიცვალებულთა განსაკუთრებული მოხსენიების დღეებად ითვლება ხუთი მსოფლიო (საყოველთაო) შაბათი.

ხორციელის მსოფლიო (საყოველთაო) შაბათი აღინიშნება დიდმარხვამდე ორი კვირით ადრე. ამ დღეს ეკლესია ლოცულობს ყველა შესვენებული მართლმადიდებლისათვის, მათ შორის უეცარი სიკვდილით (წყალდიდობით, მიწისძვრით, ომით) გარდაცვლილთათვის.

რადგან, დიდმარხვაში საღვთო ლიტურგიაზე ყოველდღიურად არ მოიხსენიება მიცვალებულები, ეკლესიამ დაადგინა მიცვალებულთა გაძლიერებული მოხსენიების აღსრულების შემდეგი სამი დღე: **დიდმარხვის მეორე, მესამე და მეოთხე შაბათი.**

სულთმოფენობის მსოფლიო (საყოველთაო) შაბათი – აღინიშნება სულთმოფენობის წინა დღეს. ამ დღეს აღესრულება ყველა გარდაცვლილი კეთილმსახური ქრისტიანის მოხსენიება.

მიცვალებულთა აღნიშნულ დღეებში შეუკვეთეთ ჟამისწირვა ან კვეთაში მოხსენიება თქვენი გარდაცვლილი ნათესავებისა და ახლობლებისათვის.

ასეთ დღეებში კარგია მოინახულოთ გარდაცვლილთა საფლავები, ეკლესიაში პანაშვიდის დროს ვილოცოთ მათი განსვენებისათვის, სახლში კი – წავიკითხოთ მე-17 კანონი. ტრაპეზის დროს არ დაივიწყოთ გარდაცვლილთა მოხსენიება.

ძალიან მნიშვნელოვანია, მივაჩვიოთ საკუთარი ბავშვები გარდაცვლილ ახლობელთა მოხსენიებას. თუ ისინი პატარები არიან, აიღეთ ფოტოალბომი და ბავშვებთან ერთად გაიხსენეთ განსვენებული პაპა, ბებია, სხვა ახლობლები; მოუყევით მათზე, ასწავლეთ ბავშვებს, თუნდაც მოკლე ლოცვით მიმართონ ღმერთს: „განუსვენე, უფალო, სულთა მიცვალებულთა მონათა შენთა, ყოველთა ნათესავთა და ახლობელთა ჩვენთა, და მიანიჭე მათ ცათა სასუფეველი“.

როდის არ აღესრულება მიცვალებულთა მოხსენიება.

პანაშვიდები, დაუსწრებლად წესის აგება და ნებისმიერი მიცვალებულთა ლოცვები, გარდა კვეთაში მოხსენიებისა, ტაძრებში არ აღესრულება ვნების შვიდეულის (აღდგომის წინა ბოლო კვირეული) ოთხშაბათიდან კვირაცხოვლობამდე (აღდგომის შემდგომი კვირიაკე). წესის აგება ამ პერიოდში გარდაცვლილზე დასაშვებია, ოღონდ არა აღდგომის დღეს. საადგომო წესის აგება განსხვავდება ჩვეულებრივისაგან იმით, რომ შეიცავს საადგომო, სასიხარულო გალობას.

ქრისტეშობას და სხვა საუფლო დღესასწაულებზე, ლოცვები მიცვალებულთათვის წესდებით არ

დაიშვება, მაგრამ შეიძლება, შესრულდეს ტაძრის წინამძღვრის შეხედულებისამებრ.

მოსახსენიებელი ტრაპეზი (აღაპი, ქელეხი)

ტრაპეზზე გარდაცვლილთა მოხსენიების კეთილმსახურებითი ჩვეულება უძველესი დროიდან ცნობილია. ის ჯერ კიდევ წინასწარმეტყველ იერემიასთანაა აღწერილი, საიდანაც ცხადდება, რომ ძველ იუდეველებს ჩვეულებად ჰქონდათ „გარდაცვლილთა სანუგეშოდ ... მათთვის პურის განტეხვა“ (იერემია, 16, 7).

მაგრამ, როგორ უნდა მოვიხსენიოთ სუფრასთან მიცვალებული ნათესავები და ახლობლები? სამწუხაროდ, არაიშვიათად, მოხსენიება იქცევა ხოლმე ერთად შეკრების, უკანასკნელი ახალი ამბების განხილვის, გემრიელად მოლხენის საბაბად, მაშინ როცა, მართლმადიდებელი ქრისტიანები, მოსახსენიებელ სუფრაზეც უნდა ლოცულობდნენ თავისი გარდაცვლილი ძმებისათვის.

ამ თავში განზოგადებულია მართლმადიდებლურად მცხოვრები ადამიანების გამოცდილება, თავმოყრილია ცალკეული რჩევები და სურვილები.

დიდმარხვის დროს, თუ მოხსენიების დღეები (გარდაცვალებიდან მესამე, მეცხრე, მეორმოცე და წლისთავი) უწევს პირველ, მეოთხე და მეშვიდე კვირას, მიცვალებულის ახლობლები და ნათესავები არავის იწვევენ. ეს კვირეულები განსაკუთრებით მკაცრია; დაე, მაგიდასთან ისხდნენ მხოლოდ ყველაზე ახლობლები: დედა – მამა, ცოლ-ქმარი, შვილები და შვილიშვილები.

თუ მოხსენიების დღეები უწევს დიდმარხვის სხვა კვირეულების სამუშაო დღეებს, მაშინ ისინი გადაიტანება უახლოეს (წინამდებარე) შაბათს ან კვირას. ამ მოხსენიებას ეწოდება მისაგებებელი. ასე იმიტომ კეთდება, რომ დიდმარხვის სადღესასწაულო დღეებად ითვლება შაბათი და კვირა, როცა აღესრულება საღმრთო ლიტურგია.

აღდგომის შემდგომ პირველ რვა დღეს არ იკითხება ლოცვები მიცვალებულთათვის, არ სრულდება პანაშვიდები. ეკლესიაში იგალობება სააღდგომო კანონი. მიცვალებულთა მოხსენიებას მართლმადიდებელი ეკლესია უშვებს მხოლოდ თომას კვირის სამშაბათიდან (აღდგომის მე-9 დღე). ამ დღიდან მიცვალებულისათვის შეიძლება შევუკვეთოთ ორმოცი ჟამისწირვა, კვეთა და პანაშვიდი. სენაკში (ან სახლში), აღდგომიდან თომას კვირის სამშაბათამდე კითხულობენ მხოლოდ სააღდგომო კანონს.

არ შეიძლება მოსახსენიებელ სუფრაზე დათრობა. მოხსენიება – ეს მწუხარების, გაძლიერებული ლოცვის დროა მიცვალებულის სულისათვის, რომელსაც შესაძლოა, ძალზე უჭირს. ნუთუ იმსოფლად სულს შეუმსუბუქდება, თუკი ჩვენ აქ დავითრობით?

სუფრასთან უკეთესია, წავიკითხოთ ან ვიგალობოთ ის ლოცვები, რომელიც დამსწრეთა უმეტესობამ იცის და არა პოლიტიკური საკითხები და საყოფაცხოვრებო პრობლემები განვიხილოთ.

მოსახსენიებელი ტრაპეზი, რომელსაც განსვენებულის ნათესავები და ახლობლები აწყობენ, - ერთგვარი მოწყალების გაცემაა ყველა მოწვეულისათვის. აქედან წარმოდგება მასპინძელთა სურვილი, დააპურონ სტუმრები მაძღრად და გემრიელად. მაგრამ, ამასთან უნდა დავიცვათ ეკლესიის მიერ დადგენილი მარხვის დღეები. გარდაცვლილების მოხსენება ხდება იმ კერძებით, რომელიც მოხსენიების დღეს არის დაწესებული: ოთხშაბათს, პარასკევს და ხანგრძლივი მარხვის დღეებში - სამარხვოთი, ხოლო ხსნილში - სახსნილოთი.

მოსახსენიებელი ტრაპეზის წინ კითხულობენ მე-17 კანონს, ან პურის კურთხევის წესს, რომელსაც ერისკაცი ასრულებს. ლოცვებს კითხულობენ წმინდა ხატების წინ ანთებული სანთლით ან კანდელით. ამ დროს განსაკუთრებული ძალით უნდა ჟღერდეს მიცვალებულის შეწყალების თხოვნა.

უშუალოდ ჭამის წინ კითხულობენ ლოცვას „მამაო ჩვენო“. პირველი კერძი, რომელსაც მიცვალებულის ნათესაობის და ახლობლების უფლებით, თავიდან მისი უახლოესი ნათესავები და მეგობრები სინჯავენ, არის წანდილი. (ეს არის მოხარშული ხორბლის (ბრინჯის) მარცვლები, შერეული თაფლთან (ქიშმიშთან). მარცვლები მკვდრეთით აღდგომის სიმბოლოა, თაფლი (ან ქიშმიში) - სიტკბოსი, რომლითაც მართალნი ტკბებიან ცათა სასუფეველში). წანდილი იკურთხება ტაძარში პანაშვიდის დროს. შემდეგ მას სინჯავს ყველა იქ მყოფი. სუფრაზე წანდილი მოაქვთ, როგორც წესი, მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეს.

ჭამის შემდეგ კითხულობენ სამადლობელ ლოცვებს: „გმადლობ შენ, ქრისტე ღმერთო ჩვენო...“, „დირს არს“ -ს...

მაგრამ ყველაზე მთავარია, აღსრულდეს ლოცვა გარდაცვლილი ადამიანის სულის განსვენებისა და შეწყალებისათვის. თუნდაც ისე რომ მოხდეს, რომ სახლში არაფერი გაგვაჩნდეს, წყლისა და ხმელა პურის გარდა, ამით მიცვალებულის მოხსენიებას არაფერი დააკლდება. თუ სახლში არ აღმოჩნდება ლოცვანი, უნდა წავიკითხოთ ის ლოცვები, რომლებიც ზეპირად ვიცით; მივმართოთ ღმერთს საკუთარი სიტყვებით, მთავარია სულთქმა (ოხვრა) გარდაცვლილთა სულისათვის ჩვენი გულიდან მოდიოდეს.

მოხსენიების დროს სუფრაზე მიღებულია გარდაცვლილის სახელზე ადგილის, თეფშის, სასადილო მოწყობილობის, კერძების ნაწილის დატოვება. ეს ძალზე ძველი ჩვეულებაა.

დასაფლავების დროს არსებობს კიდევ ერთი ჩვეულება - სარკისათვის ნაჭრის ჩამოფარება. ამას კეთილმსახურების გრძნობით აკეთებენ, რათა არაფერმა ზედმეტმა არ გაფანტოს მწუხარება და ნაღველი მიცვალებულის გამო.

თუ ქრისტიანს, ახლობელი ადამიანის მოხსენიებაზე, ურწმუნო ოჯახში მიიწვევენ, უკეთესია, თუ უარს არ იტყვის მიწვევაზე. რამდენადაც, სიყვარული მარხვაზე მეტია, საჭიროა ვიხელმძღვანელოთ მაცხოვრის სიტყვებით: „ჭამდით წინა დაგებულსა თქვენსა“ (ლუკა, 10; 8), მაგრამ დავიცვათ ზომიერება ჭამაში და საუბარში.

რა უნდა ვიცოდეთ დაკრძალვის შესახებ

(ძირითადი შეცდომები, რაც გავლენას ახდენს გარდაცვლილთა საიქიო ხვედრზე)

საჭიროა, მართლმადიდებელთა ყურადღება

მიექცეს ზოგიერთ მნიშვნელოვან თავისებურებას, რომელიც დაკრძალვის წესისა და მიცვალებულთა მოხსენიების შესახებ მორწმუნეთა ცოდნას ავსებს:

1. აღდგომა დღეს საფლავებზე მიცვალებულთა მოხსენიება – საერო ჩვეულებაა. თომას კვირეულის სამშაბათამდე (აღდგომის მე-9 დღე) ეკლესია ღიად არ ლოცულობს მიცვალებულთათვის, არამედ მხოლოდ ფარულად, კვეთაში.

2. არ შეიძლება ტაძარში მიცვალებულის ერთ დღეზე მეტად გაჩერება.

3. არ შეიძლება, მარხვის დროს სახსნილო მოსახსენიებელი სუფრის (ქელეხის) გაკეთება, აგრეთვე, ამ დროს (მათ შორის ოთხშაბათსა და პარასკევს) სახსნილო საჭმლის მიტანა ეკლესიაში საკურთხად.

4. მიცვალებულის სამარეზე სანთლის დანთება შეიძლება მხოლოდ ჯვრის ან ხატის წინ და არა სახსოვარი ქვის წინ. საერთოდ, სამარეზე სახსოვარი ქვის დადგმა არამართლმადიდებლური ჩვეულებაა: თვითონ მიცვალებულები ეცხადებიან ახლობლებს და ეუბნებიან, რომ მათ ამ ქვების სახით სიმძიმე აწვებათ. არ შეიძლება მიცვალებულის ფოტოს მოთავსება ქვაზე და მით უმეტეს – ჯვარზე.

5. არ შეიძლება მოუნათლავთა ან სხვაგვარად მორწმუნეთა მიმართ წესის აგება ან ნებისმიერი საეკლესიო წესის აღსრულება. მათთვის შეიძლება მოწყალების გაცემა, მათი სახელის უთქმელად.

6. ეკლესია არ ლოცულობს თვითმკვლელებზე. მაგრამ, თუ თვითმკვლელობა განხორციელდა სულიერი აშლილობის მდგომარეობაში, შეურაცხადობის მომენტში, მაშინ დასაშვებია ყველა საეკლესიო წესის აღსრულება.

თვითმკვლელთათვის შეიძლება მოწყალების გაცემა, მათი სახელის უთქმელად. ღმერთმა იცის და ხედავს, თუ ვისთვის გაიღება მოწყალება.

ძალზე კარგია გარდაცვლილთათვის სულიერი მოწყალების გაღება (განსაკუთრებით სასულიერო წიგნებისა). სულიერი მოწყალება იმდენად აღმატებულია ხორციელზე, ღმრთის თვალთა წინაშე, რამდენადაც სული ძვირფასია სხეულზე.

ნებისმიერ ძნელად გადასაწყვეტ შემთხვევაში აუცილებელია მივმართოთ მღვდელმსახურს ან ეპისკოპოსს.

ღვთისთვის ყველა ცოცხალია

ღვთის წინაშე არ არსებობენ მკვდრები, არამედ ყველა ცოცხალია. ამის შესახებ თვით მაცხოვარი ამბობს: „არა აღმოგიკითხავსა თქმული იგი ღმრთისმიერი, რომელს იტყვის: მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი და ღმერთი იაკობისი? არა არს ღმერთი მკუდართაი, არამედ ცხოველთაი (მათე, 22, 31-32). მრავალი ჩვენგანი, „ბრძნობს“ სარწმუნოების და გარდაცვლილთა საიქიო ხვედრის საკითხებზე და ივიწყებს ან თავს არიდებს მიცვალებულთა ჭეშმარიტი შეწევნის საქმეს. ბევრმა საერთოდ არ იცის ან უარს ამბობს, მართლმადიდებლურად დაკრძალვის წესზე და ამავე დროს ხალისით მისდევს სხვადასხვა წარმართულ საკულტო ქმედებებს და რიტუალებს (უხვ სუფრებს, მარმარილოს სამარის ქვებს, გვირგვინებს და ა.შ.).

ამ დროს კი ჩვენი გარდაცვლილი ნათესავები და ახლობლები ჩვენგან შეწევნას ელიან. მათ სჭირდებათ იგი. ჩემი სამღვდელო პრაქტიკიდან ცნობილია შემთხვევები (მრევლის მონათხრობით), როცა გარდაცვლილები ეცხადებოდნენ თავის ცოცხალ ნათესავებს (სიზმარში) და პირდაპირ გამოთქვამდნენ თავის გასაჭირს, საუბრობდნენ თავის ცდომილებებზე სიცოცხლისას ან აძლევდნენ დარიგებებს, რაღაცაზე აფრთხილებდნენ...

წმიდა მამები გვასწავლიან, არ მივენდოთ სიზმრებს, რადგანაც უმრავლესობას ჩვენს შორის, არა აქვს სულიერი განსჯის უნარი, რათა განსაზღვროს სიზმრის ბუნება, ანუ არის ის ცხოვრებაში მომხდარი რეალური მოვლენების ასახვა და განცდა, თუ ხორცის მოძრაობის (ვნებების, ავადმყოფობათა და ა. შ.) შედეგი; არის – დაცემულ სულთა ბნელი სამყაროს გავლენა, თუ ბოლოს და ბოლოს, ეს ნამდვილად სულიერი ურთიერთობაა საიქიოსთან, რომელიც ჩვენთვის დრომდეა დაფარული... ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი სიზმარი მოგვეჩვენა მნიშვნელოვნად, საჭიროდ, რაიმეს შესახებ გამაფრთხილებლად, უწინარეს ყოვლისა, უნდა მივმართოთ რჩევისათვის სულიერ მოძღვარს, სამრევლო მღვდელს, ან თუნდაც სულიერად გამოცდილ ადამიანს.

მოგითხრობთ რამდენიმე, ჩემთვის სამახსოვრო მოვლენაზე, რომელსაც კავშირი აქვს ჩვენი საუბრის თემასთან.

ერთს ჩემს მრევლთაგანს, სიზმარში გარდაცვლილი თანასოფლელი გამოეცხადა. ცხოვრებაში იგი ურწმუნო და სარწმუნოების და ეკლესიის მდევნელი იყო. მას ესიზმრა, რომ ეს ადამიანი იდგა სამრეკლოს ნანგრევთა ახლოს, რომელიც ერთ დროს სოფლის ბოლოში იყო და მასზე მითითებით ამბობდა: „მე რომ სიცოცხლეში, თუნდაც იშვიათად მეცქირა ამ წმიდა ადგილისათვის, თუნდაც ერთხელ რომ შემეჩერებინა მასზე მზერა... ახლა ასე მძიმედ არ ვიქნებოდი“.

აი, როგორია სიწმინდის ძალა! თუნდაც დანგრეულის და შეგინებულის...

– ბიძაჩემი ახალგაზრდობაში და შუახნის ასაკში მორწმუნე ადამიანი იყო, დადიოდა ტაძარში, კითხულობდა წმინდა წერილს. მაგრამ, დაემონა რა დროის სულს, მან დაკარგა ღმრთის რწმენა. დაანება თავი ეკლესიაში სიარულს, გაიტანა სახლიდან წმიდა ხატები. უფრო მეტიც, ის აზროვნებითაც კი უღმრთო გახდა და ათეიზმს ქადაგებდა. ლოცვების ნაცვლად ტანვარჯიში დაიწყო. მაგრამ, მასთანაც მივიდა სიკვდილი. ოთხმოცი წლის ასაკში, ის ჩაწვა. სასიკვდილო სარეცელზე იგი შფოთავდა, ხრიალებდა, რაღაცის თქმას ცდილობდა და ხელით გამუდმებით კუთხეზე უთითებდა, სადაც დაკიდული უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ ეკიდა ხატები. რაღაც საშინელი ეხვეოდა მას, თელავდა, ორგუნავდა, და არ ჰყავდა მას მცველი, არ ჰყავდა ხელისამპყრობნი, შუამდგომელნი წინაშე ღვთისა, რადგან თვითონ ერთხელ, ნებაყოფლობით თქვა მათზე უარი.

ერთ ჩემს მრევლთაგანს გარდაეცვალა ნათესავი. ის მოუნათლავი იყო. თანაგრძნობით აღძრული ნათესავი ქალი მოვიდა ჩემთან და მკითხა, თუ როგორ შეემსუბუქებინა მისი საიქიო ხვედრი.

მოუნათლავთათვის საეკლესიო ლოცვა დაუშვებელია, ამიტომ მე მას ვურჩიე, მიცვალებულის სახელზე მოწყალების გაცემა, სახელდობრ – სულისმაცხონებელი წიგნებისა: შესაძლოა ვინმე, ამ წიგნების წაკითხვის შემდეგ, მოინათლოს, შეცვალოს უკეთესობისაკენ თავისი ცხოვრება და ეს იქნება ყველაზე ღმრთივსათნო მსხვერპლი მოუნათლავი მიცვალებულისათვის.

რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ქალი მოვიდა ჩემთან და მომიყვა, რომ სიზმარში ნახა გარდაცვლილი. ის იჯდა და ერთ-ერთ იმ წიგნს კითხულობდა, რომელიც ამ ქალმა გასცა – მაშასადამე, შეუწირავს ღმერთს ეს მსხვერპლი.

მრავალ ადამიანს, მათ შორის მორწმუნესაც, მიცვალებულთა მიმართ ჩვენს მოვალეობაზე არეული და დამახინჯებული წარმოდგენა აქვს. თვლიან, რომ აუცილებელია, პირველ რიგში, უხვი მოსახსენიებელი სუფრის მოწყობა, რომელიც მაგარი სასმელებით და იშვიათი საჭმელებით იქნება გადაჭედილი, შემდეგ – საფლავზე ძვირფასი ქვის დადგმა, რათა ნაცნობებმა სიძუნწის გამო არ გაგვკიცხონ.

როგორ ცდებიან ეს ადამიანები და უფრო მეტიც, როგორ ზიანს აყენებენ თავიანთ ძვირფას და საყვარელ მიცვალებულებს – ნათესავებს და ახლობლებს. მათი სულის განსვენებისათვის საჭიროა საეკლესიო ლოცვა – შეკვეთილი ჟამისწირვა, საშინაო ლოცვა – ფსალმუნის კითხვა, მოწყალების გაღება.

მსახურებით პრაქტიკაში იყო ასეთი შემთხვევები: როგორღაც მოვიდა ჩემთან ერთი ქალი და მომიყვა, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ დამარხეს ნათესავი, დაადგეს სამარეზე გრანიტის ქვა. და აი, ეცხადება ამ ქალს სიზმარში მიცვალებული და საყვედურობს, რომ ეს მძიმე საფლავის ქვა ძალიან აწვება და ტანჯავს მას. მე ავუხსენი, რომ საფლავს აკურთხებს ჯვარი, სასურველია ხის. ჯვარი ხომ ჩვენი ცხოვნების, ჩვენი გამოსყიდვის იარაღია. სიცოცხლეში ჩვენ მკერდზე ვატარებთ ჯვარს, ვემთხვევით ჯვარს ღმრთის ტაძარში, ვიწერთ პირჯვარს, ამიტომ სიკვდილის შემდეგ ჩვენი განსვენების ადგილი ჯვრით უნდა იკურთხოს და არა გრანიტის ან მარმარილოს ფილით.

ჩემს სხვა მრევლთაგანს, დაკრძალვიდან მცირე ხნის შემდეგ, სიზმარში გამოეცხადა ნათესავი და უთხრა: „ყველაფერი კარგადაა, მხოლოდ აპეურები ძლიერ მაწუხებენ“. აპეურები – ეს გვირგვინებია, რომლითაც ვავსებთ ჩვენ მიცვალებულთა საფლავებს. ეს კი წარმართული ჩვეულების გადმონაშთია. მართლმადიდებლური ჩვეულება ასეთ რამეს არ თხოულობს.

ერთხელ, მიმიწვიეს სახლში წესის ასაგებად. სოფელი, სადაც წასვლა მომიხდა, ჩვენი სამრევლოდან 5 კილომეტრში მდებარეობდა. მე მხოლოდ საღამოს მივაღწიე იქ. უკვე ბინდდებოდა. ლოცვა დავამთავრე ძალიან გვიან, ამიტომ იქ ღამით დარჩენამ მომიწია. გამთენიისას კარზე კაკუნმა გამომაღვიძა. შემოვიდა ახალგაზრდა ქალი, ამ სოფლის მცხოვრები. იგრძნობოდა, რომ ძლიერ ღელავდა. თავიდან, ჩემი დანახვისას, ის დაიბნა, თითქოსდა რაღაცით იყო შეძრული, შემდეგ სწრაფად დაიწყო ახსნა. აი რა მოხდა: ღამით (სიზმარში) გამოეცხადა მას, რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილი მამამთილი და უთხრა: „სოფელში მოვიდა მღვდელი, იმყოფება აქა და აქ (დაასახელა ადგილი, სადაც მე ვათენებდი), მიდით, სთხოვეთ მას, რათა წესი ამიგოს, თორემ ვწევარ ასე წესაუგებელი“. ქალმა მომითხრო, რომ იმ დროს, როცა მისი მამამთილი გარდაიცვალა, მღვდელი არ ჰყავდათ, ამიტომ წესის აუგებლად დაკრძალეს. და რაც განსაკუთრებით საოცარია, ამ ქალმა მხოლოდ ერთხელ ნახა თავისი მამამთილი – როცა ის უკვე კუბოში იწვა. სიცოცხლეში ის მას არ იცნობდა და არასოდეს უსაუბრია მასთან. უნდა ითქვას, რომ მე არ მიყვარს დაუსწრებლად წესის აგება, მაგრამ აქ განსაკუთრებული საჭიროება იყო (ჩანდა ღვთის განგებულება განსვენებულზე), ამიტომ, იმავე დღეს წესი ავუგეთ.

ერთხელ, ბრწყინვალე შვიდეულის პარასკევს დამეწია ქალი და ცრემლებით მეუბნება: „მამაო, იქნებ, კიდევ ერთხელ ავუგოთ წესი ჩემს გოგონას?“ მოხდა კი შემდეგი: იმ დროს, როცა ეს ქალი სამგზავროდ იყო წასული, მისი გოგონას სამარეში თვითნებურად დაკრძალეს მიცვალებული. ქალი დაბრუნდა და სიზმარში ხედავს ათი წლის წინ გარდაცვლილ ქალიშვილს, რომელიც ეუბნება მას: „დედა, მე თვითონ ცოდვილი ვარ, მაგრამ, რატომ დაასვენეს ჩემს სამარეში ლოთი?“ (ნამდვილად, შემდეგ გაირკვა, რომ დამარხეს ქალი, რომელიც არყის სმით მოკვდა). დილით დედა გავარდა სასაფლაოზე და გაოცდა ახალი სამარის ნახვით. მე ავუხსენი ამ ქალს, რომ ხელმეორედ წესის აგება საჭირო არაა, მაგრამ საჭიროა პანაშვიდის გადახდა.

ოთხმოცდაათი წლის ქალმა მიამბო, რომ მას, სიკვდილიდან მეორმოიცე დღეს, სიზმარში გამოეცხადა ნაცნობი მედავითნე. სიცოცხლეში ის ეხმარებოდა მას მეურნეობაში: რეცხავდა იატაკს, ჭურჭელს, ალაგებდა. მან ნაღვლიანად უთხრა: „რატომ ლოცულობთ ასე ცოტას, ჩემთვის ხომ იმაზე უკეთესი შეწევნა არ არსებობს, ვიდრე ფსალმუნთა კითხვაა?“

ერთხელ, ჩემთან მოსანათლად მოვიდა გოგონა, ყმაწვილ დასთან ერთად. მონათვლის შემდეგ მათ მიამბეს, რომ მათ დედას ორჯერ გამოეცხადა სიზმარში, გარდაცვლილი ქმარი და უთხრა: „ბავშვები მონათლეო“.

ბროშურიდან – **„დაკრძალვის მართლმადიდებლური წესი“**

მთარგმნელი: **ელდარ ეკალაძე**

ANTIQRISTES SESAXEB

„იცი ნიშნები ანტიქრისტესი? – მხოლოდ შენთვის ნუ დაიმარხავ, არამედ, სხვებსაც მიუთხარ გულუხვად“.

წმიდა კირილე იერუსალიმელი

წმიდა მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ესქატოლოგიურ მოძღვრებაში ანტიქრისტეს შესახებ სწავლებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. პირველწყარო ამ სწავლებისა არის წმიდა წერილი: როგორც ძველი, ასევე ახალი აღთქმის წიგნები, რის გამოც ეს მოძღვრება (მართლმორწმუნეთათვის) კრიტიკას არ ექვემდებარება; გარდა ამისა, ანტიქრისტეს თაობაზე საგულისხმო გამონათქვამები დაგვიტოვეს ეკლესიის მამებმა, რომელთა ნააზრევსაც, ვითარცა სულიწმიდის მადლით ცხებულს, ეკლესია დიდ ანგარიშს უწევს; ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ანტიქრისტეს შესახებ მოწმობს საღვთო წერილი და საღვთო გადმოცემა – ის ორი სვეტი ნათლისა, რომელზეც აშენებულია და დამყარებული წმიდა მართლმადიდებელი სარწმუნოება და ეკლესია.

დღევანდელი კაცობრიობა ესქატოლოგიურ დროში ცხოვრობს. კარგად შენიშნა თანამედროვე ამერიკელმა ღვთისმეტყველმა, ნეტარხსენებულმა მართლმადიდებელმა მამამ, მღვდელმონოზონმა სერაფიმემ (როუზმა): „ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის, რომელიც გულისხმაყოფს, რა ხდება მის გარშემო, ნათელია, რომ სოფელი აღსასრულს უახლოვდება. ჟამთა ნიშნები ეგზომ თვალსაჩინონი არიან, რომ შეიძლება ითქვას: სოფელი მოსწრაფებით ირღვევა!“ („სამეუფო გზა“).

როგორც ითქვა, ჩვენ ესქატოლოგიურ დროში ვცხოვრობთ; დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მართლმორწმუნე ქრისტიანებმა უცდომელი წმიდა მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრება სოფლის აღსასრულზე, უცვლელად დავიმარხოთ, რადგანაც საღი მოძღვრების დამახინჯება სულს წარწყმედით ემუქრება...

ამისთვის, „მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო ენციკლოპედიიდან“ ვთარგმნეთ (მცირეოდენი შემოკლებით) სტატია - „ანტიქრისტე“, რომელშიც ასახულია ეკლესიის კანონიკური მოძღვრება ამა სოფლის ბოლო დღეთა შესახებ.

მთარგმნელი

სიტყვას – „ანტიქრისტე“ ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ზოგადი და კერძო. ზოგადი მნიშვნელობით, ანტიქრისტედ იწოდება ყოველი, ვინც უარყოფს, რომ იესო არის ქრისტე, ვინც არ აღიარებს იესო ქრისტეს, რომელიც მოვიდა ხორციელად; ვინც უარყოფს მამასა და ძეს და სულიწმიდას – ამას ამბობს წმიდა იოანე ღვთისმეტყველი, თავის პირველ ეპისტოლეში და თან დასძენს, რომ უკვე მრავალი ანტიქრისტე გამოჩნდა (I იოანე 2,18, 22; 4,3). ამგვარი ანტიქრისტეები ადრეც ბევრი ყოფილა, ახლაც არიან და მომავალშიც მრავლად იქნებიან, მაგრამ ისინი არიან მხოლოდ წინამავალნი, ანუ წინამორბედნი ანტიქრისტესი, ამ სიტყვის კერძო, ანუ მკაცრი მნიშვნელობით, რომელზეც იოანე ღვთისმეტყველი ზემოხსენებულ ეპისტოლეშივე ამბობს: „ყრმანო, უკანასკნელი ჟამი არს და, ვითარცა იგი გასმიეს ვითარმედ ანტიქრისტე მოვალს“ (I იოანე 2,18). ეს ანტიქრისტე ერთადერთია, იგი ჯერ არ მოსულა, მაგრამ ოდესმე გამოჩნდება ქვეყნად და განსხვავებით თავის წინამორბედთაგან, ე.ი. არანამდვილი ანტიქრისტეებისაგან, იწოდება დიდ, უკანასკნელ ანტიქრისტედ. ჩვეულებრივ მას გულისხმობენ კიდეც, როდესაც ანტიქრისტეს ახსენებენ.

„ანტიქრისტე“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ქრისტეს მოწინააღმდეგეს, რომელსაც მოტყუებით თავი ქრისტედ მოაქვს. წინსართი „ანტი“ სხვა სიტყვებთან შეერთებისას, ჩვეულებრივ, ნიშნავს „წინააღმდეგს“, მაგრამ ამავე დროს, ნიშნავს „ნაცვლადს“, „მაგიერს“. ანტიქრისტე რომ ნამდვილად იქნება მტერი, ანუ მოწინააღმდეგე ქრისტესი და ამასთანავე, ცრუქრისტეც, ამას მოწმობს წმიდა წერილი. პავლე მოციქული აღგვიწერს უსჯულოების კაცს, იგივე ანტიქრისტეს, შემდეგი სიტყვებით:

„მჴდომი იგი და განლაღებული ყოველთა ზედა, რომელნი სახელ-დებულ არიან ღმრთად, გინდა სამსახურებელად, ვითარმედ და-ცა-ჯდეს იგი ტაძარსა მას ღმრთისასა და გამოაჩინებდეს თავსა თჳსსა, ვითარცა ღმერთი“ (2 თეს. 2,4). იგი წინ აღუდგება ჭეშმარიტ ღმერთს და თავს ღმერთად გამოაცხადებს. იესო ქრისტემ უთხრა იუდეველებს: „მე მოვედ სახელითა მამისა ჩემისაჲთა, და არა შემიწყნარებთ. უკუეთუ სხვაჲ მოვიდეს სახელითა თჳსითა, იგი შეიწყნაროთ“ (იოანე 5,43). სწორედ ეს „სხუაჲ“ არის ანტიქრისტე; იუდეველები მას მიიღებენ მესიად, ანუ ქრისტედ, რომელსაც ჯერ-აც მოელიან. მითითება ანტიქრისტეზე, ვითარცა ქრისტემტყუვარზე (ცრუქრისტეზე), გვხვდება იესო ქრისტეს სიტყვაში ქვეყნის აღსასრულის შესახებ (მათე 24,24).

წმიდა წერილი ანტიქრისტეს უწოდებს ბევრ სხვა სახელსაც. იგია: „უთნო“ (ის.11,4); „მომაოხრე-ბელი“ (დან. 9,27); „კაცი უსჯულოებისა“; „მცირე რქა“, რომელიც ამოიზარდა მეოთხე, საშინელი და ფრიად ძლიერი მხეცის ათ რქას შორის (დან. მე-7 თავი); ზღვიდან გამომავალი მხეცი, შვიდთავიანი და ათრქიანი, რომელიც წააგავს ვეფხვს, დათვსა და ლომს (გამოცხ. მე-17 თავი). ყველა ეს სახელი ზოგადია, ანუ აღწერილობითი, ისევე, როგორც საზოგადო სახელია თვითონ „ანტიქრისტეც“. მისი საკუთარი სახელი წმიდა წერილში გამოუცხა-დებელია და, ამდენად, უცნობი. წმიდა ირინეოს ლიონელს ამის მიზეზად მიაჩნია ის, რომ ანტი-ქრისტეს საკუთარი სახელი არ იმსახურებს, ღირ-სი არ არის, უწყებული იყოს სულიწმიდის მიერ. იოანეს გამოცხადებაში (გამოცხ. 13,18) მითითებუ-ლია მხეცის, ე.ი. ანტიქრისტეს, მხოლოდ სახელის რიცხვი, რომელიც ამის გამო იწოდება „მხეცის რიცხვად“. ეს რიცხვია 666. აპოკალიფსი დაწერ-ილია ბერძნულ ენაზე, რომელშიც ანბანის ასოები რიცხვებსაც აღნიშნავენ. ამიტომ, ღვთისმეტყველნი ფიქრობენ, რომ ანტიქრისტეს საკუთარი სახელი შედგენილი იქნება ასოებისგან, რომელთა რიცხვი-თი მნიშვნელობების ჯამი ტოლია 666-ისა. ძველთ-აგანვე პოულობდნენ ამგვარ სახელებს; მაგალი-თად, წმიდა ირინეოს ლიონელი თხზულებაში – „სწავლებათა წინააღმდეგ“ (წიგნი მე-5, თავი 30-ე), მიუთითებდა შემდეგ სახელებზე: „ევლამპის“, „ლა-ტინოს“, „ტიტან“, რომელთაგანაც ანტიქრისტესათ-ვის უმეტესად შესაფერის სახელად უკანასკნელს თვლიდა, თუმცა ამას გადაჭრით არ ამტკიცებდა. უფრო გვიანდელმა ღვთისმეტყველებმა აღმოაჩინეს კიდევ ბევრი სხვა სახელი, რომელთა რიცხვითი მნიშვნელობის ჯამი უდრის 666-ს.

ანტიქრისტე იქნება ერთი განსაზღვრული პირი – ადამიანი. ეს ჩანს წმიდა წერილის მრავალი ად-გილიდან. ასე, მაგალითად, იესო ქრისტე უწოდებს მას „სხვას“, რომელიც მოვა თავისი სახელით (იო-ანე 5,43). იოანე ღვთისმეტყველი განასხვავებს მას მრავალი სხვა ანტიქრისტესაგან, როდესაც ამბობს: „გასმიეს ვითარმედ ანტიქრისტე მოვალს და აწცა ანტიქრისტენი მრავალნი არიან“ (1 იოანე 2,18). პავლე მოციქული აღგვიწერს მას, როგორც ერთ კონკრეტულ პირს, სახელდებს რა „კაცად უსჯუ-ლოებისა“, „შვილად წარსაწყმედელისა“, „მხდო-მად“ და „განლაღებულად“ (2 თეს. მე-2 თავი). იო-ანეს გამოცხადებაში – მხეცის, ხოლო დანიელის წიგნში – მცირე რქისა და მეფის სახით - ანტი-ქრისტე აღწერილია, როგორც ერთი გარკვეული პირი (გამოცხ. მე-13 და მე-17 თავებიდან მე-7 და მე-11 მუხლები).

ძველი მსოფლიო ეკლესია, თავისი სახელო-ვანი მამებისა და მასწავლებლების პირით, ყოვ-ელთვის აღიარებდა ანტიქრისტეზე მოძღვრებას – მოძღვრებად ერთპიროვნული კაცის შესახებ და ეს მოძღვრება იმ დროისათვის იმდენად მტკიცე იყო და ყოველგვარი ეჭვების გარეშე, ყველას მიერ მიღებული, რომ თვით მაშინდელ მწვალე-ბელთაგანაც კი არავინ გადახრილა მისგან და არავის აზრადაც არ მოსვლია, უარეყო იგი, ანდა – ეჭვი შეეტანა მის ჭეშმარიტებაში; შემდგომშიც, ყველა ღვთისმეტყველი აღმოსავლეთის მართლმა-დიდებელი ეკლესიისა, აგრეთვე ყველა ღვთისმე-ტყველი რომაულ-ლათინური (პაპისტური – გ.გ.) ეკლესიისა, აღიარებდნენ და დღემდე აღიარებენ ანტიქრისტეს ერთ გარკვეულ პირად. პროტესტან-ტებისა და რუსეთის ე.წ. „რასკოლნიკი ბეზპოპ-ოვცების“ სწავლება, რომლის მიხედვითაც, ანტი-ქრისტე არის კოლექტიური პირი და აღნიშნავს პირთა სიმრავლეს – ანტიქრისტეებს, ანდა ბოროტ-ების სულს, რომელიც ვლინდება ამ პირებში და საზოგადოდ – ხალხში, – ეწინააღმდეგება წმიდა წერილსა და საეკლესიო გადმოცემას; ეს სწავ-ლება არის ცრუ და მწვალებლური.

ანტიქრისტე თავისი ბუნებით იქნება ისეთივე კაცი, როგორიც ყველაა, და იშვება იგი ისევე, როგორც ყველა კაცი იბადება. ზოგიერთის შეხედ-ულებას, რომ ანტიქრისტე იქნება, თითქოსდა, განხ-ორციელებული ეშმაკი, ანდა წარმოიშვება ბოროტ-ი სულის ქალთან შერევნით, საფუძველი არა აქვს არც წმიდა წერილში და არც – საეკლესიო გადმოცემაში, და ამდენად ცრუა. „მაშ ვინ იქნე-ბა იგი?“ – კითხულობს წმიდა იოანე ოქროპირი, – „ნუთუ სატანა“, – და თვითვე პასუხობს: „არა, არამედ კაცი ვინმე, რომელიც მიიღებს ეშმაკის მთელ ძალას“ (საუბარი მე-3, პავლე მოციქულის თესალონიკელთა მიმართ მე-2 ეპისტოლეზე); „არა თვითონ ეშმაკი განხორციელდება,- ამბობს წმიდა იოანე დამასკელი, – მსგავსად უფლის განკაცებ-ისა,– ნუ იყოფინ! არამედ იშვება კაცი სიძვისაგან და მიიღებს თავის თავზე მთელს მოქმედებას სა-ტანისას. რამეთუ ღმერთი, რომელიც განსჭვრეტს მისი ნების მომავალ განხრწნას, დაუშვებს, რომ ეშმაკი შესახლდეს მასში“ (მართლმადიდებელი სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა; წიგნი მე-4; თავი 26-ე).

ანტიქრისტეს შობისა და წარმომავლობის თაობაზე სხვადასხვაგვარად ფიქრობენ. გავრ-ცელებულია აზრი, რომ ანტიქრისტე წარმოიშვე-ბა იუდეველთაგან, სახელდობრ, დანის ტომიდან, რადგანაც იაკობმა, თავის წინასწარმეტყველებაში დანის შესახებ, უწოდა მას: „გუელ გზასა ზედა მზირად მჯდომარე ალაგსა და უკბენდეს ტერფ-სა ცხენთასა და დაეცეს მხედარი მართლუკუნ“ (დაბ. 49,47). მსწრაფლმსრბოლი ცხენი არის საუ-კუნე მსოფლიო ცხოვრებისა... დანის ტომიდან

ანტიქრისტეს მოსვლის ამ მოსაზრებას, რომელიც გამოთქვა წმიდა იპოლიტე რომაელმა (სიტყვა ქრისტესა და ანტიქრისტეს შესახებ; თავი-14 და მე-15), ასაბუთებენ იმით, რომ ისრაელის ძეთა ყოველი ტომიდან გამორჩეულ იქნა თორმეტ-თორმეტი ათასი ღვთის მონა, რომელთაც შუბლზე დასმული ქონდათ ბეჭედი, ხოლო დანის ტომიდან აღბეჭდილი არავინ ყოფილა, და იგი საერთოდ არც კი მოიხსენიება (გამოცხ. მე-7 თავი). სხვები ვარაუდობენ, რომ ანტიქრისტე წარმოიშვება წარმართობიდან; ხოლო კიდევ სხვანი ფიქრობენ, რომ ანტიქრისტეს წარმოშობს ქრისტიანობა, რა თქმა უნდა, დამახინჯებული, ე.ი. მწვალებლური ქრისტიანობა. ძველთაგანვე გავრცელებულია აზრი, რომ იგი ჩაისახება უკანონო კავშირით...

ანტიქრისტე მსოფლიოს მოევლინება უშუალოდ ქრისტეს მეორედ მოსვლისა და ქვეყნის აღსასრულის წინ, როგორც ეს ჩანს დანიელის წიგნიდან (მე-7; მე-11 და მე-12 თავები); იოანეს გამოცხადებიდან (მე-12, მე-13, მე-17 და მე-20 თავები); სახარებიდან (მათე 24-ე თავი; მე-17 და მე-20 თავები) და პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლედან თესალონიკელთა მიმართ (მე-2 თავი). მაგრამ, რაკი არავინ უწყის, როდის იქნება იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა და ქვეყნის აღსასრული, ამიტომ უცნობია, აგრეთვე, ანტიქრისტეს მოსვლის დროც.

ხატი დაწერილია ქართველი ბერების მიერ წმიდა ათონის მთაზე
წმიდა იოანე მახარებლის სავანეში
(რეპროდუქცია აბბა დოროთეს „სწავლანიდან“. ფოთი. 1902 წ.)

თუმცა, წმიდა წერილში მაინც არის მითითებული მაუწყებლები და ნიშნები, რომელნიც წინ უნდა უძღოდეს ანტიქრისტეს მოსვლას. ანტიქრისტეს მოსვლა მომზადდება საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში. მისი გამოჩენის შორეულ მომზადებასა და მაუწყებლებს მოციქულები ჯერ კიდევ თავის დროზე ხედავდნენ. პავლე მოციქულმა ამ მომზადებას უწოდა – „საიდუმლო უსჯულოებისა“, რომელიც უკვე მოქმედებაშია (2თეს. 2.7); შესაძლოა იგი გულისხმობდა სატანის მოქმედებას: სატანა, ჯერჯერობით, ბოროტებას სთესს საიდუმლოდ, მაგრამ ანტიქრისტეს მოსვლის შემდეგ იგი, ანტიქრისტეს მიერ, ქვეყნად გააფრთებული ბრძოლით გაილაშქრებს ქრისტესა და ღვთის სასუფევლის წინააღმდეგ, (გამოცხ. მე-12 თავი). უფალი იესო ქრისტე, იფქლისა და ღვარძლის შესახებ იგავით (მათე 13,24-30) გვასწავლის ჩვენ, რომ ქვეყანაზე ერთობლივად იზრდება და ვითარდება სიკეთე და ბოროტება, რომელიც ზრდას არ შეწყვეტს სოფლის აღსასრულამდე. ისტორიული გამოცდილება, წარსულ დროსთან მიმართებაში, ამას ადასტურებს. სწორედ ღვარძლის, ანუ ბოროტების ზრდა კაცობრიობაში მოამზადებს ანტიქრისტეს მოსვლას. კერძოდ, ანტიქრისტეს მოსვლას ამზადებენ მისი წინამავალნი, ანუ წინამორბედნი; ესენი არიან განსაკუთრებით უკეთური და ღვთის მოწინააღმდეგე ადამიანები, ანუ ანტიქრისტეები, ამ სიტყვის ფართო გაგებით. მათ შესახებ მოწმობს წმიდა იოანე ღვთისმეტყველი: „ყრმანო, უკანასკნელი ჟამი არს და ვითარცა იგი გასმიეს, ვითარმედ ანტიქრისტე მოვალს და აწცა ანტიქრისტენი მრავალნი არიან, ვინაიცა უწყით, ვითარმედ უკანასკნელ ჟამი არს“ (1 იოანე 2,18); შემდეგ იგი ამბობს, რომ სული ანტიქრისტესი „აწცა სოფელსა შინა არს“ (1 იოანე 4,3). იგია სული წინააღმდგომისა, რომელიც უმხედრდება ღმერთსა და განხორციელებულ ძეს ღვთისას, იესო ქრისტეს. ზოგიერთი ასეთი ანტიქრისტე მიჩნეულია უკანასკნელი ანტიქრისტეს პირველსახედ. ასეთი იყო, მაგალითად, ძველი აღთქმისეული ანტიოქე ეპიფანე, ანუ ანტიოქე IV, მეფე სირიისა, რომელიც სასტიკად დევნიდა იუდეველებსა და მათ სარწმუნოებას, და იმასაც კი ლამობდა, რომ სავსებით აღეგავა ისინი პირისაგან მიწისა, ვითარცა წინასწარმეტყველურად უწყებულია ეს დანიელის წიგნში, ხოლო ისტორიულადაა

გადმოცემული მაკაბელთა წიგნებში. ანტიქრისტეს პირველსახეებად მიჩნეულია, აგრეთვე, ბალაამი და გოლიათი, ვითარცა მოწინააღმდეგენი მოსესი და დავითისა, რომელნიც, თავის მხრივ, ითვლებიან ქრისტეს პირველსახედ. ფიქრობენ, აგრეთვე, რომ ანტიქრისტე წინარეგამოსახულია ტვიროსის მეფეში, წინასწარმეტყველ ეზეკიელთან (28-ე თავი) და შესაძლოა – ბაბილონის მეფეშიც, წინასწარმეტყველ ისაიასთან (მე-14 თავი). ესენი არიან ანტიქრისტეს მოსვლის შორეული მომამზადებლები.

ანტიქრისტეს მოსვლის უფრო აშკარასა და ძლიერ მომზადებას ადგილი ექნება უკანასკნელ ხანს, როდესაც მოახლოვდება ჟამი მისი გამოჩენისა და როდესაც ბოროტების ზრდა ქვეყნად განსაკუთრებით გაძლიერდება. იესო ქრისტემ, თავის სიტყვაში იერუსალიმის დანგრევისა და სოფლის აღსასრულის შესახებ, აგრეთვე პავლე მოციქულმა, ეპისტოლეში ტიმოთეს მიმართ, და იოანე ღვთისმეტყველმა – აპოკალიფსში, იწინასწარმეტყველეს, რომ უკანასკნელ დროს გამრავლდება ცოდვები და მანკიერებანი, უკეთურება და ურწმუნოება, ხოლო რწმენა კაცთა შორის დაიშრიტება, სიყვარული კი მინავლდება და ჩაქრება. პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლეში თესანოლიკელთა მიმართ, რწმენისა და სათნოების ეს არაჩვეულებრივი დაცემა, ხოლო ღვთისმოძულების, უსჯულოებისა და გახრწნილების მომატება, სახელდებულია ერთი მეტყველი სიტყვით: „განდგომილება“, ანუ „აპოსტასია“. ზოგი ფიქრობდა, რომ მოციქულმა „განდგომილება“ ანტიქრისტეს უწოდა, მაგრამ სინამდვილეში იგი განასხვავებს „განდგომილებასა“ და „ანტიქრისტეს“ ერთმანეთისაგან, თუმცა ადგილს უჩენს მათ ერთად, რადგანაც განდგომილება მოამზადებს ანტიქრისტეს მოსვლას, ხოლო უკვე მოსული ანტიქრისტე, თავის მხრივ, კიდევ უფრო განაძლიერებს განდგომილებას. გამოითქვა სხვა მრავალი მოსაზრებაც „განდგომილების“ თაობაზე; მაგალითად, მასში გულისხმობენ ერების ჩამოცილებას მთავრობების, კანონებისა და დადგენილი წესრიგისადმი დაქვემდებარებისაგან... მართალია ეს მოსაზრება ყურადსაღებია, მაგრამ მეტი საფუძველი გვაქვს, რომ „განდგომილებაში“ გულისხმა-ვყოთ, უპირატესად, ღვთის რწმენისაგან განდგომილება; სარწმუნოებისა და ზნეობის დაცემა; კაცთა შორის უკეთურებისა და უღმერთოების გამრავლება. ცხადია, რელიგიურ-ზნეობრივი დაცემა გამოიწვევს ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბებული წყობის დაცემასაც. გარდა ამისა, რელიგიისა და ზნეობის დაცემასა და საზოგადოებრივი ურთიერთობების მოშლასთან ერთად, გამრავლდება ადამიანთა უბედურებანი, რაც იქნება ნაწილობრივ – ბუნებრივი შედეგი კაცთა შორის მანკიერების გაძლიერებისა და ნაწილობრივ – ღვთის მიერ მოვლენილი სასჯელი ამისთვის. სწორედ ბოროტების ამ უფსკრულისა და ადამიანების სავალალო მდგომარეობიდან წარმოიშვება ანტიქრისტე. აი, რატომ იხილა იგი იოანე ღვთისმეტყველმა მხეცის სახით, რომელიც გამოდის ხან ზღვიდან, ხანაც – უფსკრულიდან (გამოცხ. მე-13 და მე-17 თავები): როდესაც ანტიქრისტე ნამდვილად მოვა, მაშინ, წმიდა წერილში მითითებული ნიშნებით, მრავალი ჭეშმარიტი მორწმუნე იცნობს მას, როგორც ამბობს ღირსი ეფრემ ასური. ანტიქრისტეს მოსვლის დრო, გარდა წმიდა წერილისა, ადამიანებს ეუწყებათ კიდევ ორი, ღვთისაგან წარმოგზავნილი მაცნეს მიერ, რომელნიც იწინასწარმეტყველებენ ათას ორას სამოც დღეს, და თავიანთი მოწმობის დასასრულს მოკლულ იქნებიან ანტიქრისტეს მიერ (გამოცხ. მე-2 თავი). ერთი მოწმეთაგანი ნათლადაა მითითებული წმიდა წერილში – ეს არის წინასწარმეტყველი ილია (მალაქ. 4,5,6; შდრ: მათ. 17,10,11; მარკ.1,17). გადმოცემის მიხედვით, რომელიც დაფუძნებულია იუდა მოციქულის სიტყვებზე: „წინასწარმეტყველთა მათთვის მეშვიდემან ადამისითგან, ენუქ და თქუა: აჰა, ესერა, მოვიდა უფალი ბევრეულითა წმიდათა მისთაჲთა, ყოფად სასჯელისა ყოვლისათვისმე და მხილებად ყოველთა უღმრთოთა მათთა ყოველთათვის საქმეთა უღმერთოებისა მათისა, რომელთა უსჯულოებდეს, და ყოველთათვის სიტყვათა ფიცხელთა, რომელთა იტყოდეს მისთვის ცოდვილნი უღმრთონი“ (იუდ. 1,14-15); წმიდა წერილებში ნათქვამია აგრეთვე იმაზე, რომ ენუქი, ისევე როგორც ილია, ცოცხლად იქნა ზეცად აღტაცებული; მეორე მოწმედ ასახელებდნენ სწორედ ენუქს, მაგრამ ცნობილი არ არის ანტიქრისტეს მოსვლამდე რამდენი ხნით ადრე გამოჩნდებიან ისინი. წმიდა იპოლიტე რომაელის სწავლებით, ისინი აიღებენ ნახევარ მსოფლიოს ბოლო შვიდწლეულისაგან (სიტყვა ქრისტესა და ანტიქრისტეს შესახებ, თავი 43-ე); როგორც სჩანს შვიდწლეულის პირველნახევარს. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ ისინი მოვლენ სამწელიწადნახევრით უადრეს ანტიქრისტეს მოსვლამდე და ანტიქრისტე მოკლავს მათ მაშინვე, როგორც კი თვითონ გაბატონდება მსოფლიოზე; მაგრამ, შესაძლოა, ისინი მოვიდნენ ანტიქრისტეზე მხოლოდ ოდნავ უფრო ადრე და ამიტომ, ჟამი მათი ქადაგებისა დაემთხვეს ანტიქრისტეს მეფობის ხანას.

ბევრი ვერ იცნობს ანტიქრისტეს, იმიტომ, რომ, როგორც ფიქრობდა წმიდა კირილე იერუსალიმელი (მე-15 სიტყვა კათაკმეველთადმი) და ღირსი ეფრემ ასური (სიტყვა უფლის მოსვლაზე), თავდაპირველად იგი ეშმაკურად მოაჩვენებს ხალხს თავს მდაბალ, კაცთმოყვარე ადამიანად და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიიზიდავს მრავალთ და გაძლიერდება, ანტიქრისტე გამოაჩენს თავის ბოროტებას მთელი ძალით.

თვითონ ანტიქრისტე და აგრეთვე, მისი მეფობის ხასიათი ცოცხლად და დაწვრილებითაა აღწერილი დანიელის წიგნში, პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლეში თესალონიკელთა მიმართ და იოანეს გამოცხადებაში. ანტიქრისტე მფლობელი იქნება დიდი მონაცემებისა, მაგრამ თავის უნარს ბოროტების საქმნელად გამოიყენებს. მისი მოსვლა იქნება „შეწევნითა ეშმაკისაჲთა, ყოველთავე ძალითა და ნიშებითა და სასწაულებითა ტყუილისაჲთა“(2თეს.2,9); მაგალითად: „ერთი თავთა მისთაგანი, რომელ-იგი დაკლულ იყო სიკუდილდ, დაყლულებაჲ იგი სიკუდილისა მისისაჲ განიკურნა. და დაუკჳრდა ყოველსავე ქუეყანასა მჴეცისა მისთვის“ (გამოცხ. 13,3). ანტიქრისტეს სასწაულები

იწოდება ცრუ სასწაულებად, რადგან მათი მიზანია ან მოტყუება და ცდუნება ადამიანებისა, ანდა ეს სასწაულები იქნებიან მხოლოდ მოჩვენებითი, ფოკუსების მსგავსი ოინბაზობა. მიუხედავად ამისა, საეჭვოა, რომ მათი მოხდენა შესაძლებელი იყოს ბუნების საიდუმლოთა ცოდნის გარეშე, ცოდნისა, რომელიც აჭარბებს სხვა ადამიანთა ცოდნას. თუმცა, თავის განსაცვიფრებელ სასწაულებს იგი მოახდენს ეშმაკის ძალით, და საერთოდაც, მისი

საშინელი სამსჯავრო.
ფრაგმენტი მონასტრის „იერუსალიმური“ ხატიდან. რომელიც
უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II შემოწირა მონასტერს.

ბუნებრივი უნარი არაჩვეულებრივად გაძლიერებული იქნება მასში სატანის მოქმედებით, რომელიც შესახლდება ანტიქრისტეში, სრულიად დაეუფლება მას და აქცევს საკუთარ იარაღად. როგორც ანტიქრისტეს მოსვლა, ასევე მთელი მისი ცხოვრება, განხორციელდება და წარემართება სატანის მოქმედებით; სატანა მისცემს მას თავის ძალას, თავის ტახტსა და დიდ ხელმწიფებას (გამოცხ. 13,2); ამიტომ ძალა და ხელმწიფება ანტიქრისტესი იქნება, ერთის მხრივ, არაჩვეულებრივად დიდი, ხოლო მეორეს მხრივ, – უკიდურესად ბოროტისმყოფელი; მიეცემა მას აგრეთვე „ბრძოლისაცა ყოფად წმიდათა მიმართ და ძლევად მათდა“ (გამოცხ.13,7); მიეცემა მას „ჴელმწიფებაჲ ყოველსა ტომსა და ერსა და ენასა და ნათესავსა. და თაყუანისსცენ მას ყოველთა მკჳდრთა ქუეყანისათა, რომელთა სახელები არა დაწერილ არს დასაბამითგან სოფლისაჲთ წიგნსა მას ცხორებისა კრავისა მას დაკლულისა“ (გამოცხ.13,7-8). შეცდენილი ადამიანები თაყვანს სცემენ მხეცს და იტყვიან: „ვინ არს მსგავს მჴეცისა მის? ვინ შემძლებელ არს ბრძოლად მისა?“ (გამოცხ. 13,4). იოანეს გამოცხადებაში და დანიელის წიგნში იგი გამოსახულია ძლევამოსილ, საზარელ და ყოვლისმომსპოლველ დამპყრობლად (დან. მე-7, მე-9, მე-11 და მე-12 თავები). ის არის მთელი მსოფლიოს დამღუპველი დამპყრობელი, მბრძანებელი და ტირანი. მაგრამ თავის ხელმწიფებას ერებზე იგი დაამყარებს არა მარტო ძლევამოსილი და მაოხრებელი დაპყრობითი ომებით,

ბუნებრივი სამყაროს ძალა, ამასთანავე, გამომჟღავნდება ადამიანის პირფერობით ცდუნებაში, და მათ გადაბირებაში ცრუ სასწაულებით. ამის შესახებ ნათლად მოწმობს: დანიელის წიგნი (დან. 8,23,25;II,32); იოანეს გამოცხადება (გამოცხ. 13, 3,4); პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლე თესანოლიკელთა მიმართ (2თეს. 2,9-12) და სახარება (მათ. 24,24; მარკ.13,22). ანტიქრისტეს, სასწაულების ჩვენებაში, ადამიანთა ცდუნებასა და აგრეთვე მათ მემკვიდრეობით დამორჩილებაში, დაეხმარება მიწიდან გამოსული მხეცი, ანუ ცრუწინასწარმეტყველი, რომელიც ციდან ცეცხლსაც კი ჩამოიყვანს ადამიანთა წინაშე; „და მიეცა მას სული მიცემად ხატსა მას მჴეცისასა, რაჲთა იტყოდის ხატი მხეცისაჲ მის და ქმნას. ყოველნი, რომელთა არა თაყუანისსცენ ხატსა მჴეცისასა, მოიკლნენ“ (გამოცხ.13,15). თუმცა, ანტიქრისტე უკეთური ადამიანების ცდუნებას შესძლებს, მათ ცდუნებას – რომელნიც არ არიან დაწერილნი ცხოვრების წიგნში კრავთან (გამოცხ.13,15). ისინი წარწყმდებიან იმისათვის,

რომ „სიყვარული იგი ჭეშმარიტებისაჲ არ შეიწყნარეს, რაჲთამცა ცხონდნენ...“(2 თეს. 2,10), ე.ი. ანტიქრისტე აცდუნებს ისეთ ხალხს, რომელნიც თავის ბოროტების გამო ანტიქრისტეს გარეშეც წარწყმდებოდა; ხოლო რჩეულთა საცდუნებლად ანტიქრისტე ძალისხმევას არ დაიშურებს, მაგრამ მათ ცდუნებას ვერ მოასწრებს (მათ.24,24; მარკ. 13,22); „მიეცემა“ მას, რომ მხოლოდ ომში, ანუ – ფიზიკურად, დაამარცხოს წმიდანები (გამოცხ.13,7) (7,21,25; 11,33) და დახოცოს ისინი (გამოცხ. 13,15; 20,4); მაგრამ მათი სულიერად წარწყმედა „არ მიეცემა“ ანტიქრისტეს (დან.7,26). დიდი მწუხარებისა დღეები, როგორიც არასოდეს არ ყოფილა სოფლის დასაბამიდან, შემოკლდებიან რჩეულთა გამო, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ გადარჩებოდა ვერც ერთი სულდგმული (მათ.24,21, 22; მარკ.13,20). ანტიქრისტე ადამიანებს წარწყმედს, როგორც ცდუნებით, ასევე – ძალმომრეობით; ხოლო იწოდება იგი „შვილად წარსაწყმედელისა“ იმისათვის, რომ სხვებსაც წარწყმედს და თავსაც წარიწყმედს (2თეს. 2,3,8-12; გამოცხ. 13,27 და მე-20 თავი; დან. 11,45). იგია „კაცი უსჯულოებისა“ და „უსჯულო“ (2 თეს. 2,3,8), იმიტომ რომ, როდესაც მიიღებს თავისი წინაპრებისაგან უკიდურესი სიავით აღსავსე ბუნებას, ხოლო სატანისაგან – მთელს ეშმაკეულ ბოროტებას, ანტიქრისტე თავადაც განიმსჭვალება უკიდურესი ბოროტებით და სხვებსაც მიიზიდავს მისკენ.

მისი ბოროტებით გამსჭვალული არსების ყველა გულისწადილი, ძალა, უნარი, აზრი და მოქმედება იქით იქნება მიმართული, რომ აღმოიფხვრას ქვეყნად სიკეთე და დაინერგოს ბოროტება. სატანური ამპარტავნებით დაადგენს იგი საკუთარ თავს ღმერთსა და სიწმიდეზე უფრო მაღლა (2 თეს. 2,4); განიზრახავს გააუქმოს ჭეშმარიტი ღვთისმსახურება, რამეთუ განადიდებს თავის თავს უფროჲს ყოველთა (დან. 7,25; 11,36,37); დაგმობს ჭეშმარიტ ღმერთს და სდევნის ქრისტიანულ სარწმუნოებას; ფეხქვეშ გათელავს ყოველგვარ სიწმიდეს... იგი თავს გამოაცხადებს ღმერთად და ქრისტედ, დაჯდება ტაძრად, ვითარცა ღმერთი და საკუთარი თავისათვის მოითხოვს ღვთისადმი კუთვნილი თაყვანისცემისა და მსახურების აღსრულებას (დან.II 36,38; მათ. 24,23,24; 2 თეს. 2,4; გამოცხ. მე-13 თავი). ადამიანებს ანტიქრისტე თავისი თავის, ვითარცა ღმერთის, თაყვანისცემისაკენ განაწყობს პირმოთნეობით, მოტყუებითა და ცრუსასწაულებით; ვისაც ვერ აცდუნებს, მათ დაუწყებს დევნასა და შევიწროებას; მაგალითად: შეუძლებელი იქნება, რაიმეს ყიდვა-გაყიდვა მათთვის, ვინც თაყვანს არ სცემს მხეცს და არ დაუშვებს, რომ დაასვან „ბეჭედი სახელისა მხეცისაჲ მის, ანუ რიცხვი სახელისა მისისაჲ ხელსა მათსა მარჯუენესა ზედა, ანუ შუბლსა ზედა მათსა“ (გამოცხ. 13,15). როდესაც დაუწყებს გათელვასა და განადგურებას ყოველივე საღვთოსა და წმიდას, ანტიქრისტე მოსპობს ყველაფერ ადამიანურსაც: მოარღვევს ადამიანთა თანაცხოვრების ღვთის მიერ დადგენილ წესებს; ფეხქვეშ გათელავს ქორწინებას და მასზე დაფუძნებულ ოჯახს და საზოგადოებას; შეურაცხყოფს ღვთიურსა და კაცობრივ კანონებს...

უღვთო და დამღუპველი მეუფება ანტიქრისტესი გაგრძელდება სამნახევარ წელიწადს. ეს რიცხვი მოცემულია დანიელის წიგნსა და იოანეს გამოცხადებაში (დან. 7,25; 12,7; გამოცხ. 13,5). ორმოცდაორთვიანი მეფობის შემდეგ ანტიქრისტე დაიღუპება: „რომელსა აქუს ტყუეობაჲ, წარმავალს ტყუეობად; რომელი მახჳლითა ჯერ-არს მისი მოკლვაი, მახჳლითა თვისითა მოიკლას“ (გამოცხ. 13,10); „მხეცი იგი წარსაწყმედელსა წარვალს“ (გამოცხ.17); „ხოლო ღმერთმან არა-მე ყოსა შურისგებაჲ რჩეულთა მისთაჲ, რომელნი ღაღადებენ მისა დღე და ღამე, და სულგრძელ არს მათ ზედა? გეტყვი თქუენ: ჰყოს შურისგებაჲ მათთვის ადრე“ (ლუკ. 18,7,8); „უფალმან აღხოცოს სულითა პირისა მისისაჲთა და განაქარვოს იგი გამოჩინებითა მით მოსვლისა მისისაჲთა“ (2 თეს. 2,8); იოანე ღვთისმეტყველმა იხილა, რომ „შეპყრობილ იქნას მხეცი იგი და მის თანა ცრუწინასწარმეტყველი იგი... და ცოცხლივ შთავარდეს ორნივე იგი ტბასა მას ცეცხლისასა, რომელი იწუების წუმწუბითა... და იტანჯებოდიან დღე და ღამე უკუნითი უკუნისამდე“ (გამოცხ.19,20; 20,10).

„მართლმადიდებლური
საღვთისმეტყველო ენციკლოპედია“

თარგმნა
† გიორგი გაბაშვილმა

1928 - 1935